# ბათუმი ფავორიტია?

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2010

№ 206 (13 194) ფასი 60 თეთრი



13

## ცრუ განგაში

2



რა ხდება კვიპროსში

## კოლაფსი კორტზე





14

# ჭანტურია ვიტესშია

## კაშიამ კონტრაქტი გააფორმა



2

გიორგი ჭანტურია ვიტესში ვარჯიშის დროს



## ლიტვამ საფრანგეთსაც...

სკოლას ვერ აჩერებენ

FIBA WORLD CHAMPIONSHIP 2010 Turkey

მსოფლიოს ჩემპიონატი 15

## ქართული ფეხბური

ევრო 2012. საბერძნეთი-საქართველო

# ცრუ განგაში

## ანანიძე? იოტისოდენა საფრთხეც არ არსებობს...

საქართველოს ეროვნული ნაკრები კვიპროსულ შეკრებას დღეს დაასრულებს და ნაშუადღევს საბერძნეთში გადაფრინდება. გუშინ კი ნიქოზიაში ჩვენს გუნდს საკმაოდ დატვირთული დღე ჰქონდა. მართალია, **თემურ ქეცბაიამ** ფეხბურთელები მხოლოდ ერთხელ, საღამოს ავარჯიშა, მაგრამ წვრთნა სრულყოფილი გამოდგა. ინდივიდუალურად ივარჯიშეს **ლევან კობიაშვილმა** და **უჩა ლობჟანიძემ**, რადგან ნაკრებს გუშინ შეუერთდნენ და ამიტომ ქეცბაიამ ისინი მსუბუქად დატვირთა. **ზურაბ ხიზანიშვილსა** და **ნუკრი რევიშვილს** კვიპროსზე დღეისთვის ელიან, დანარჩენებმა კი გუშინდელ ვარჯიშზე მწვრთნელთა ყველა დავალება ბოლომდე შეასრულეს.


ჯანო ანანიძე

სასიამოვნო მოულოდნელობა ისაა, რომ საქართველოს ნაკრებს ტრავმის გამო არავინ აკლია - ყველა ფეხბურთელი, ვინც ქეცბაიამ გამოიძახა, მის განკარგულებაშია. კვიპროსზე მყოფთაგან ყველა ჯანმრთელადაა. როგორც გახსოვთ, **გოგიტა გოგუას** სიცხე ჰქონდა, ხოლო **ალექსანდრე კოშკაძეს** - მიკროტრავმა. ორივე მათგანი დღეისთვის თავს კარგად გრძნობს, ნალჩიკის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" ნახევარმცველებმა გუშინ და გუშინწინ სრული დატვირთვით ივარჯიშეს.

ცალკე უნდა ვთქვათ **ჯანო ანანიძეზე**. როგორც ჩანს, მოსკოვის „სპარტაკში" ბოლომდე ჯერაც ვერ მოინელეს ის ფაქტი, რომ ქართველმა ტალანტმა საკუთარი სამშობლოს ღირსების დაცვა გადაწყვიტა. მართალია, დროს უკან ველარავინ დააბრუნებს და ანანიძესაც გადაწყვეტილებას ველარ შეაცვლევინებენ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რუსეთის „სახალხო გუნდი" მაინც ცდილობს ჯანოსთვის დაბრკოლებების შექმნას.

მოკლედ, „სპარტაკის" სამედიცინო შტაბმა განაცხადა, რომ ანანიძე ტრავმირებულია და საქართველოს ნაკრების უახლოეს მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. კი, ჯანოს მართლაც აწუხებდა მიკროტრავმა და ამის გამო რუსეთის პრემიერლიგის გასულ ტურში გროზნოს „ტერეკთან" მატჩიც გამოტოვა, მაგრამ მისი მდგომარეობა მაშინაც არ ყოფილა საგანგაშო - უბრალოდ, ექიმებთან შეთანხმებით ძალების აღდგენა და სულის მოთქმა გადაწყვიტა.

ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაცია კვიპროსზე მყოფ ქართულ დელეგაციასთან გადავამოწმეთ. როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ნიკა ჩხეიძემ** გვითხრა, ანანიძე თავს იდეალურად გრძნობს და მის თამაშს იოტისოდენა საფრთხეც არ ემუქრება.

დღეს საღამოს საქართველოს ნაკრები უკვე პირეოსის „გეორგიოს კარაისკასზე" ივარჯიშებს, ხვალ კი იქ მატჩი თბილისის დროით 22 საათსა და 45 წუთზე დაიწყება და მას ესპანელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება **კარლოს გომესის** ხელმძღვანელობით.

საქართველოს ნაკრების სადებიუტო შეხვედრისთვის მზადებისა და ასევე ბერძენთა ბანაკში მიმდინარე ამბების შესახებ „ლელოს" ხვალინდელ ნომერში გიამბობთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კომენტარი

## ჯენოას ბოსი: კალაძე ასე უბრალოდ გასაცვლელი ფეხბურთელი არ არის...

„ჯენოას" პრეზიდენტმა **ენრიკო პრეციოზიმ** იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც **კახა კალაძემ** კარიერის გაგრძელება მის კლუბში გადაწყვიტა. პრეციოზის თქმით, ქართველმა მცველმა „იუვენტუსში" გადასვლა იმიტომ იუარა, რომ არ სურდა, „მილანის" მიერ განხორციელებული სხვა ტრანსფერის ნაწილი გამხდარიყო. შეგახსენებთ, „როსონერი" ტურინელებისგან **ფაბიო გროსოს** ყიდვას აპირებდა და სურდა, ამ გარიგებაში ქართველი მცველიც ჩაერთო.

*„კალაძეს არ უნდოდა მეორეხარისხოვანი, ჩვეულებრივი გასაცვლელი ფეხბურთელის როლში ყოფნა და ჩვენთან ამიტომაც მოვიდა"*, - განაცხადა პრეციოზიმ.

„ჯენოამ" კახას ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „მილანში" გატარებული ცხრანახევარი წელიწადის განმავლობაში კალაძემ აწ უკვე ყოფილი კლუბის მაისურით 280 მატჩი ჩაატარა. მას „ჯენოას" შემადგენლობაში დებიუტი სავარაუდოდ, 12 სექტემბერს, „კიევოს" წინააღმდეგ შეხვედრაში ექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



U 21. ევრო 2011. თურქეთი-საქართველო

# როინ კვასხვაძე
# ჩვენში გამარჯვებულის ფსიქოლოგიამ გაიღვიძა

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თბილისში მზადება გუშინ, საგურამოს ბაზაზე ვარჯიშით დაასრულა. 21-წლამდელები დღეს თურქეთში გაემგზავრებიან. ჩვენი ახალგაზრდები ამ ქვეყნის ნაკრებთან ევროპის 2011 წლის შესარჩევი ციკლის ბოლოსწინა შეხვედრას 4 სექტემბერს, საქარიას სტადიონზე გამართავენ. თბილისის დროით მატჩი 17:00 საათზე დაიწყება. შეხვედრის არბიტრად უეფამ სლოვენიელი სლავკო ვინჩიჩი დანიშნა.

ოთარ გაბელია თურქეთთან 20 ფეხბურთელის ამარა მიემგზავრება, მათგან ორი - გიორგი განუგრავა და თემურ შარაშენიძე (ორივე - „დიორიეტო") ნაკრებს საქარიაში შეუერთდებიან. გუნდს გაყვება გიორგი ხიდეშელიც, მიუხედავად იმისა, რომ ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო თამაშის უფლება მხოლოდ 7 სექტემბერს თბილისში სომხეთის ნაკრებთან აქვს.



მეკარეები - **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი ბახტაძე** (დიორი, უნგრეთი);

მცველები - **გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა** (ორივე - დინამო), **გიორგი ხიდეშელი** (ზესტაფონი), **ლაშა თოთაძე** (დიორი), **ნიკა კვეკვესკირი** (ბაია), **გიორგი რეხვიაშვილი** (ოლიმპი), **გიორგი გურული** (ტორპედო).

ნახევარმცველები - **გიორგი განუგრავა, თემურ შარაშენიძე** (ორივე - დიორი), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **თორნიკე ოქრიაშვილი** (შახტარი, უკრაინა), **ლუკა გუგუჩია** (ბაია), **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **თემურ შონია** (სპარტაკი);

თავდამსხმელები - **რევაზ ბარაბაძე** (უკლუბო), **გიორგი ივანიშვილი** (შაფჰაუზენი, შვეიცარია), **გიორგი ჭედია** (ოლიმპი), **რატი წინამძღვრიშვილი** (ზესტაფონი);

თურქეთში გამგზავრებამდე, ნაკრების მეკარე **როინ კვასხვაძეს** გავესაუბრეთ:

**- გასვლით შეხვედრაში მეკარეს მეტი საქმე აქვს. თურქებთან ზესტაფონში 4:0 მოგების შემდეგ კი განსაკუთრებით დაძაბულ შეხვედრას ველით...**

- თურქეთი მეორე ადგილზეა და თავისთავად ცხადია, რთული მატჩი იქნება. ამას ყველა ვაცნობიერებთ და სერიოზულად ვემზადებით. თუმცა ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება არა იმდენად ფიზიკურ და სპორტულ მომზადებაზე, რამდენადაც ჩვენს ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე.

**- საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იღბლიანია, რაც სომხეთშიც გამოჩნდა - ერევანში ბევრჯერ გადავრჩით. თუმცა მხოლოდ იღბლის იმედად ყოფნა არ შეიძლება...**

- გეთანხმებით, მაგრამ თამაშის ხასიათზეც ვართ დამოკიდებულები. როცა ორბურთიანი უპირატესობით დავწინაურდით, ოდნავ მოვეშვით და საკმაოდ ბევრი შეცდომა დავუშვით.

**- დაცვის ცენტრში გიორგი ხიდეშელის არყოფნა არ გაღელვებთ?**

- გიორგი დიდი დანაკლისია. წელს ძალიან კარგ ფორმაშია და თურქეთში მისნაირი მცველი ძალიან გვჭირდება, მაგრამ რას ვიზამთ, გაბელია მის შემცვლელს გამონახავს. ვინც არ უნდა ათამაშოს, დარწმუნებული ვარ, მონდომებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე გიორგის კარგად შეცვლის.

**- თქვენი აზრით, დარჩენილ ორ შეხვედრაში რამდენი ქულის მოპოვებაა რეალური?**

- თურქებს უნდა მოვუგოთ, თუმცა მათთან და სომხებთან ოთხი ქულაც კარგი შედეგი იქნება. წინასწარ მაინც ძნელი სათქმელია, ეს ჯგუფიდან გასასვლელად საკმარისი იქნება, თუ არა.

**- თეორიულად, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა შესაძლებელია. სხვა საკითხია, გაქვთ თუ არა ქართველ ფეხბურთელებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია?**

- გამარჯვებულის ფსიქოლოგია არ გვქონდა, მაგრამ წარმატებული თამაშების შემდეგ ამ გრძნობამ გაიღვიძა, ნაპერწკალი ნელ-ნელა გალვივდა. გუნდში ძალიან კარგი ატმოსფეროა და წარმატების უკვე ყველას სჯერა. გაიხსენეთ, ციკლის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის ასეთი შანსი ოდესმე თუ გვქონია, გუცაევის დროინდელ ახალგაზრდულ ნაკრებს თუ არ ჩავთვლით? აბა, რატომ არ შეიძლება, რომ ფინალში მოვხვდეთ? მთავარი რწმენა და იმედია. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს შეუძლია, ხალხი გაახაროს.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერები

## ორნი ჭიათურიდან ბაქოში

როგორც ჭიათურის „მაღაროელიდან" გვაცნობეს, ამ კლუბის ორი ფეხბურთელი კარიერას აზერბაიჯანის პირველი ლიგის ბინადარ „ნეფთჩი ISM"-ში გააგრძელებს: 1981 წელს დაბადებული მცველი **დავით შეყილაძე** და 1990 წელს დაბადებული თავდამსხმელი **გიორგი ვაშაძე**.

„მაღაროელის" მიერ ჩატარებულ საკონტროლო მატჩებს ბაქოური კლუბის სკაუტები დაესწრნენ და ეს ორი მოთამაშე სწორედ მაშინ გამოარჩიეს. შეყილაძესა და ვაშაძეს ერთწლიანი კონტრაქტები გაუფორმეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო
მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# მერებაშვილი სერბეთში საუკეთესოაო...

## ხუციშვილი დეპორტივოში ტალანტებს წაიყვანს

**მიხეილ ხუციშვილმა** საფეხბურთო კარიერა დაასრულა და მენეჯერობა დაიწყო. 20 წლის პლეიმეიკერს ზედმეტმა დატვირთვებმა გულზე პრობლემები გამოუვლინა და კარიერის ნაადრევად დასრულება ამიტომ გადაწყვიტა. ის ბოლოს სერბეთში, ნოვი სადის „ვოევოდინაში" თამაშობდა.

ხუციშვილის თქმით, „ვიტესში" ჩარიცხვამდე ესპანეთის პრიმერა დივიზიონის „რასინგში" გადასვლას **გურამ კაშიას** სთავაზობდა.

*„ესპანელები კაშიათი დაინტერესდნენ, მაგრამ გასინჯვას სთავაზობდნენ და არა კონტრაქტს. საბოლოოდ, „ვიტესში" პირდაპირ კონტრაქტით ჩარიცხვის საშუალება გაუჩნდა და ბუნებრივია, ეს უფრო აწყობდა",* - ამბობს ხუციშვილი.

მისი რეკომენდაციით „ვოევოდინაში" თბილისის „დინამოს" შემტევი ნახევარმცველი **გიორგი მერებაშვილი** აიყვანეს. მართალია, გასული სეზონის შემდეგ, გიორგი კლუბით უკმაყოფილო გახლდათ, მაგრამ წელს საქმეები მშვენივრად აეწყო. სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა და სათადარიგოებში ჯდომა წარსულს ჩააბარდა, ძირითადში ათამაშებენ და მწვრთნელის იმედებს ამართლებს: სერბეთის პირველობის მესამე ტურში „იავორთან" „ვოევოდინამ" ქართველის დუბლით გაიმარჯვა (2:0) და ნოვისადელები ჩემპიონატს 7 ქულით ლიდერობენ.

*„მერებაშვილმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყო. მესამე ტურის მატჩი ისე ჩაატარა, ტურის ფეხბურთელად აღიარეს. ქულების საუკეთესო მაჩვენებლით კი, დღეისათვის სერბეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეთა სიას ლიდერობს".*

ხუციშვილი გვიმხელს, რომ მალე ესპანეთში ქართველი ბავშვების წაყვანას აპირებს: *„საქართველოში ორი ნიჭიერი ბავშვია, რომლებსაც უცხოეთში მოწყობაში ვეხმარები. გვარების დასახელება ჯერ არ მინდა, მაგრამ ის კი შემიძლია გითხრათ, რომ ისინი წლის ბოლომდე „დეპორტივოს" დუბლებში ჩაირიცხებიან. ამას გარდა, დიდი შანსია, საქართველოს ჩემპიონატში დასაქმებული ორი ფეხბურთელი ევროპის ერთ-ერთ გუნდში გადავიყვანო".*

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. დუბლიორები. IV ტური

**ზესტაფონი-ოლიმპი 4:4**

**გოლები:** 1:0 რ. გენაძე (3 3), 1:1 კ. გაბაშვილი (6), 1:2 ყაზაიშვილი (70), 2:2 ნ. ჩიხლაძე (77), 2:3 ა. კვარაცხელია (80), 2:4 ა. კვარაცხელია (84), 3:4 ს. ლომია (87), 4:4 ს. ლომია (90)

**არბიტრი:** კ. მესხი

**სპარტაკი-სიონი 1:1**

**გოლები:** 1:0 ვ. ჯაყელი (27-ე წ), 1:1 ლ. უგულავა (41-ე წ)

**გაფრთხილება:** გ. კვანტალიანი, ს. ადამაშვილი, ლ. უგულავა, მ. ოქროპირიძე (ყველა სიონი).

**არბიტრი:** გ. ყრუაშვილი

**ბაია-დინამო 3:1**

**გოლები:** 1:0 მ. ჩანგელია (14), 1:1 ჯ. ჯილაური (44), 2:1 შ. ლომია (52), 3:1 ლ. კუკავა (80)

**გაფრთხილება:** რ. მაჭავარიანი (დინამო), თ. აკობია, შ. ლომია (ორივე ბაია).

**არბიტრი:** გ. კიკაჩეიშვილი

**ვიტ ჯორჯია-სამტრედია 2:0**

**გოლები:** 1:0 ზაქრაძე (35), 2:0 გურეშიძე (44)

**გაფრთხილება:** ლ. გაბელაია, ფურცხვანიძე (ორივე სამტრედია)

**გაძევება:** ფურცხვანიძე (სამტრედია)

**არბიტრი:** შ. ქუხილავა

**ტორპედო-კოლხეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 გ. ნიკოლეიშვილი (71)

**გაფრთხილება:** ცხვიტარია, ო. გოგონაია (ორივე კოლხეთი), კემუხტაშვილი (ტორპედო)

**არბიტრი:** დ. სანოძე

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 6 | 3 | 7 |
| 2. | ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 0 | 1 | 7 | 3 | 6 |
| 3. | სპარტაკი | 3 | 1 | 1 | 1 | 6 | 4 | 4 |
| 4. | სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 6 | 6 | 4 |
| 5. | ზესტაფონი | 3 | 1 | 1 | 1 | 8 | 9 | 4 |
| 6. | ოლიმპი | 3 | 1 | 1 | 1 | 6 | 7 | 4 |
| 7. | ბაია | 3 | 1 | 1 | 1 | 5 | 6 | 4 |
| 8. | დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 5 | 6 | 3 |
| 9. | კოლხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 5 | 6 | 3 |
| 10. | სამტრედია | 3 | 1 | 0 | 2 | 4 | 8 | 3 |

ტრანსფერები



გიორგი ჭანტურია

# ჭანტურია ვარჯიშობს, კაშია აფორმებს

## ჟორდანია უდრის 1200 ახალ აბონემენტს

საქართველოს 18 და 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **გიორგი ჭანტურია** „ვიტესში" ვარჯიშობს. მართალია, ჰოლანდიაში სატრანსფერო „ფანჯარა" დაიხურა, მაგრამ ეს შეზღუდვა გიორგის არ ეხება. „ჩელსიში" მისი ჩარიცხვის ამბავი მალე უნდა გადაწყდეს. ამის შემდეგ „ვიტესში" გაანათხოვრებენ და არნემელთა მთავარ გუნდშიც გადაიყვანენ.

როგორც გაცნობეთ, „ვიტესთან" კონტრაქტს თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი **გურამ კაშია** გააფორმებს. თუმცა კლუბი საქართველოსთან ურთიერთობას მხოლოდ კაშიათი და ჭანტურიათი არ ამთავრებს. „ვიტესის" მეპატრონე **მერაბ ჟორდანია** ქართულ საფეხბურთო სკოლებთან აქტიურ და საქმიან ურთიერთობებს გეგმავს, რათა ნიჭიერ ქართველ მოთამაშეებს ზრდის შანსი მისცეს და გზაზე დააყენოს. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი ტიპის კლუბის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, გაგვიმართლა, „ვიტესი" ჩვენებურმა რომ შეიძინა.

საინტერესო ფაქტია: „ვიტესის" საშინაო მატჩებს საშუალოდ 12 ათასამდე მაყურებელი ესწრება. ჟორდანიას მისვლის მეორე დღეს სტადიონზე შესასვლელი დამატებითი 1200 აბონემენტი გაიყიდა და არნემში მძლოლებმაც იციან იმ ქართველი მოთამაშეების გვარები, რომელთა მიწვევაც გადაწყვეტილია.

გუშინ „ვიტესის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გურამ კაშიასა და ჭანტურიას ტრანსფერები დაადასტურა. როგორც დავადგინეთ, არნემის კლუბში ოთხი ახალი ფეხბურთელია: 20 წლის ნორვეგიელი თავდამსხმელი **მარკ პედერსენი**, შოტლანდიური „ჰართსისა" და განის ნაკრების 29 წლის ფორვარდი **ლარი კინგსტონი** (41 მატჩი და 6 გოლი ეროვნულ გუნდში), ლონდონის „არსენალსა" და „დერბი ქაუნთის" თავდამსხმელი **ნასერ ბარაზიტი** და გურამ კაშია.

კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ქართველ მცველზე წერს: *„ახალწვეულებიდან ყველაზე ნაკლებად ცნობილი გურამ კაშიაა. ეს 23 წლის მცველი თბილისის „დინამოში" ახალგაზრდული ასაკიდან თამაშობს. იწვევდნენ ეროვნულ ნაკრებში. „ვიტესმა" მასთან კონტრაქტი ოპციონის წესით - (1+1) გააფორმა. ის დროებით თბილისშია და ჰოლანდიაში სამუშაო ვიზას ელოდება".*

„ვიტესის" პრესსამსახურმა ინფორმაცია გიორგი ჭანტურიაზეც გაავრცელა: „გიორგი ჭანტურია არნემშია და კლუბში ვარჯიშობს. ის „ბარსელონას" დუბლებში თამაშობდა და უახლოეს დღეებში „ბრიუგესთან" საკონტროლო შეხვედრისთვის ემზადება. კლუბის ტექნიკური დირექტორი **ტედ ვან ლეეუვენი** ამბობს:

*„გიორგი მხოლოდ 17 წლისაა და ჯერ კონტრაქტის გაფორმების უფლება არ აქვს, რადგან ჰოლანდიის შრომისა და შემოსავლების სამინისტრო 18-წლამდელ არაევროკავშირელზე სამუშაო ვიზას არ გასცემს".*

თუმცა ამ ინფორმაციის შინაარსიდან ჩანს, რომ კლუბი ქართველის პრობლემის მოგვარებას ყველანაირად ცდილობს.

**მერაბ მამულაშვილი**

კონტაქტები

# გია ხურციძე:

# თურანის პრეზიდენტს პარტნიორობა სურს

## ძოძუაშვილი უკვე მთავარი მწვრთნელია, გუშარაშვილი და კვარაცხელიაც აზერბაიჯანში?



**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში კიდევ ერთი გუნდი გამოჩნდა, რომელიც ქართველების მასობრივი აყვანით დაინტერესდა - თაუზის „თურანი". ამ გუნდში ჯერ „სამტრედიას" ნახევარმცველი შალვა ფირცხალავა და თბილისის „ლოკომოტივის" ექსფორვარდი გიორგი მოდებაძე გადაიყვანეს, შემდეგ მწვრთნელ-კონსულტანტად რევაზ ძოძუაშვილი დანიშნეს, ახლახან კი, რუსთავის „ოლიმპიდან" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი, გიორგი ჭედია მიიწვიეს. თუმცა, ქართველებთან დაკავშირებული თაუზელთა გეგმები ამით არ ამოიწურება.

როგორც შევიტყვეთ, „თურანის" ქართველი ფეხბურთელებით დაინტერესების ინიციატორი ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი პრეზიდენტი გია ხურციძეა, რომელიც „თურანის" ბოს მუსა სულეიმანოვის მეგობარი და საქმიანი პარტნიორია. ეს უკანასკნელი აგვისტოში თბილისშიც ბრძანდებოდა. ხურციძემ ბევრი საინტერესო სიახლე გაგვანდო...

**- ბატონო გია, როგორც გავიგეთ „თურანთან" ურთიერთობა თქვენ დაამყარეთ...**

- დიდი ხანია, აზერბაიჯანელებთან მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მაქვს. თავის დროზე მე გადავიყვანე რეზო გენაძე და რომან გოგინაშვილი. ვცდილობდი ისეთი ფეხბურთელები შემეთავაზებინა, რომლებიც ქართულ ფეხბურთს არ შეარცხვენდნენ.

**- „თურანის" პრეზიდენტ მუსა სულეიმანოვს საქართველოში შეხვდით?**

- რა თქმა უნდა. სულეიმანოვმა „თურანი" წელს აიყვანა და კლუბის გაძლიერება სურს. მიცნობდა, მენდობოდა და რჩევაც მკითხა. თაუზი საქართველოსთან ახლოს მდებარეობს და ეს ქალაქი აზერბაიჯანული ფეხბურთისთვის ისეთივე როლს ასრულებდა, როგორც ჩვენთვის დასავლეთ საქართველო, ყოველთვის სხვებზე მეტ ხარისხიან მოთამაშეებს ზრდიდა. თუმცა, ძლიერი კლუბის ჩამოსაყალიბებელი ფული არასდროს ჰქონიათ. კლუბს ამბიციები მხოლოდ სულეიმანოვის მისვლის შემდეგ გაუჩნდა და უახლოეს პერიოდში ჩემპიონობისთვის ბრძოლა სურთ. არა მგონია, ასეთ კლუბში ქართველების სიმრავლე არ წაგვადგეს.

**- რევაზ ძოძუაშვილის კანდიდატურა თქვენ შესთავაზეთ?**

- დიახ, რადგან კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები. ქუთაისში ურთულეს პერიოდში მივიწვიე, „ტორპედო" ლიკვიდირებული იყო, მაგრამ გუნდი გუნდს დაამსგავსა და საინტერესო ფეხბურთელები დააწინაურა - გიორგი ჭედია, გიორგი გურული, მაქსიმე ქვილითაია, ძმები შალიკაშვილები... ბაქარ მირცხულავა, რომელიც ახლა ლისაბონის „ბენფიკას" დუბლებშია, ძალიან პატარა ავიყვანეთ... ერთ სეზონში ამდენ ნიჭიერ ბავშვს რომ აღმოაჩენ, გამოდის, მწვრთნელის ნიჭი აქვს. ასეთი კაცის დაკარგვა არ შეიძლებოდა და სულეიმანოვს მისი კანდიდატურა დაუფიქრებლად ვურჩიე. „თურანის" ახალი მეპატრონე სერიოზული ბიზნესმენია, საკუთარი ქარხნები და ტელევიზია აქვს და, რაც მთავარია, ქართველები უყვარს. სხვათა შორის, მოლაპარაკება გქვონდა არა მხოლოდ ფეხბურთელების წაყვანაზე, არამედ ბევრად უფრო მასშტაბურ პროექტზეც. სულეიმანოვს საქართველოში საკუთარი საფეხბურთო აკადემიის დაარსება სურს და ვურჩიე, „რევაზ ძოძუაშვილის სახელობის საფეხბურთო აკადემია" დაარქვას - თბილისის სიახლოვეს პოსტსაბჭოთში ინფრასტრუქტურით გამორჩეული ახალი აკადემიის აშენებაზეა ლაპარაკი. ვნახოთ, თუ ეს საბოლოოდ გადაწყდება, ქართული ფეხბურთი ნამდვილად არ წააგებს.

**- ...და ეს ყველაფერი თქვენი ნინადადება იყო?**

- ნაწილი ჩემი იყო, ნაწილი მისი იდეა გახლდათ. ქართულ ფეხბურთში დიდი პოტენციალია და ამას ითვალისწინებს.

**- მერე და, არ ჯობდა, კლუბიც აეყვანა?**

- ჯერ ამაზე კონკრეტულად არ გვილაპარაკია, მაგრამ სულეიმანოვი ფიქრობს.

**- კლუბში მუშაობა თავადაც ხომ არ დაიწყეთ?**

- არა, მე მხოლოდ რჩევებით, მეგობრულად ვეხმარები.

**- ჭედია, მოდებაძე, ფირცხალავა... ვინ იქნება „თურანის" შემდეგი შენაძენი?**

- ჯერ ნამდვილად ვერ გეტყვით, „თურანში" ვინმე ჩაირიცხება თუ არა, მაგრამ ნიკა გუშარაშვილთან და გია კვარაცხელიასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. სულ დახლოებით 3-4 მოთამაშის წაყვანაზეა ლაპარაკი. სელექცია დაწყებულია და შესაძლოა, სახელიანების ნაცვლად, ნიჭიერი 19-20 წლის ბავშვები მიიწვიონ. ამ ასაკის ბავშვებს ჩვენთან თავის გამოჩენის საშუალება არ აქვთ და ამის გამო, ბევრი სწორედ ამ დროს იკარგება. აქ თუ ვერ ვიყენებთ, იქნებ, „თურანს" გამოადგნენ?

**- მერე „თურანის" მთავარი მწვრთნელი ამაზე დათანახმდა?**

- 31 აგვისტოს, ჩემი რეკომენდაციით, მთავარ მწვრთნელად თავად ძოძუაშვილი დაინიშნა.

**- ტატანაშვილის გადასვლაზე მართლა იყო ლაპარაკი?**

- არა მხოლოდ ლაპარაკი, არამედ შეთანხმებულიც იყო, მაგრამ ბოლო მომენტში უკრაინიდან დაუკავშირდნენ და უკეთეს ლიგაში თამაშზე უარს იტყოდა? თუმცა დიმამ კონტრაქტი წლის ბოლომდე გააფორმა და შეთანხმების მიხედვით, თუ 18-კაციან განაცხადში ვერ მოხვდა, ხელფასს ვერ მიიღებს.

**- „თურანი" წელს მდიდარ კლუბად ითვლება?**

- აზერბაიჯანული მასშტაბით საშუალო შეძლებისაა, მაგრამ რა ბიუჯეტიც აქვს, იმდენი არც ერთ ქართულ კლუბს არ გააჩნია.

**- თქვენი აზრით, ამდენი ქართველის მოზლვავება აზერბაიჯანელებს არ გაალიზიანებთ?**

- საკუთარზე მეტად სხვებს რომ ენდობიან, ეს მხოლოდ აზერბაიჯანში არ ალიზიანებთ, ყველა ქვეყანაში ასეა. ჩვენთან ნაკრებში უცხოელი მწვრთნელები რომ ჩამოიყვანეს და რამდენიმე კლუბში ლეგიონერები მომრავლდნენ, იგივე რეაქცი არ გვქონდა, ქართველებს რატომ არ ვენდობითო? საქმე გააკეთე და მადლობას გვეტყვიან, მით უფრო აზერბაიჯანელები, რომლებსაც ქართველები ძალიან უყვართ.

*ამ საუბრის შემდეგ, გია კავარცხელიას დავუკავშირდით, რომელმაც ერთი კვირის წინ, ბელარუსიის უმაღლესლიგელი ბრესტის „დინამო" დატოვა. გიამ „თურანთან" მოლაპარაკება დაადასტურა, მაგრამ გადასვლის წინაპირობად, გუნდთან ფინანსურ საკითხებზე შეთანხმება დაასახელა.*

**მერაბ მამულაშვილი**

| პირველი ლიგა | | |
|---|---|---|
| I ტური | | |
| ლოკომოტივი-მერცხალი | 1 | 1 |
| გაგრა-წ/დინამოელი | 2 | 1 |
| ადელი-გორი | 1 | 2 |
| სამგურალი-სკური | 2 | 1 |
| კოლხეთი (ხ)-ჩიხურა | 0 | 1 |
| მეშახტე-ჭიათურა | 4 | 1 |
| მარტვილი-ბათუმი | 1 | 0 |
| გურია-იმერეთი | 4 | 2 |

*ჩხერიმელა ისვენებს*

# საქართველოს ჩემპიონატი

# თვის ნომინანტები. აგვისტო

დ**Ა ᲐᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ** ტრადიციული რუბრიკის დროც დადგა! უკვე 4 წელიწადია, „ლელო“ თვის ნომინანტებს ასახელებს: „თვის მწვრთნელს“, „თვის ფეხბურთელს“, „თვის აღმოჩენას“ და ასე შემდეგ. რაღა თქმა უნდა, თვის სიმბოლურ ნაკრებსაც ვადგენთ ხოლმე, მოკლედ, კონკრეტულ თვეში გამორჩეულთ დამსახურებას არ ვუკარგავთ. ისიც ხშირად ყოფილა, როცა რომელიმე ნომინაციაში საქმე მართლაც ასარჩევად გვქონია, ან პირიქით - არც არავინ დაგვისახელებია. გამონაკლისი არც ამ სეზონის პირველი თვე იყო - კალენდრით გათვალისწინებული ოთხის ნაცვლად მხოლოდ სამი ტური რომ ჩატარდა...

## მწვრთნელი ბესიკ შეროზია (კოლხეთი)



ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ინდივიდუალურ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოსავლენად მუდამ მარტივი წესით ვხელმძღვანელობდით: კონკრეტული თვის განმავლობაში ვინც უფრო მეტჯერ მოხვდებოდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში, სწორედ იმას ვირჩევდით „თვის მწვრთნელად“ თუ „თვის ფეხბურთელად“. თუმცა წინა ოთხი სეზონის განმავლობაში ისეც მომხდარა, როცა ზემოთნახსენები მარტივი წესის ნაცვლად სხვა კრიტერიუმები· გაგვითვალისწინებია და ამა თუ იმ ნომინაციაში გამარჯვებულიც ასე გამოგვივლენია.

სწორედ ასეთი სიტუაცია შეიქმნა აგვისტოს მწვრთნელის არჩევის შემთხვევაშიც - გასულ თვეში „ტურის მწვრთნელად“ სამი სხვადასხვა გუნდის თავკაცი დავასახელეთ, „თვის მწვრთნელად“ კი სულ სხვა სპეციალისტი მივიჩნიეთ. ახლა კი, ალბათ, ჯობს უფრო დავკონკრეტდეთ და ისე ვისაუბროთ. მოგეხსენებათ, ჩვენთან ახალი სეზონი მეორე ტურიდან დაიწყო და იმ ტურის მწვრთნელად, თანაც სრულიად დამსახურებულად - **კახა კაჭარავა** („დინამო“) დავასახელეთ.

ალტერნატივა არ ჰყავდათ და არავისთვის საკამათო არ უნდა ყოფილიყო ჩვენი არჩევანი III და IV ტურის შემდეგაც, როცა „ტურის მწვრთნელებად“ ჯერ **თემურ მახარაძე** („ოლიმპი“) დავასახელეთ, მერე - **გია გეგუჩაძე** („ზესტაფონი“). ანუ, ისევ და ისევ იმ ზემოთნახსენები მარტივი წესით რომ გვეხელმძღვანელა, „თვის მწვრთნელი“ სწორედ კახა კაჭარავას, თემურ მახარაძესა და გია გეგუჩაძეს შორის უნდა „ამოგვერჩია“; მაგრამ, ისე მოხდა, რომ ამ სამი სპეციალისტიდან აგვისტო უდანაკარგოდ ვერც ერთმა ჩაატარა: „დინამომ“ პრინციპული მატჩი მოუგო „ზესტაფონს“, მაგრამ მომდევნო ტურში „ოლიმპთან“ დამარცხდა; თავის მხრივ, „ოლიმპმა“ „ზესტაფონთნ“ წააგო და ასე შემდეგ. მოკლედ „თვის მწვრთნელი“ სხვაგან უნდა გვეძებნა და მივაგენით კიდეც: XXII ჩემპიონატში ჯერჯერობით ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდის, ფოთის „კოლხეთის“ თავკაცი **ბესიკ შეროზია!**

...ახალი სეზონის დაწყების წინ თითოეული გუნდის შანსებზე რომ ვმსჯელობდით, მაშინაც აღვნიშნეთ: ოთხწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „კოლხეთს“ მოკრძალებული მიზნები არ ექნება-თქო. რა თქმა უნდა, ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად არ შეგვირაცხავს, მაგრამ იმაში კი ღრმად დარწმუნებული ვიყავით, რომ ახალ სეზონში „კოლხეთი“ ღირსეულად იასპარეზებდა. ჯერჯერობით სამი ტური ჩატარდა და ჩვენი პროგნოზიც მართლდება: ხუთი ქულით „კოლხეთი“ მესამე ადგილზე იმყოფება და, რაც მთავარია, ერთადერთი გუნდია, თამაში რომ არ წაუგია; უფრო მეტიც - ასევე ერთადერთი გუნდია, საკუთარ კარში გოლი რომ არ გაუშვია! რა თქმა უნდა, ასეთი შედეგი მთელი გუნდის დამსახურებაა: უშეცდომოდ და „მშრალად“ მოასპარეზე მეკარის **გიზო შენგელიასი**, საიმედოდ მოთამაშე ცენტრალური მცველების (**მიხეილ მახვილაძე, ალექსანდრე ინწკირველი**), პლუს შუა ხაზისა და თავდამსხმელების აქტიურობისაც (ამათგან, უპირველეს ყოვლისა, მართლაც საინტერესო შემტევი ახალგაზრდა **დათა სიჭინავა** უნდა აღვნიშნოთ).

აღარაფერს ვამბობთ მთავარი მწვრთნელის ფაქტორზეც: ბესიკ შეროზიას უმაღლეს ლიგაში ახალბედა ნამდვილად არ ეთქმის; ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ეს სპეციალისტი საკუთარ, სხვებისგან განსხვავებულ სათამაშო სტილს ანიჭებს უპირატესობას. ამის დასტურად იმის გახსენებაც საკმარისი იქნება, თუ როგორ თვალსასეირო ფეხბურთს უჩვენებდა XIX და XX ჩემპიონატში ბესიკ შეროზიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე ზუგდიდის „მგლები“.

შეროზია გასული წლის მიწურულს დაინიშნა „კოლხეთის“ მთავარ მწვრთნელად და გუნდის წინაშე დასახული უმთავრესი მიზნის შესრულებაში ლომის წილი შეიტანა - საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში მუდამ გამორჩეულ-განსაკუთრებული „კოლხეთი“ უმაღლეს ლიგაში გადმოიყვანა. უძლიერესთა გარემოცვაში ჩატარებულმა პირველმა თვემ, ჯერჯერობით წარმატებით ჩაიარა, წინ კი სექტემბერია, სადაც „კოლხეთს“ ხუთიდან სამი მატჩი ჩემპიონობის ფავორიტებთან („დინამო“, „ზესტაფონი“, „ოლიმპი“) ექნება...

## ფეხბურთელი

ᲬᲘᲜᲐ ოთხი სეზონის განმავლობაში, თავდაპირველად, ასეთი რამ იშვიათობას წარმოადგენდა: თვე არ გავიდოდა, კონკრეტულ ფეხბურთელს არ გაებრწყინა; სამწუხაროდ, მერე და მერე, ისეთი შემთხვევებიც გახშირდა, როცა „თვის ფეხბურთელის“ გამოვლენაც გვიჭირდა ხოლმე; და უფრო მეტიც - როცა ამ ნომინაციაში... არავის ვასახელებდით! რაღა შორს მივდივართ და წინა სეზონი გავიხსენოთ, როცა საქმე მართლაც ასარჩევად გვქონდა; ეგ კი არა, სეზონის დასრულების შემდეგ დიდი საფიქრალიც გაგვიჩნდა, თუ ვინ დაგვესახელებინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად: **ანდერსონ აკინო** (ოლიმპი), **გურამ კაშია** (დინამო) თუ **დავით იმედაშვილი** (ოლიმპი)...

აი, ახალი სეზონის პირველ თვეში კი გამორჩეული ინდივიდუალისტი არა გვყოლია; უფრო ზუსტად, სტაბილურად მაღალ დონეზე სამივე მატჩი არც ერთ ფეხბურთელს არ ჩაუტარებია. სხვათა შორის, „თვის ნომინანტების“ დასახელებისას, არცთუ იშვიათად ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა საუკეთესოდ ერთდროულად ორი ფეხბურთელი მიგვიჩნევია, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგვისტოში ასე გამორჩეულად ერთი ან ორი მოთამაშე არ ყოფილა.



ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სამი ტური ჩატარდა და „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“ ვერც ერთმა ფეხბურთელმა მოახერხა სამივეჯერ მოხვედრა. სხვებთან შედარებით ეს თვე წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ სამი ფეხბურთელისათვის:

**თორნიკე აფციაური** (ზესტაფონი), **რევაზ გენაძე** (ოლიმპი) და **ჯაბა ლიპარტია** (ვიტ ჯორჯია) ორ-ორჯერ მოხვდნენ ტურის სიმბოლურ ნაკრებში. ამათ გარდა, ცალკეული მატჩები მაღალ დონეზე ჩაატარეს: **როინ კვასხვაძემ, რატი წინამძღვრიშვილმა, ნიკოლოზ გელაშვილმა, ბუბა დაუშვილმა, კახა ალადაშვილმა** (ყველა - ზესტაფონი), **ალექსანდრე კოშკაძემ, რობერტინიომ, დონალდ ჯუისმა, გულვერდ თომაშვილმა** (ყველა - დინამო), **გიორგი რეხვიაშვილმა, ალექსანდრე კვახაძემ, ლაშა ჯაფარიძემ, დავით ბოლქვაძემ** (ყველა - ოლიმპი), **გიორგი სომხიშვილმა, ნიკა კვეკვესკირმა, ლუკა გაგუჩიამ** (სამივე - ბაია), **ვახტანგ კვარაცხელიამ, დავით ჯანელიძემ** (ორივე - ვიტ ჯორჯია), **გიზო შენგელიამ, ალექსანდრე ინწკირველმა, მიხეილ მახვილაძემ, დათა სიჭინავამ** (ყველა - კოლხეთი), **მინდია ბობლიაშვილმა, გივი დიდავამ, ვლადიმერ უგრეხელიძემ** (სამივე - სიონი), **თეიმურაზ შონიამ, ტიერი-ანს კლოვისმა** (ორივე - სპარტაკი) და სხვებმა. სწორედ ამათგან საუკეთესოებს კი აგვისტოს სიმბოლურ ნაკრებში მივუჩინეთ ადგილი...

## თვის დაბრუნებები

ᲐᲮᲐᲚᲘ სეზონის დაწყებამდეც ვწერდით მოსალოდნელ და ერთობ სასიამოვნო ტენდენციაზე: სხვადასხვა დროს აქედან წასული ფეხბურთელების სამშობლოში დაბრუნებაზე. და აი, აგვისტოში სამი ტური ჩატარდა და ვისზეც ვვარაუდობდით, თითქმის ყველა მათგანი საქართველოს ჩემპიონატში აგრძელებს კარიერას; თანაც, ზოგი ნახევარი ან ერთი წლის მერე დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს, ზოგი - ორი და სამი წლის შემდეგ, ზოგს კი - უფრო დიდხნიანი პაუზა ჰქონდა.

ახალი რა უნდა ვთქვათ: სხვადასხვა უცხოურ კლუბში მოასპარეზე ქართველი ფეხბურთელების დაბრუნებით ეროვნულ ჩემპიონატს გარკვეული ხიბლიც ემატება; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თითოეულ მათგანს ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრებს და მათ გვერდით ახალგაზრდა ფეხბურთელებიც დაოსტატდებიან. აი, ისინიც, გარკვეული პაუზის შემდეგ რომ დაუბრუნდნენ საქართველოს ჩემპიონატს:

**დავით ჭიჭველიშვილი, გიორგი მეგრელაძე, კახა ჩხეტიანი** (სამივე - ბაია), **დავით ბოლქვაძე, რევაზ გეწაძე, ირაკლი მოდებაძე** (სამივე - ოლიმპი), **კახა ალადაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი** (ორივე - ზესტაფონი), **მიხეილ მახვილაძე, ალექსანდე ინწკირველი** (ორივე - კოლხეთი), **სერგო ორბელაძე, რევაზ გოცირიძე** (ორივე - სიონი), **სოსო გრიშიკაშვილი** (სპარტაკი), **ლევან ხმალაძე** (დინამო), **დავით დიღმელაშვილი** (ტორპედო).

## აგვისტოს სიმბოლური ნაკრები




## სასიამოვნო მოულოდნელობა — ვიტ ჯორჯია

ᲪᲝᲢᲐ არ იყოს, უხერხულიც არის, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და წარმატებულ კლუბს „გუნდი-აღმოჩენა“ დავარქვათ, ან კიდევ ამ გუნდის ასპარეზობას სასიამოვნო მოულოდნელობა ვუწოდოთ. მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით: სეზონის დაწყების წინ სახეშეცვლილი და გადახალისებული „ვიტ ჯორჯიას“ შანსებზე ყველა ფრთხილად საუბრობდა.

რა თქმა უნდა, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის კანდიდატად არავინ მოიხსენიებდა (და ეს, უამრავი საკადრო ცვლილების მიუხედავად), მაგრამ ისიც ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ როგორ შეძლებდა ერთიანად გაახალგაზრდავებული გუნდი წარმატებულ ასპარეზობას. მაგრამ სეზონი დაიწყო და **მერაბ კოჭლაშვილის**, ფაქტობრივად, ახალი გუნდი საპირისპიროს ამტკიცებს: შარშან და შარშანწინ, ამავე კლუბის დუბლშემადგენლობასა თუ პირველ ლიგაში მოასპარეზე ახალგაზრდები ამჯერად უკვე უმაღლეს ლიგაში ამტკიცებენ „ვიტ ჯორჯიას“ საკლუბო პოლიტიკის მართებულობას.

ბუნებრივია, სეზონის ბოლომდე ცხრილის მოწინავე პოზიციებზე ყოფნა გუნდს ნამდვილად გაუჭირდება, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“ წინასწარ ქულები რომ არავინ უნდა დაგეგმოს, ესეც ფაქტია. თან ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერჯერობით კვლავაც გუნდში არიან გამოცდილი ფეხბურთელები:

**დავით ლომაია, ირაკლი კლიმიაშვილი, გიგა ბეჟვაია,** ხოლო **ჯაბა ლიპარტიასა** და **ვახტანგ კვარაცხელიას** კონკრეტული მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ (რა თქმა უნდა, ახალგაზრდა პარტნიორების დახმარებით), ყოველივე ეს „ბაიასთან“ და „სამტრედიასთან“ მატჩშიც დაამტკიცეს.




გვერდი მოამზადა გია ტუხაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012 ინგლისის ნაკრები

# კაპელომ კრაუჩი დაკარგა


პიტერ კრაუჩი

**პიტერ კრაუჩი** ბულგარეთსა და შვეიცარიასთან ევრო 2012-ის შესარჩევ თამაშებს გამოტოვებს. „ტოტენჰემის" თავდამსხმელის საქმე იმთავითვე გაურკვევლად იყო. მისი კლუბის მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** კრაუჩი შეკრებაზე კი გაუშვა, მაგრამ იქვე დასძინა - დიდი ეჭვი მაქვს, მაგან „უიგანთან" ბოლო ტურის შეხვედრაში ნეკნი დაიზიანაო...

ამ ნათქვამის გამო თადარიგი დაიჭირა ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომაც**. იტალიელმა შესარჩევი შეხვედრებისთვის მოსამზადებლად დამატებითი, ოცდამეოთხე ფეხბურთელიც გამოიძახა, ასე რომ, კრაუჩის შემცვლელის გამოძახება აღარ დასჭირდება. გათავისუფლებულმა ფორვარდმა „სფურზის" ექიმებს მიაშურა.

მოგეხსენებათ, სანაკრებო მატჩებში ვერც **ბობი ზამორა** მონაწილეობს და ამდენად, კაპელოს განკარგულებაში ეს თავდამსხმელები დარჩნენ - **უეინ რუნი, კარლტონ კოული, დარენ ბენტი** და **ჯერმეინ დეფო**. ამათგან, დეფორა ხანია საზარდულს უჩივის და რამდენადაც ცნობილია, საოპერაციოცაა.

აქვე დავძენთ: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, ტრავმების შესახებ არაფერი გამოაცხადოს. ფაქტია, რომ ტრავმებმა ამ ეტაპზე ინგლისელებს მართლა სერიოზულად დარია ხელი. ბოლო დღეებში შეკრებას მარტო კრაუჩი როდი გამოაკლდა - სამშაბათის ვარჯიშზე კაპელოს სულაც ერთი მეკარე ჰყავდა. ვერ ვარჯიშობდა **ფილ ჯაგიელკაც**, რომელზეც, რედნაპისა და კრაუჩის არ იყოს, მისი მწვრთნელი **დევიდ მოიესი** ამბობდა - „ასტონ ვილასთან" შაბათის თამაშის შემდეგ ისეთი დაშავებული ჩანდა, სავარაუდოდ შესარჩევებში მონაწილეობა ძალიან გაუჭირდებაო...

**ილია ბაბუნაშვილი**

მილანი

# პატუ სარეზერვო სიაში?


ალეშანდრო პატუ

„მილანმა" საჩემპიონთალიგო განაცხადი გამოაქვეყნა და იქ **ალეშანდრე პატუს** გვარი არ ჩაუწერია. როსონერიმ ახალგაზრდა ბრაზილიელი მხოლოდ სათადარიგო, B სიაში შეიყვანა, სადაც უმეტესწილად, ფარმ-კლუბის ჭაბუკ წევრებს წერენ ხოლმე.

თუმცა საგანგაშო არაფერია - პატუ „მილანისთვის" საჭირო ფიგურად რჩება. საქმე ისაა, რომ მას 21 წელი დღეს უსრულდება, ამასთანავე, უკვე სამი წელია, „მილანის" ღირსებას იცავს და ამიტომაც სათადარიგო განაცხადში მოხვედრის უფლება აქვს. ბრაზილიელი ფორვარდი ამის მიუხედავად, უპრობლემოდ შეძლებს ჩემპიონთა ლიგაში თამაშს, სამაგიეროდ, A სიაში ერთი დამატებითი ადგილი გამოთავისუფლდა. სხვა კლუბების მსგავსად, „მილანმა" ჩემპიონთა ლიგაში 25 ფეხბურთელი წარადგინა.

მეკარეები: **კრისტიან აბიატი, მარკო ამელია, ფლავიო რომა;**

მცველები: **ალესანდრო ნესტა, სოკრატის პაპასტატოპულოსი, მასიმო ოდო, მარეკ იანკულოვსკი, მასიმო ძამბროტა, დანიელე ბონერა, ტიაგო სილვა, მარიო იეპესი, ლუკა ანტონინი;**

ნახევარმცველები: **ჯენარო გატუზო, კლარენს ზეედორფი, მატიო ფლამინი, ინასიო აბატე, ანდრეა პირლო, მასიმო აბროზინი, კევინ-პრინს ბოატენგი, როდნი შტრასერი;**

თავდამსხმელები: **ფილიპო ინძაგი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რობინიო, რონალდინიო, პატუ.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერი

# ბენიტესი უკმაყოფილოა


რაფა ბენიტესი სატრანსფერო ბაზარზე პასიურობას არ ელოდა

იტალიური პრესა ირწმუნება, რომ **რაფა ბენიტესი** „ინტერის" სატრანსფერო უმოქმედობით უკმაყოფილოა. „ნერაძურის" ახალი თავკაცი იმედოვნებდა, რომ ზაფხულში მისი კლუბი **ხავიერ მასკერანოსა** და **დირკ კუიტს** შეიძენდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

მასიმო მორატის ასეთი ინერტული ზაფხული არასოდეს ჰქონია. იტალიელი მიმომხილველები იხსენებენ, რომ ყველაზე ნაკლებად აქამდე „ინტერმა" 2004 წელს იაქტიურა, როცა მხოლოდ ორი არცთუ დიდი ვარსკვლავი, არგენტინელი **ნიკოლას ბურდისო** და ბრაზილიელი **ზე მარია** იყიდა.

შეგახსენებთ, გასულ ზაფხულს „ინტერმა" „მანჩესტერ სიტიში" **მარიო ბალოტელი** გაყიდა, ახალწვეული კი ერთადერთი და ისიც ნაკლებად ცნობილი ჰყავს - „პარმადან" 4,5 მილიონ ევროდ შეძენილი **ჯონათან ბიაბიანი**.

ამასობაში, ჩემპიონთა ლიგისთვის განაცხადი „ინტერმაც" გამოაქვეყნა, რომელშიც სულ 31 ფეხბურთელია შეყვანილი - 25 ძირითად და 6-იც სათადარიგო სიაში:

**1. ჟულიო სესარი, 2. ივან კორდობა, 4. ხავიერ ძანეტი, 5. დეიან სტანკოვიჩი, 6. ლუსიო, 8. ტიაგო მოტა, 9. სამუელ ეტო'ო, 10. ვესლი სნეიდერი, 11. სალი მუნტარი, 12. ლუკა კასტელაცი, 13. მაიკონი, 17. მაკდონალდ მარიგა, 19. ესტებან კამბიასო, 20. ჟოელ ობი, 21. პაოლო ორლანდონი, 22. დიეგო მილიტო, 23. მარკო მატერაცი, 25. ვალტერ სამუელი, 26. კრისტიან კივუ, 27. გორან პანდევი, 29. კუტინიო, 30. ამანტინო მანსინი, 34. კრისტიანო ბირაგი, 35. ანდრეა რომანო, 39. დავიდე სანტონი, 40. ობიორა ნვანკვო, 48. ლორენცო კრისეტიგი, 50. ჯონათან ბიაბიანი, 54. სიმონე დელ'ანიელო, 57. ფელიჩე ნატალინო, 92. ალბერტო ჯალინეტა.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

უკრაინა

# ერიქსონი? რატომაც არა?!


სვენ იორან ერიქსონს უკრაინაში მუშაობის შანსი აქვს

მას შემდეგ, რაც უკრაინის ნაკრების თავკაცის პოსტიდან **მირონ მარკევიჩი** გადადგა, ეს თანამდებობა დროებით **იური კალიტვინცევს** ჩააბარეს. თუმცა, უკრაინის საფეხბურთო წრეებში მარკევიჩის სრულფასოვან მემკვიდრეთა შორის ცნობილ უცხოელებს ასახელებენ და მათ შორის - **სვენ იორან ერიქსონსაც**.

ერიქსონისა და უკრაინულ ნაკრებში მისი შესაძლო გათავკაცების შესახებ თავისი მოსაზრება ცნობილმა საფეხბურთო აგენტმა **შანდორ ვარგამ** გამოთქვა.

*„ამ მწვრთნელს პირადად ვიცნობ და უკრაინაში ერიქსონის ჩამოსვლის თაობაზე გავრცელებულმა ხმებმა ამიტომ არ გამაკვირვა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს კაცი თავისთვის უცხო ქვეყანაში იოლად ადაპტირების უნარს ფლობს. თუკი მარჩელო ლიპის უთქვამს, მხოლოდ იტალიაში ვიმუშავებო, ერიქსონს უკრაინაში სამუშაოდ წასვლაზე თანხმობის თქმა არ გაუჭირდება. იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ შვედს უკრაინის ნაკრების ფეხბურთელთა დონეზე ინფორმაციის ნაკლებობა არ ექნება"*, - თქვა ვარგამ.

**სლავა გასპაროვი**

ამბები

## ბოლონიას მალეზანი გაწვრთნის

„ბოლონიას" მთავარ მწვრთნელად გამოცდილი **ალბერტო მალეზანი** დანიშნეს. კლუბმა მას ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „ბოლონიას" აქამდე **ფრანკო კოლომბა** წვრთნიდა, რომელიც სერია A-ს პირველი ტურის შემდეგ დაითხოვეს. არადა, იმ მატჩში მისმა გუნდმა „ინტერს" ქულა აართვა. „ბოლონიას" მფლობელ **სერხიო პორჩედას** თქმით, მისი კლუბის განვითარების სტრატეგიას მალეზანისნაირი წარსულის მქონე სპეციალისტი სჭირდება.

მალესანი ბოლოს „სიენაში" მოღვაწეობდა, ყველაზე წარმატებული პერიოდი კი „პარმაში" გაატარა, რომელსაც 1999 წელს უეფას თასიც მოაგებინა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ტონი ავარიაში მოყვა

**ლუკა ტონის** გენუასთან ახლოს ავტოსაგზაო შემთხვევა მოუვიდა, მაგრამ საბედნიეროდ, ვეტერანი ფორვარდი უვნებლად გადარჩა.

*„მინდა გულშემატკივრები დავამშვიდო და ვთქვა, რომ პანიკის გარდა, საგანგაშო არაფერი მომსვლია. ჩემთვის მშვიდად მივდიოდი, როცა ვიღაც გადარეული კინაღამ დამეჯახა. შეჯახების თავიდან ასაცილებლად მკვეთრად მოვუხვიე და მანქანით გზის დამცავ ბარიერს მივენარცხე"*, - თქვა ტონიმ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ცვლილება კალენდარში

წესით, „ლაციოსა" და „მილანის" მე-4 ტურის შეხვედრა 21 სექტემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დღისთვის რომის ოლიმპიურ სტადიონზე მომღერალ **ჯიჯი დ'ალესიოს** კონცერტი დაიგეგმა, რომაელები და მილანელები ერთმანეთს 22 სექტემბერს დაუპირისპირდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ტიმო სპორტინგმა წაიყვანა

გერმანიაში ყველასგან დავიწყებულმა **ტიმო ჰილდებრანდმა** კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება გადაწყვიტა და მიზანსაც მიაღწია - ამიერიდან იგი ლისაბონის „სპორტინგის" ღირსებას დაიცავს. 31 წლის ჰილდებრანდი ბოლოს „ჰოფენჰაიმში" ასპარეზობდა, მაგრამ კლუბმა მას კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივა და გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე ახალ ნავთსაყუდელს კარგა ხნის მანძილზე ეძებდა.

*„მოხარული ვარ, რომ ასეთ ძლიერ და ტრადიციულ კლუბში აღმოვჩნდი. სასიამოვნოა, რომ ძალებს მოვსინჯავ როგორც პორტუგალიის ჩემპიონატში, ასევე ევროპის ლიგაში"*, - ამბობს ჰილდებრანდი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ზიდანმა ნაკრები მოინახულა

**ზინედინ ზიდანი** საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელ ბანაკს ეწვია. ფრანგული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა „სამფეროვნებს" გუნდის ამჟამინდელი თავკაცისა და მისი მეგობრის, **ლორან ბლანის** თხოვნით ესტუმრა. ზიდანმა ნაკრების ღია ვარჯიშს ადევნა თვალი, რის შემდეგაც ფეხბურთელებს გაესაუბრა.

*„მომიწვიეს იმისთვის, რომ ნაკრების წევრებს ჩემი გამოცდილება გავუზიარო. ამ წინადადებას დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. ყველამ კარგად იცის, რომ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების თქმა არც მიყვარს და არც მეხერხება. მე ბიჭებს მხოლოდ წარმატებები ვუსურვე და იმედი გამოვთქვი, რომ საფრანგეთის ნაკრებთან ერთად ისეთ გამარჯვებებს მიაღწევენ, როგორსაც მე მივაღწიე"*, - ამბობს ზიზუ.

ფრანგები ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირს ხვალ ბელარუსთან მატჩით იწყებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ჯეკოსნაირი ბიჭები უნდა გყავდესო...

გერმანულ „ვოლფსბურგში" ახალგადაბარგებულ **დიეგოს** არ სურს, რომ „მგლების" ბოსნიელი ფორვარდი **ედინ ჯეკო** სხვა კლუბში გადავიდეს.

*„ჯეკო უჭკვიანესი ფორვარდია. ჩემი აზრით, თავის პოზიციაზე ედინი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მას მატჩის ბედის გადაწყვეტის უნარი აქვს. თუკი ტიტულების მოგების ამბიცია გაქვს, გუნდში ჯეკოსნაირი მოთამაშეები უნდა გყავდეს. ამასთან, ედინს გუნდში ყველა უდიდეს პატივს სცემს. ამიტომ, დიდი იმედი მაქვს, რომ ჯეკო ჩემს ახალ გუნდში თუნდაც ამ სეზონის ბოლომდე დარჩება"*, - თქვა ბრაზილიელმა პლეიმეიკერმა.

**სლავა გასპაროვი**

უეფა






ვუვუზელა შეიძლება ჩხუბშიც გამოიყენონო...

# ევროპამ ვუვუზელა მოიშორა

როგორც იქნა, ვუვუზელებთან ბრძოლამ მასშტაბური ხასიათი მიიღო - უეფამ საფეხბურთო გულშემატკივრებს თავისი ეგიდით ჩასატარებელ ყველა ოფიციალურ მატჩზე ამ სამხრეთაფრიკული დუდუკების გამოყენება აუკრძალა. აკრძალვა ეროვნული ნაკრებების მატჩებსაც ეხება და საკლუბოსაც - როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ისე ევროპის ლიგაშიც.

როგორც მოგეხსენებათ, საფეხბურთო სამყარომ ეს საყვირები სამხრეთ აფრიკაში გამართულ კონფედერაციათა თასის ტურნირზე გაიცნო. უკვე მაშინ გაჩნდა სამართლიანი შეშფოთება, რომ ამ საყვირების ხმა ფეხბურთის ჭეშმარიტ მოყვარულებს სერიოზულ დისკომფორტს შეუქმნიდა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მსვლელობისას.

ასეც მოხდა - ვუვუზელების საშინლად მონოტონურმა და გამაღიზიანებელმა „ჰანგებმა" არამხოლოდ გულშემატკივრები შეაწუხა, არამედ ფეხბურთელებიც და ტელეკომპანიების პერსონალიც.

რაც შეეხება აკრძალვას, უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ის გააკეთა, რაც მის კომპეტენციაში შედიოდა - ევროპის კონტინენტზე ეს არასაფეხბურთო საკრავი მაქსიმალურად შეზღუდა. ზოგიერთმა ევროპულმა ფედერაციამ და ცალკეულმა კლუბებმა ასევე აკრძალეს სტადიონებზე ვუვუზელების შეტანა - აქაოდა, საფეხბურთო ხულიგნებს ვუვუზელების გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებითაც შეუძლიათ და ამ „მუსიკალური ინსტრუმენტის" ჩხუბში გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს შეიცავსო. პლატინის ორგანიზაციამ კი ჭეშმარიტი მიზეზის დასახელება გაბედა: *„უეფა ევროპაში გულშემატკივრების მიერ ვუვუზელების გამოყენებას მიუღებლად მიიჩნევს, რადგან მათი ხმაური ფანების ტრადიციულ სიმღერებსა და მოედანზე განვითარებულ მოვლენებზე ემოციურ რეაქციას ახშობს".*

მაგრამ პლატინიმ მხოლოდ ბებერი კონტინენტის დაცვა შეძლო, თორემ ფიფას ბრძენმა პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** მუნდიალის მსვლელობისას საზოგადოების პროტესტს ნაუყრუა და ასეთივე სანქციის შემოღებაზე კატეგორიული უარი თქვა. *„ფიფა ვერ აკრძალავს სტადიონებზე ვუვუზელების შეტანას - ვუვუზელები ხომ სამხრეთ აფრიკის ხალხების კულტურის განუყოფელი ნაწილია"*, - ასეთი იყო ჰერ ბლატერის, რბილად რომ ვთქვათ, უკბილო არგუმენტი.

**სლავა გასპაროვი**

ტრანსფერები. ბოლო დღის ციებ-ცხელება

# რაფაელის კვერი გვიან გამოცხვა

## როგორ ჩაუშალა პერესმა მოურინიოს სუპერტრანსფერი

როგორც ყოველთვის, ყველაზე მეტი ტრანსფერი ფანჯრის დახურვის დღეს განხორციელდა - ასე იყო ესპანეთში, სადაც 31 აგვისტოს 30-მდე გარიგება გაფორმდა ოფიციალურად (მათი ნაწილი ადრეც შემოგთავაზეთ, ამიტომ ცხრილში ყველა ტრანსფერი არ შეგვიტანია). როგორც წესი, ბოლო დღეს უფრო ორი სახის ტრანსფერები ხორციელდება: 1. კლუბი, რომელსაც გარკვეულ რგოლში პრობლემა ექმნება (ტრავმა ან რომელიმე ფეხბურთელის წასვლა), საჩქაროდ ყიდულობს ბაზარზე შესაფერის ფეხბურთელს. 2. კლუბს სურს მოიშოროს ის ფეხბურთელები, რომელთაც სეზონში სათამაშო პრაქტიკა არ ექნებათ. მოგითხრობთ ბოლო დღის სატრანსფერო ციებ-ცხელებაზე ესპანეთში: რა განხორციელდა და რა ჩაიშალა...

მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალში" იმაზე მეტი ნახევარმცველი დაგროვდა, ვიდრე ეს საჭიროა, თუნდაც გრანდში. **ხორხე ვალდანომ** განაცხადა კიდეც, რომ 1-2 უცხოელს „რეალიდან" წასვლა მოუწევდა. ასეც მოხდა, გუნდიდან ჰოლანდიელი ვინგერი **როისტონ დრენტე** და მისი თანამემამულე **რაფაელ ვან დერ ვაარტი** გაუშვეს. თუმცა მეორის ტრანსფერი კარგა ხანს ჰაერში იყო გამოკიდული. აი, როგორ განვითარდა მოვლენები ვან დერ ვაარტის შემთხვევაში: დღისით „რეალმა" და „ტოტენჰემმა" მოილაპარაკეს, რომ ჰოლანდიელი ლონდონში ერთწლიანი იჯარით გადავიდოდა. საღამოს 5 საათსა და 55 წუთზე ინგლისის დროით (ანუ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 5 წუთით ადრე) ესპანური კლუბის წარმომადგენელმა ინგლისელებს უთხრა, რომ ტრანსფერი აღარ შედგებოდა. კლუბის ბოსმა **დენიელ ლევიმ** იმ წამსვე ახალი ვარიანტი შესთავაზა ესპანელებს - 9,6 მილიონი ევრო ვან დერ ვაარტის სანაცვლოდ და არავითარი იჯარა! ესპანელებმა მიზანს მიაღწიეს, მათ ხომ სწორედ ეს სურდათ, მოკლედ, კარგი შანტაჟი გამოუვიდათ - წინადადებას დათანხმდნენ და იურიდიულადაც გააფორმეს, მაგრამ... ცხადია, ეს 5 წუთში ვერ მოესწრებოდა და ტრანსფერს დაუგვიანდა. ახლა პრემიერლიგის ბოსების ხელში იყო ყველაფერი, დაამტკიცებდნენ თუ არა ტრანსფერს. უარის შემთხვევაში „რეალი" მაინც გაუშვებდა იჯარით ვან დერ ვაარტს, ოღონდ დანიურ „კოპენჰაგენში" (დანიაში იჯარით გადასვლაზე რამდენიმე გამონაკლისია და „სამეფო კლუბი" ამით ისარგებლებდა), რაც ვან დერ ვაარტის დონის ფეხბურთელისთვის გაციმბირების ტოლფასი იქნებოდა. კიდევ კარგი, პრემიერლიგის ბოსებმა გუშინ ვან დერ ვაარტის ალბიონური ტრანსფერი ოფიციალურად დაამტკიცეს.

მართალია, დრენტემაც გვარიანად აწვალა „რეალის" ხელმძღვანელობა, როცა გამზადებული კონტრაქტი ჩაუშალა ბოლო წამს „მონაკოსთან" და შემდეგ „ბაიერნის" დაინტერესებაზეც უარი თქვა, მაგრამ საბოლოოდ მისი მოცილება მაინც შეძლო: დრენტე ერთ სეზონს იჯარით გაატარებს ალიკანტეში და „ერკულესს" პრიმერაში დამკვიდრებაში **დავიდ ტრეზეგესთან** ერთად შეეცდება. დრენტე სამი წლის წინათ, 20 წლის ასაკში გადავიდა „სამეფო კლუბში", თუმცა სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრება მაინცდამაინც ვერ შეძლო.

ერთი გამოუსადეგარი ფეხბურთელი „ბარსელონამაც" მოიცილა - ბელარუსი **ალიაქსანდრ ჰლები** იჯარით „ბირმინგემ სიტიში" გაუშვა. საიჯარო ხელშეკრულება ერთწლიანია. ჰლები ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ამ სეზონში „ბლაუგრანას" შემადგენლობას პერსპექტივა ნაღდად არ ჰქონდა.

ტრანსფერის სეზონის დახურვის დღეს ესპანეთში ყველა კანტაბრიულმა „სანტანდერმა" გაანაცვიფრა, ბრემენის „ვერდერიდან" შვედეთის ნაკრების ფორვარდი **მარკუს როზენბერგი** ითხოვა. სანამ ესპანეთში გადმოვიდოდა, როზენბერგმა „ვერდერთან" ერთი წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება, ხუთ წუთში კი მას მეორე კონტრაქტი მიუტანეს, რომლის წყალობითაც ის „ელ სარდინეროზე" ითამაშებს. მან ბურუნდელი **მოჰამედ ტჩიტე** უნდა შეცვალოს, რომელიც 31 აგვისტოს „რასინგმა" 2 მილიონ დოლარად გაყიდა ბელგიურ „სტანდარდში". ტჩიტემ პირველ ტურში თამაში მოასწრო, გახსოვთ, ალბათ, მას პენალტი **ვიქტორ ვალდესმა** აუღო. მოჰამედი, რომელმაც სამ სეზონში 24 გოლი გაიტანა, სანტანდერში საოცარი კოსმოპოლიტია: ის ბურუნდის დედაქალაქ ბუჟუმბურაში დაიბადა, თუმცა მისი მშობლები ემიგრანტები იყვნენ, მამა რუანდელი, დედა კონგოელი, თავად კი ბელგიის მოქალაქეა.

„ვალენსია" დაცვაში მომაგრდა, ტრანსფერი 31-ში გაფორმდა, თუმცა ორი დღით ადრე იყო გადაწყვეტილი - „ღამურებმა" იტალიური „სამპდორიადან" ლიტველი მცველი **მარიუს სტანკევიჩიუსი** ითხოვეს. სტანკევიჩიუსმა ბოლო სეზონის მეორე ნახევარი ესპანეთში გაატარა, მაშინ გენუელებმა ბალტიელი იჯარით „სევილიას" დაუთმეს. სტანკევიჩიუსმა თავი კარგად წარმოაჩინა და თავადაც ისურვა კარიერის ლა ლიგაში გაგრძელება. ლიტველმა „ვალენსია" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივის გამო არჩია, სეზონის ბოლოს „ღამურებს" მისი გამოსყიდვის უფლებაც აქვთ.

„მალაგამ" ნორვეგიული „როსენბორგის" მცველი **კრის სტადსგაარდი** თავისუფალი აგენტის სტატუსით შეიძინა. 25 წლის დანიელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც ავტომატურად გაგრძელდება ერთი წლით, თუკი სტადსგაარდი მესამე წელს „მალაგაში" 20 თამაშს ჩაატარებს. „ლევანტემ" ეკვადორელი ფორვარდი **ფელიპე კაისედო** გაიფორმა, რომელიც „მანჩესტერ სიტის" საკუთრებაა. 21 წლის კაისედო ვალენსიაში იჯარით ითამაშებს.

დაბოლოს, „ესპანიოლმა" „ბოლონიას" 5 მილიონი ევრო გადაუხადა არგენტინელ **პაბლო დანიელ ოსვალდოს** სანაცვლოდ. ოსვალდომ პირველ ტურში დუბლით გამოიჩინა თავი და გასულ სეზონშიც „ესპანიოლში" თამაშობდა, ოღონდ იჯარით, ახლა კი ფორვარდი სრულფასოვანი ბარსელონელია.

ახლა იმ შესაძლო ტრანსფერებზეც ვთქვათ, ბოლო წუთს რომ ჩაიშალა: **ჟოზე მოურინიო** 31 აგვისტოს შეეცადა ყოფილი კლუბიდან სამუელ ეტოო გადმოეყვანა, იტალიური კლუბი თანახმა იყო ტრანსფერზე, მაგრამ პორტუგალიელს უარი **ფლორენტინო პერესმა** უთხრა, გუნდში **ბენზემა** და **იგუაინი** გყავს და მეტზე ფულს არ დავხარჯავო.

„ესპანიოლის" გოლკიპერ **კარლოს კამენის** გუნდიდან წასვლა სურდა, მაგრამ მისი ტრანსფერი „გალათასარაიში" ვერ შედგა. კატალონიელებს თურქთა შეთავაზებული ფასი არ მოეწონათ. „გალათასარაიმ" „ატლეტიკოს" უარი უთხრა, 11 მილიონ ევროდ მიეყიდა კაპიტანი **არდა თურანი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



პაბლო ოსვალდო კონტრაქტს აწერს ხელს

ტრანსფერები ესპანეთში

31 აგვისტო

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|
| მანუელ რუსი | ერკულესი | ხიმნასტიკი | თავ. აგენტი |
| მიგელ ლოპესი (პორ) | პორტუ | ბეტისი | იჯარა |
| ალჰასან კეიტა (გვი) | მალიორკა | ვალიადოლიდი | იჯარა |
| მარკუს როზენბერგი (შვე) | ვერდერი | რასინგი | იჯარა |
| მოჰამედ ტჩიტე (ბურ) | რასინგი | სტანდარდი | 1,7 მლნ ევრო |
| ფრანსისკო პავონი | სარაგოსა | არლი | თავ. აგენტი |
| ჟერმეინ პენანტი (ინგ) | სარაგოსა | სტოკ სიტი | იჯარა |
| ნიკი ნილსენი (დან) | ნორდსიელანდი | ვილიარეალი | თავ. აგენტი |
| ფელიპე კაისედო (ეკვ) | სიტი | ლევანტე | იჯარა |
| ელდინ ჰაჯიჩი (ბოს) | ერკულესი | ეიბარი | იჯარა |
| პაბლო ოსვალდო (იტ-არ) | ბოლონია | ესპანიოლი | 5 მლნ. ევრო |
| როისტონ დრენტე (ჰოლ) | რეალი | ერკულესი | იჯარა |
| რაფ. ვან დერ ვაარტი (ჰოლ) | რეალი | ტოტენჰემი | 9,7 მლნ ევრო |
| დავიდ გონსალესი | მალაგა | კადისი | იჯარა |
| ალბერტო ბუენო | ვალიადოლიდი | დერბი | იჯარა |
| კრის სტადსგაარდი (დან) | როსენბორგი | მალაგა | თავ. აგენტი |
| მარ. სტანკევიჩიუსი (ლიტ) | სამპდორია | ვალენსია | იჯარა |
| ალიაქსანდრ ჰლები (ბელ) | ბარსელონა | ბირმინგემი | იჯარა |
| რაულ გონი | სარაგოსა | რეალი | იჯარა |
| იონ ეჩაიდე | ოსასუნა | უესკა | იჯარა |

ესპანეთის ნაკრები

# პუიოლს მონრეალი შეცვლის

მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები ევრო-2012 წლის საკვალიფიკაციო ბატალიებს 3 სექტემბერს ლიხტენშტეინის ნაკრებთან თამაშით იწყებს, ოთხ დღეში „ლა როხა" ამხანაგურად არგენტინას გაეჯიბრება. სწორედ ამ მატჩებისთვის ნაკრებს გამოცდილი მცველი **კარლეს პუიოლი** დააკლდა. პუიოლმა კოჭი ლა ლიგის I ტურში, „რასინგთან" მატჩის მოთელვაზე დაიზიანა და სამ კვირას იუქმებს. მის ნაცვლად **ვისენტე დელ ბოსკემ** ნაკრებში „ოსასუნას" ახალგაზრდა მცველი **ნაჩო მონრეალი** გამოიძახა. დელ ბოსკეს გადაადგილებები მოუწევს, რადგან მონრეალი მარცხენა მცველია და არა ცენტრალური. 24 წლის ნაჩო მონრეალს ეროვნულ ნაკრებში ორი მატჩი აქვს ჩატარებული.

ესპანეთის ნაკრებმა გუშინ დაიწყო შეკრება. ლიხტენშტეინთან და არგენტინასთან მატჩისთვის ეს ფეხბურთელები მოემზადებიან - მეკარეები: **იკერ კასილიასი** (რეალი), **ვიქტორ ვალდესი** (ბარსელონა), **პეპე რეინა** (ლივერპული); მცველები: **ალვარო არბელოა**, **სერხიო რამოსი** (რეალი), **ხოან კაპდევილა**, **კარლოს მარჩენა** (ვილიარეალი), **ჟერარდ პიკე** (ბარსელონა), **ნაჩო მონრეალი** (ოსასუნა); ნახევარმცველები: **სერხიო ბუსკეტსი**, **ჩავი ერნანდესი**, **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა), **ჩაბი ალონსო** (რეალი), **სესკ ფაბრეგასი** (არსენალი), **დავიდ სილვა** (მანჩესტერ სიტი), **ხესუს ნავასი** (სევილია), **სანტი კასორლა** (ვილიარეალი); თავდამსხმელები: **დავიდ ვილია**, **პედრო როდრიგესი** (ბარსელონა), **ფერნანდო ტორესი** (ლივერპული), **ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო).

ესპანეთის ნაკრები ევრო 2012-ის I საკვალიფიკაციო ჯგუფშია შოტლანდიასთან, ჩეხეთთან, ლიტვასთან და ლიხტენშტეინთან ერთად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გაზეთ ბილდის ფოტომონტაჟი: ბალამი!

რასაც გუშინდელ ნომერში ვწერდით, გუშინ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** პრესკონფერენციაზე ოფიციალურად დაადასტურა: გერმანიის ნაკრების კაპიტანი ისევ **მიხაელ ბალაკია**, ოღონდ, 33 წლის ნახევარმცველმა ფორმა უნდა აღიდგინოს და ბუნდესგუნდში თამაში დაიმსახუროს. უახლოესი ორი შეხვედრისთვის კი (ბელგიასთან და აზერბაიჯანთან) მიხაელი გამოძახებული არაა და ამ თამაშებში გერმანიას **ფილიპ ლამი** უკაპიტნებს. მოკლედ, ლიოვმა არც ბალაკი გაანაწყენა და არც ლამი, საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ გერმანიის ნაკრებს ორი კაპიტანი ჰყავს.

პოლემიკა

# გამოსავალი: ბალამი!

*„დღეისათვის, გერმანიის ნაკრების საყრდენ ნახევარდაცვაში ბასტიან შვაინშტაიგერსა და სამი ხედირას ადგილები გარანტირებული აქვთ, მაგრამ თუ მიხაელ ბალაკი ძველებურ ფორმას დაიბრუნებს და ბუნდესგუნდში თამაშს დაიმსახურებს, აუცილებლად ითამაშებს და გუნდის კაპიტანიც იქნება. როცა ბალაკი არ ითამაშებს, მაშინ ბუნდესგუნდს მოედანზე ფილიპ ლამი გაიყვანს,“* - განაცხადა ლიოვმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. „ბილდმა“ ასეთი „დასკვნა“ გამოიტანა: ცოტა ბალაკი, ცოტა ლამი - გერმანიის ნაკრებს ახალი კაპიტანი ჰყავს: ბალამი!

ლიოვი: *„ბალაკთან ძალიან გულახდილი და სასარგებლო საუბარი მქონდა. მე მას ვუთხარი, რომ დღევანდელი მდგომარეობით გერმანიის ეროვნულ გუნდში თამაშს არ იმსახურებს და როცა დაიმსახურებს, აუცილებლად გამოვიძახებ და კაპიტნის სამკლავურსაც გავუკეთებ. ავუხსენი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ახალ სიტუაციას ახლებურად უნდა მივუდგეთ.“*

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ლიოვმა ბალაკი **შვაინშტაიგერთან** და **ხედირასთან** კონკურენციაში ჩააბა. იოგი: *„ბალაკი სამი თვის მანძილზე ტრავმირებული იყო, სეზონის წინ მოსამზადებელი პერიოდი სრულად არ გაიარა და ბევრი რომ არ გავაგრძელო, მან თვითონაც იცის, რომ არაა საუკეთესო ფორმაში. სამაგიეროდ, ძალიან მონდომებულია და მეც მინდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად ვიხილო ძველებური მიხაელ ბალაკი.“*

ბელგიასთან და აზერბაიჯანთან მატჩებისთვის მიხაელი გამოძახებული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შეხვედრებში ბუნდესნაკრებს ლამი უკაპიტნებს. ცხადია ისიც, რომ ასპროცენტიანი კაპიტანი არც ბალაკია და არც ლამი. ვნახოთ, რას მოუტანს ეს ყველაფერი გერმანიის ნაკრებს...

ოლივერ კანი

# ეს ყველაფერი მიხაელის დემონტაჟს ჰგავს!

## ტიტანს მიაჩნია, რომ ბალაკი ასეთ მოპყრობას არ იმსახურებს

**დისკუსიას, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე გაჩაღდა და აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდა, გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ოლივერ კანი „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გამოეხმაურა.**



ოლივერ კანი

**- ჰერ კან, გერმანიის ნაკრების კაპიტნობის თემაზე ატეხილ დისკუსიას ბოლო მოეღო და შედეგი ორაზროვანია: ბუნდესკაპიტნად მიხაელ ბალაკი რჩება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ფორმაში შევა, ბუნდესგუნდში თამაშს დაიმსახურებს. სხვა შემთხვევებში, გერმანიის ნაკრებს ფილიპ ლამი უკაპიტნებს. გულახდილად გვითხარით, თქვენ გჯერათ, რომ ბალაკი ოდესმე ძველებურად ათამაშდება?**

- რა თქმა უნდა, მჯერა, რადგან ეს შესაძლებელია. მთავარია, აქვს თუ არა მიხაელს საკმარისი მოტივაცია იმისათვის, რომ ძველებურად ათამაშდეს. მიხაელი ჯერ მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობდა, მერე ლონდონის „ჩელსიში“, ახლა კი „ლევერკუზენში“ დაბრუნდა და სუპერგრანდების შემდეგ საშუალოზე ოდნავ მაღალი რანგის გუნდში გადასვლა და იქ ძველებური მოტივაციით თამაში ადვილი ნამდვილად არ არის. თუ მიხაელი ამას მოახერხებს, მაშინ მჯერა, რომ ძალიან მალე დაიბრუნებს ყველაფერს, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მიღებული ნყეული ტრავმის გამო დაკარგა.

**- სამი თვის წინ ბალაკი „ჩელსის“ ფეხბურთელი, გერმანიის ნაკრების კაპიტანი, მსოფლიო დონის ვარსკვლავი იყო. დღეს კი ყველა იმაზე ლაპარაკობს, არის თუ არა მიხაელი იმის ღირსი, რომ ბუნდესგუნდში ითამაშოს. თქვენ რას ფიქრობთ?**

- ჩემი აზრით, მიხაელმა თავის თავს ასეთი კითხვა უნდა დაუსვას: რისი მიღწევა მსურს ბუნდესგუნდში? კიდევ გავიმეორებ, აქ მთავარი მოტივაციაა. თანაც, იოახიმ ლიოვმაც ორაზროვანი გადაწყვეტილება მიიღო. ერთი მხრივ ამბობს, ბალაკი ისევ კაპიტანიაო, მეორე მხრივ კი მიხაელი ნაკრებში არ გამოიძახა. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთ გუნდს ორი კაპიტანი ვერ ეყოლება. პესიმისტურად რომ ვაზროვნებდე, ვიტყოდი, რომ ყველაფერი, რაც მუნდიალის მერე მოხდა, ბალაკის „დემონტაჟს, ჰგავდა და ჰგავს. რა აზრი აქვს ბალაკის კაპიტნობას, თუ ლიოვი ხაზგასმით არ ამბობს, რომ მიხაელი სჭირდება? ფეხბურთელი ან გჭირდება, ან არ გჭირდება. ყველამ კარგად ვიცით, რომ ბალაკი აღარასოდეს იქნება ისეთი ფეხბურთელი, როგორიც 27-28 წლის ასაკში იყო - მარტივი მიზეზის გამო, დღეს ის უკვე 33 წლისაა.

**- მიხაელს შეეძლო, ყველაფერი მარტივად დაემთავრებინა, თუკი სანაკრებო კარიერას დაასრულებდა. დაგვეთანხმებით, მას არავინ გაკიცხავდა, რადგან მომდევნო დიდი ტურნირი უკვე 35 წლის ასაკში მოუწევს...**

- ბალაკს რაღაც-რაღაცები გამოეპარა, ეს ფაქტია. მე რომ მის ადგილზე ვიყო, კონცენტრაციას მთლიანად კლუბისკენ მივმართავდი. ლიოვს არ უთქვამს, მიხაელი ასი პროცენტით მჭირდებაო, მან თქვა, ბალაკი მჭირდება, ოღონდ მაშინ, თუ საუკეთესო ფორმაში იქნებაო. აი, სწორედ ამ „თუშია“ საქმე.

**- და თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფერს ბალაკის ზრდილობიანი „დემონტაჟის“ სუნი ასდის?**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ასეთ სიტუაციაში მწვრთნელები სხვანაირად იქცევიან ხოლმე. მიმაჩნია, რომ მიხაელმა გულახდილი მოპყრობა დაიმსახურა და არა ის თამაშები, რაც ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა კევინ პრინს ბოატენგმა ბალაკს ტრავმა მიაღებინა. მიხაელ ბალაკმა გერმანულ ფეხბურთს ძალიან ბევრი გაუკეთა და ვფიქრობ, არაგულახდილ მოპყრობას არ იმსახურებს.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ისეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როცა ახალი თაობა ძველის მოშორებას ცდილობს ხოლმე? ტორსტენ ფრინგსიც ხომ ძველი თაობის წარმომადგენელია...**

- ასეც რომ იყოს, ამაში გასაოცარი არაფერია. ზოგადად, ყოველთვის და ყველგან ასე ხდება ხოლმე – ამიტომაცაა თაობათა ცვლის პროცესი მტკივნეული. მიხაელ ბალაკი უკვე 33 წლისაა, გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მის გარეშეც ძალიან კარგად იასპარეზა და უცებ ბალაკი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მიხაელის ძალიან კარგად მესმის. ასეთ დროს ყველაფრის დავიწყება, მიშვება, გაჩუმება და დანებება ძალიან ძნელია.

**- „ბაიერნზეც“ ვთქვათ: რეკორდმაისტერს არიენ რობენი ისე დაუშავდა, რომ ჰოლანდიელი იანვრამდე ვერ ითამაშებს, რაც გუნდისთვის უდიდესი დანაკლისია. ბევრისთვის გასაკვირად, ბავარიელებმა არავინ იყიდეს. რას ფიქრობთ, როგორ სეზონს ჩაატარებს „ბაიერნი“?**

- მე მაინც ვფიქრობ, რომ მიუნხენელები კარგ სეზონს ჩაატარებენ, რადგან ყველა ფეხბურთელი მოტივირებულია. ჰოლანდიელ ფეხბურთელებს ჯერ კიდევ სტკივათ მუნდიალის წაგებული ფინალი, ჩემპიონთა ლიგის ფინალში განცდილი მარცხიც ყველას ახსოვს და ამავდროულად, გერმანიის ნაკრების მოთამაშეებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მუნდიალზე შემთხვევით არ გაიბრწყინეს. შესაძლოა, სეზონის პირველი ნახევარი „ბაიერნისთვის“ არ იყოს ბრწყინვალე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მეორე წრიდან რეკორდმაისტერის ძრავა ისევ მაღალ ბრუნებზე ამუშავდება.

**- რაიმე საშიშროებას თუ ხედავთ?**

- ხანდახან მეშინია, რომ გასულ სეზონში მიღწეული წარმატებების გამო ფეხბურთელებმა თავი დანაყრებულად არ იგრძნონ, მაგრამ არა მგონია, რომ ასე მოხდეს, რადგან „ბაიერნს“ ლუის ვან გაალის სახით ბრწყინვალე სპეციალისტი წვრთნის.

**- „შალკემ“ სატრანსფერო პერიოდი ძალიან კარგად გამოიყენა და არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი შეიძინა. უშველის ეს ფელიქს მაგათის გუნდს?**

- სიმართლე გითხრათ, „შალკეზე“ სკეპტიკურად ვარ განწყობილი, რადგან მიმაჩნია, რომ წარმატებას ვერ იყიდი. მაგათმა გუნდიდან გაუშვა ლიდერები, რაფინია და ვესტერმანი, რაც ძალიან გამიკვირდა. საინტერესოა, რამდენად სწრაფად და კარგად მოხდება ახალი ფეხბურთელების ინტეგრირება. შესაძლოა, ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდეს.

ბაიერნი



ლუის ვან გაალმა ჯერ არ იცის, გააფორმებს თუ არა ბაიერნთან ახალ კონტრაქტს

# ვან გაალი: ჩემ შემდეგ იონკერი დანიშნეთ!

## გააგრძელებს თუ არა ლუისი ბაიერნთან კონტრაქტს?

მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** რეკორდმაისტერთან კონტრაქტი ახალდაწყებული სეზონის ბოლომდე, ანუ, 2011 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს და ჯერ არავინ იცის, გააფორმებს თუ არა 59 წლის ჰოლანდიელი ახალ ხელშეკრულებას. ფაქტი ისაა, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელები მისი მუშაობით ძალიან კმაყოფილები არიან და ალბათ, ახალ კონტრაქტსაც მალე შესთავაზებენ, მაგრამ თვითონ სპეციალისტს ჯერ არაფერი გადაუწყვეტია და არ იცის, დარჩება თუ არა მიუნხენში. სამაგიეროდ, მან იცის, ვინ უნდა დანიშნოს „ბაიერნმა“ მთავარ მწვრთნელად იმ შემთხვევაში, თუ ვან გაალი რეკორდმაისტერიდან წასვლას გადაწყვეტს.

*„თუ ახალ კონტრაქტს გავაფორმებ, ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის, მაგრამ თუ ეს არ გავაკეთე, „ბაიერნის“ შეფებს ვურჩევ, მთავარ მწვრთნელად ჩემი ასისტენტი ანდრის იონკერი დანიშნონ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, „ბაიერნში“ ჩემს ფილოსოფიას იდეალურად გააგრძელებს. გერმანიის ნაკრებში იურგენ კლინსმანის ასისტენტის, იოახიმ ლიოვის მთავარ მწვრთნელად დანიშვნამ ხომ გაამართლა? იონკერიც გაამართლებს,“* - განუცხადა ვან გაალმა „შპორტ ბილდს“.

მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ იანვარში დაიწყო დისკუსია იმის შესახებ, რომ შესაძლოა, **იოახიმ ლიოვის** მერე გერმანიის ნაკრები სწორედ ვან გაალს ჩააბარონ. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა იოგის კონტრაქტი 2012 წლამდე გაუგრძელა და ბუნდესგუნდს ახალი მწვრთნელი მინიმუმ ევროპის ჩემპიონატის ჩათვლით არ ეყოლება, მაგრამ ვან გაალი ღიად აცხადებს, რომ 2012 წელს მზად იქნება, ბუნდესმწვრთნელი გახდეს.

*„გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა თეო ცვანციგერმა თქვა, რომ ურჩევნია, ნაკრები გერმანელ მწვრთნელს ჩააბაროს, რაც აბსოლუტურად ლოგიკურია, მაგრამ ყოველთვის არსებობენ მწვრთნელები, რომლებიც გერმანელები არ არიან და არსებულ კანდიდატებს აჯობებენ,“* - ამბობს ლუისი.

„ბაიერნში“ გატარებულ ერთ წელს ვან გაალი დადებითად აფასებს: *„ვფიქრობ, მე ყველაზე იაფი სპეციალისტი ვარ იმ სპეციალისტებს შორის, რომლებიც „ბაიერნს“ ადრე წვრთნიდნენ. ყველგან ასე ვიყავი. სადაც მიმუშავია, ყველგან მილიონებს იხდიდნენ, ფული კი ჩემთვის მთავარი არსად ყოფილა. მაგალითად, რაც ამსტერდამის „აიაქსმა“ ჩემთვის საკმაოდ დაბალი ხელფასის დანიშვნით დაზოგა, ჰოლანდიურ გრანდს იმ ფულით ახალი სტადიონის აშენება შეეძლო. „ბარსელონაში“ დღეს ალლუმი ჩავის და ინიესტას მიჰყავთ – ეს ფეხბურთელები მე აღმოვაჩინე და გავზარდე. „ალკმაარმა“ კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრით 15 მილიონი იშოვა.“*

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



● მანჩესტერ სიტი



როკე სანტა კრუსი ნერვიულობს...

# როგორ გადააგდეს 18 მილიონი...

პარაგვაელი **როკე სანტა კრუსის** „მანჩესტერ სიტიდან“ „ლაციოში“ გადასვლა ჩაიშალა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ თავდამსხმელს საქმე ცუდად წაუვა - ისტლენდელთა მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** ცოტა ხნის წინ მას მკაფიოდ განუცხადა, რომ იმ 25 კაცში, რომელსაც პრემიერლიგაში ათამაშებს, მისი ადგილი არ არის. არადა, სანტა კრუსი ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, რომელიც „სიტიმ“ შეიხ **მანსურის** კლუბის მეპატრონედ მოსვლისთანავე იყიდა. მასში არაბმა მილიარდერმა თავის დროზე 18 მილიონი ფუნტი გადაიხადა. ინგლისელი ჟურნალისტების დათვლით, პრემიერლიგის არც ერთ გუნდს არ ეყოლება 25 კაცს მიღმა დატოვებული ასეთი ძვირადღირებული მოთამაშე. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პარაგვაის „ოლიმპიას“, „ბაიერნისა“ და „ბლექბერნის“ ყოფილ მოთამაშეს რეზერვისტთა გუნდში მოუწევს თამაში. 29 წლის თავდამსხმელმა თქვა:

*„სიტიში თავს ყოველთვის ბედნიერად ვგრძნობდი, სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველოდი და მიხაროდა, რომ დიდი კლუბის შემადგენელი ნაწილი ვიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, მწვრთნელმა გამომიცხადა, რომ ამ სეზონში არ ვჭირდები. ახლა ერთადერთი ის დამრჩენია, რომ არ გავბრაზდე, ბევრი ვივარჯიშო და იმედი ვიქონიო, რომ მალე სადმე გამაქირავებენ. „ლაციოს“ უნდოდა ჩემი ყიდვა, მაგრამ კლუბებს შორის გარიგება ვერ შედგა“.*

შემდეგ სანტა კრუსმა **რობინიოს** ტრანსფერზეც თქვა ორიოდ სიტყვა - მოგეხსენებათ, ბრაზილიელი თავდამსხმელი, რომელშიც „სიტიმ“ თავის დროზე ბრიტანული ტრანსფერებისთვის სარეკორდო თანხა 32,5 მილიონი ფუნტი გადაიხადა, ოთხი წლით „მილანში“ გადაბარგდა.

*„ბედნიერი ვარ, რობინიომ გამოსავალი რომ ნახა. მას ძალიან უყვარს ფეხბურთი, აქ, „მანჩესტერ სიტიში“, კი თავს კარგად ვერ გრძნობდა. ჩვენი ახლანდელი მწვრთნელის ხელში მას გუნდში მოხვედრის შანსი არ ჰქონდა“.*

როგორც ხედავთ, მანჩინის ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელებიდან ასარჩევად აქვს საქმე, მაგრამ შედეგები ვაგლახ... პრემიერლიგა უკვე სამი ტურია, რაც დაიწყო, ისტლენდელებს კი სახარბიელოდ ნამდვილად არ აქვთ საქმე. პირველ ტურში მანჩესტერელებმა ლონდონში „ტოტენჰემთან“ 0:0 ითამაშეს, მეორეში თითქოს გამოყოჩაღდნენ - შეიხ მანსურის თვალწინ 3:0 გადაურბინეს „ლივერპულს“, მაგრამ მესამეში სანდერლენდში წააგეს 1:0. ამ შეხვედრაში არგენტინელმა თავდამსხმელმა **კარლოს ტევესმა** შესანიშნავი მომენტი გაუშვა ხელიდან, რაც ძალიან განიცადა. მისმა თანაგუნდელმა, „ბარსელონადან“ ამ ზაფხულს ნაყიდმა **იაია ტურემ** გადაწყვიტა ახალშეძენილი მეგობარი დაემშვიდებინა. სპილოს ძვლის ნაპირელმა თქვა:

*„კალოსს მომენტის გაფუჭებისთვის ბრალს არავინ სდებს. ფეხბურთი უცნაური თამაშია და უცნაური ამბებიც ხდება. ტევესი ჩვენი კაპიტანია. თუკი გუნდში ვინმეს წონა აქვს, ერთ-ერთი ყველაზე წონიანი სწორედ ის არის. გარდა ამისა, მის მიერ გაფუჭებულ მომენტზე ყურადღების ზედმეტად გამახვილება იმიტომაც არ არის სწორი, რომ ჩვენ სხვა შესაძლებლობებიც გვქონდა და ისინი ხელიდან გავუშვით. პირველ ტაიმში გოლი რომ გაგვეტანა, თამაში სხვანაირად დამთავრდებოდა. წაგებას მთელი გუნდი ძალიან განვიცდით“.*

სხვათა შორის, ტურემ ამ შეხვედრაში ეპიზოდურად მართლაც აჩვენა ის ფეხბურთი, რომლითაც ასე ადგებოდა „ბარსელონას“ დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ.

*„ისტლენდზე თავს კარგად ვგრძნობ და თამაში მსიამოვნებს, თუმცა იმასაც აშკარად ვხვდები, რომ ჩვენი გუნდი თანდათანობით გაცილებით მეტს შეძლებს. ჩვენ ხომ ძირითადად ახალი გუნდი ვართ, რომელსაც დრო სჭირდება. ძალიან მომწონს ფუნქცია, რომელიც მწვრთნელმა დამაკისრა. მე ხომ შეტევებში ჩართვა მიყვარს და მეხერხება“* - თქვა „სიტისავე“ მცველის **კოლო ტურეს** ძმამ.

● ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასი

# სამი საათი... გადარჩა

...ალარ დასჭირდა შემდეგ ორშაბათამდე ცდა - ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი, უფრო სწორად კი მისი ფინალის დაწყების დრო გადარჩა! ასე და ამგვარად, ისევე როგორც ბოლო 139 წლის განმავლობაში, ფინალი 2011 წელსაც შუადღის სამ საათზე გაიმართება. მთელი ამ ხნის განმავლობაში გამონაკლისი მხოლოდ სამჯერ იყო (1873, 1896 და 1923 წლებში) და შიშობდნენ, რომ ამჯერადაც გამონაკლისის დაშვება გახდებოდა საჭირო, მაგრამ როდესაც რაღაცის, მაგალითად, ტრადიციის გადარჩენა ძალიან გინდა, გამოსავალს აუცილებლად მოძებნი. მოკლედ შეგახსენებთ მღელვარების მიზეზს: 28 მაისს „უემბლი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალს მასპინძლობს; უეფას მოთხოვნის თანახმად, სტადიონზე, სადაც ლიგის ფინალია დანიშნული, მანამდე, ორი კვირის განმავლობაში ბურთი არ უნდა გაგორდეს. გამოვიდა, რომ ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი 14 მაისს უნდა გამართულიყო, ამ დღეს კი შუადღის სამ საათზე პრემიერლიგის ბოლოსწინა ტურის თამაშებია დაგეგმილი. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი - თასის ფინალი ექვსის ნახევრისთვის გადაეწიათ, ანუ საუკუნოვანი ტრადიცია დაერღვიათ. აბა, პრემიერლიგა თავის თამაშებს უკვე გაფორმებული ათასგვარი სატელევიზიო კონტრაქტის გამო ჯიუტად არ ძრავდა ადგილიდან...



თუმცა საბოლოოდ მაინც პრემიერლიგამ დაიხია უკან. მთელი ტურის კვირისთვის გადატანას ისევ ტრადიციულ დღეს, შაბათს დარჩენა ამჯობინა, ოღონდ თამაშები ორ ჯგუფად დაყო: პირველი ჯგუფის თამაშები 12 საათსა და 45 წუთზე გაიმართება, მეორე ჯგუფისა კი 15 საათსა და 15 წუთზე.

● ფულჰემი

# ლონდონის ნაცნობი ხედები

ავსტრალიელი მეკარის **მარკ შვარცერის** „ფულჰემიდან“ „არსენალში“ გადასვლის საქმიდან არაფერი გამოვიდა - 37 წლის გოლკიპერი „კრეივენ კოტეჯზე“ რჩება. რატომ არ შედგა გარიგება ლონდონის კლუბებს შორის? ბანალური მიზეზის გამო: „მეთოფეები“ 2 მილიონ ფუნტს იძლეოდნენ, „ფულჰემს“ კი მეტი უნდოდა და გაჯიუტდა. მოგეხსენებათ, თავად შვარცერს გული „არსენალისკენ“ მიუწევდა, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდა, დამშვიდდა. ამრიგად, ავსტრალიელი ძველ გუნდში დარჩა, რაც ძალიან ეწყინა **დევიდ სტოკდეილს**, მეკარეს, რომელიც ამიერიდან, ალბათ მისი სათადარიგო გახდება, არადა იმედოვნებდა, რომ ძირითადში ითამაშებდა და ინგლისის ნაკრების მწვრთნელებს მოაწონებდა თავს.



მარკ შვარცერი

ასე და ამგვარად, 11 სექტემბერს, პრემიერლიგის მეოთხე ტურში, „ფულჰემისა“ და „ვულვერჰემპტონის“ შეხვედრაში შვარცერი კვლავ თავის ჩვეულ ადგილს დაიკავებს. დასავლეთლონდონელთა მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა** ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა:

*„კლუბში მარკის მდგომარეობაზე ბევრჯერ ვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ მის გაყიდვას დატოვება გვერჩივნა. გვესმის, რომ „არსენალს“ მეკარეებთან დაკავშირებით სპეციფიკური სიტუაცია აქვს, ჩრდილოლონდონელები შვარცერის შეძენით ძალიან გახლდნენ დაინტერესებულნი, მაგრამ ჩვენ გოლკიპერთან გამოთხოვება ნამდვილად არ გვაწყობდა“.*

შემდეგ უელსელმა სპეციალისტმა „ფულჰემის“ თავდამსხმელის **ბობი ზამორას** შესახებაც თქვა: *„კარგ ფეხბურთელებზე ყოველთვის ნადირობენ, ამიტომ ინტერესი, რომელსაც სხვა კლუბებში ბობი ზამორა იწვევდა, ნამდვილად არ გაგვკვირვებია, თუმცა მასთან დაკავშირებით იმთავითვე ნათლად ვამბობდით: ზამორა ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და არ გავყიდით“.*

ზამორას გადაბირებით „ლივერპული“ იყო დაინტერესებული. სხვათა შორის, თავად „ფულჰემსაც“ ჰქონდა ბაზარზე ინტერესი - „მანჩესტერ სიტის“ პარაგვაელი თავდამსხმელის **როკე სანტა კრუსის** ყიდვა უნდოდა, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე.

*„ჩვენ სანტა კრუსის ფასი გავიკითხეთ, მაგრამ იმაზე მეტს, რისი საშუალებაც გვაქვს, ნამდვილად ვერ გადავიხდიდით“*, - ამბობს უელსელი სპეციალისტი.

● ფეხბურთელის ფიქრები

# თეო უოლკოტი: არ ავღელვებულვარ, ჩაი დავლიე...



თეო უოლკოტი

**თეო უოლკოტის** ამბავი ადრე მოგახსენეთ: „არსენალის“ გარემარბი BBC-ზე ტურის მიმოხილვის Match of the Day-ს წამყვანმა, წარსულში „ლივერპულის“ ცნობილმა ფეხბურთელმა **ალან ჰანსენმა** სასტიკად გააკრიტიკა, თან იმ დღეს, როცა მან „ბლექპულთან“ შეხვედრაში „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა. მაგრამ ტელესტუდიაში, სოფაზე მოკალათებულმა უოლკოტმა განაცხადა, რომ მასზე არავის კრიტიკა არ მოქმედებს. მეტიც, ერთადერთი ადამიანი, ვისზედაც ის გაბრაზდა, თავადაა. მას უკეთ მართებდა თამაში და ვარჯიში, რათა **ფაბიო კაპელოს** მსოფლიოს ჩემპიონატზე წაეყვანა. შეგახსენებთ, ჰანსენმა უოლკოტზე უხეშად თქვა, ფეხბურთის თამაშისას ტვინი არ ყოფნისო.

ახლა უოლკოტს იმედი აქვს, რომ პარასკევს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში, ბულგარეთის ნაკრების წინააღმდეგ, მოედანზე იქნება.

21 წლის ფეხბურთელმა თქვა: *„ყველას აქვს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი. სხვა საქმეა, რომ ადამიანები, რომლებსაც მე ვუსმენ და რომელთა აზრსაც ვითვალისწინებ, გახლავან მხოლოდ ჩემი მწვრთნელები კლუბსა და ნაკრებში, არსენ ვენგერი და მისტერ კაპელო. მათ გარდა დიდ პატივს ვცემ თანაგუნდელების აზრსაც. ვინც ჩამოვთვალე ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხია. იმედი მაქვს, რომ ამ ადამიანების რჩევებითა და შეგონებებით დიდ წარმატებას მივაღწევთ, ხოლო მე ჩემს სათქმელს მოედანზე ვიტყვი“.*

შემდეგ უოლკოტს Match of the Day-ზე ჰკითხეს. მან უპასუხა: *„ამ გადაცემას ყოველთვის ვუყურებ. მე ის ძალიან მომწონს. იმ დღეს ჩემს მეგობარ გოგონასთან, მელანისთან ერთად ვუყურებდი ტელევიზორს. გოლებს აჩვენებდნენ. შემდეგ, ჰანსენმა ჩემ შესახებ ის ცნობილი სიტყვები თქვა, მაგრამ მე არ ავღელვებულვარ. პირიქით, ჩაი დავლიე...*

*...კარიერაში ძალიან ბევრი ადამიანი დამპირისპირებია. თუ ვინმეს ზედმეტი მოუვა, არ მოვერიდები, პირდაპირ ვეტყვი, მაგრამ, საბედნიეროდ, მეტწილად ხალხი მხარს მიჭერს. ვფიქრობ, „ტოტენჰემის“ ფანების გარდა ყველას უნდა, რომ კარგად ვითამაშო. თუ ტრავმებმა არ შემაწუხა, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა კრიტიკოსებს მოედნიდან გავცე პასუხი. სათქმელს თამაშით ვიტყვი....*

*...ამასთან, მე ყველა რჩევას ვითვალისწინებ. არასდროს მავიწყდება, რას მასწავლიდა „საუთჰემპტონში“ ენდი რიჩი. ის მოწინააღმდეგის კარის ბადეში პასის ჩაწოდებისკენ მომიწოდებდა. ვენგერი კი დღენიადაგ მეტოქის მიმართულებით აგრესიულად გაქცევას მასწავლის. ეს განსაკუთრებით ამ სეზონში გამომდის კარგად...*

*...გასულ სეზონში საქმეები მთლად კარგად არ წამივიდა, ბევრჯერ დავშავდი და ამან ყველაფერს კვალი დაამჩნია. ახლა საქმე კარგად მიდის, თავადაც ვგრძნობ, რომ გაცილებით დაბრძენებული ვარ. ვინ იცის, რა მოხდებოდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წავსულიყავი“.*

უოლკოტს ჰკითხეს, ხომ არ გაბრაზდი, კაპელომ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ არ წაგიყვანაო. მან უპასუხა:

*„რასაკვირველია გავბრაზდი, მე ხომ მსოფლიოს ყველაზე დიდ შეჯიბრებაში მინდოდა მონაწილეობა. მეორე მხრივ, ბრალს ვერავის დავდებ. რაც მართალია მართალია, სეზონის ბოლოს საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ ვიყავი. მე, როგორც ინგლისის ნაკრების ქომაგი, ბიჭებს ძალიან ვუჭერდი მხარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა ცუდად ითამაშა. რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე“.*

თეო უოლკოტი ყოველდღე, ნახევარი საათი, „არსენალის“ მესამე მეკარესთან **ვიტო მანონესთან**, მარჯვენა მცველ **ბაქარი სანიასა** და თავდამსხმელ **მარუან შამახთან** ერთად ვარჯიშობს.

*„ჩვენ ჩაწოდებას, დარტყმას და ეგეთ რაღაცებს ვამუშავებთ. პენალტებშიც ვვარჯიშობთ. ამ საქმეში მაინცდამაინც ძლიერი არ ვარ და უნდა გამოვასწორო. მინდა ამ სეზონში 10-15- გოლი გავიტანო და ამდენივე საგოლე გადაცემა შევასრულო“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ზაფხულის ტრანსფერების შეჯამება

# ხელგაშლილნი და ტოპსამეული


შეიხ მანსურს ყველაზე მეტი თანხის გაღებამ მოუწია










ზაფხულის სატრანსფერო სეზონი დაიხურა, ევროპაში ასობით ფეხბურთელმა გამოიცვალა კლუბი. საინტერესოა, რომელმა კლუბებმა იმუშავეს ყველაზე ნაყოფიერად ბაზარზე. პრინციპში, ეს უფრო დროდადრო გამოჩნდება, იმის მიხედვით, როგორ გაამართლებენ ახალწვეულები. ახლა კი შეგვიძლია მოგითხროთ, რომელმა გუნდებმა დახარჯეს მეტი თანხა ტრანსფერებში და ვინ იშოვა ყველაზე მეტი ფული.

ყველაზე მეტი პრემიერლიგურმა „მანჩესტერ სიტიმ" დახარჯა, რომელმაც **დავიდ სილვა, ალექსანდარ კოლაროვი, იაია ტურე, მარიო ბალოტელი** და სხვები შეიძინა. ჯამში 40 წლის არაბ შეიხ **მანსურს** 145,5 მილიონი ევროს დახარჯვამ მოუწია, ეს კი სეზონის რეკორდია. სხვათა შორის, „სიტიმ" რამდენიმე ფეხბურთელი გაუშვა კიდეც (**რობინიო, სტივენ აირლენდი** და სხვები), რის წყალობითაც 36 მილიონი ევრო იშოვნა.

მეორე ადგილზე შარშანდელი სატრანსფერო საგიჟეთის მომწყობი „რეალია". ერთი წლის წინათ „სამეფო კლუბმა" მხოლოდ **კრიშტიანო რონალდოში** გადაიხადა 96 მილიონი ევრო. წლეულს ჯამში დახარჯა ამაზე ნაკლები, თუმცა მეორე ადგილზე მაინც გავიდა. **ანხელ დი მარიას, მესუთ იოზილს, სამი ხადირას** და სხვების სანაცვლოდ „რეალმა" ჯამში 81 მილიონი ევრო დახარჯა. აი, შემოსავლით კი მადრიდულ გრანდს არაფერი შემოსვლია „მანჩესტერ სიტისგან" განსხვავებით. ჯერჯერობით კიდევ არ არის ცნობილი, ვიგულისხმოთ თუ არა **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ტრანსფერი (9,7 მილიონი ევრო) შემოსავლებში, რადგან ამ ტრანსფერის ბედი ჰაერშია გამოკიდებული.

ტოპსამეულში კიდევ ერთი ესპანური კლუბია - „ბარსელონა", რომელსაც ეკუთვნის ამ სატრანსფერო სეზონის აბსოლუტური რეკორდი - **დავიდ ვილიას** სანაცვლოდ კატალონიურმა გრანდმა „ვალენსიას" 40 მილიონი ევრო გადაუხადა. საერთო ჯამში კი „ბარსელონას" ეს ზაფხული 71,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. კლუბს **დმიტრო ჩიგრინსკის**, იაია ტურეს და სხვების გაყიდვით ჯამში 45 მილიონი ევრო შემოუვიდა. ამიტომაც ჭკვიანური სატრანსფერო პოლიტიკის წყალობით „ბარსამ" სულ 26 მილიონი დოლარი გაილო და გუნდიც აშკარად გააძლიერა.

სეზონის 10 მხარჯველ კლუბში 2-2 წარმომადგენელი ჰყავს ინგლისს, იტალიას, ესპანეთსა და... რუსეთს, თითო გერმანიას და საფრანგეთს. მარაქაში რუსების გარევა უკვე აღარავის უკვირს, უბრალოდ, წლეულს ყაზანის „რუბინმა" და სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა" ნამეტანი შეძლეს - 43-43 მილიონი ევრო დახარჯეს! სხვათა შორის, სტატისტიკაში ყველანაირი ხარჯია მითითებული, არა მხოლოდ რომელიმე ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება, არამედ ის თანხა, რისი გადახდაც გუნდს რეალურად უწევს.

ეს სტატისტიკა არ იქნებოდა სრული, რომ არ შემოგვეთავაზებინა თქვენთვის იმ კლუბების სია, რომელთაც ყველაზე მეტად ისარგებლეს ფინანსური თვალსაზრისით. სარფიანად გამყიდველთა სიას სათავეში „ვალენსია" უდგას - „ღამურებმა" გუნდიდან დავიდ ვილია, დავიდ სილვა, **კარლოს მარჩენა, ნიკოლა ჟიგიჩი** და სხვები გაუშვეს და ჯამში 84 მილიონი ევრო მიიღეს. ესპანური კლუბისთვის სამწუხაროდ, შემოსული თანხების დიდი ნაწილი კრედიტების დაფარვაში წავიდა. მეორე ადგილზეა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „ინტერი", რომელსაც ამ ზაფხულს ფეხბურთელთა გაყიდვით 53 მილიონი ევრო შეუვიდა, მესამეზეა ლისაბონის „ბენფიკა" - 50 მილიონი.

ფეხბურთელთა შორის ყველაზე ძვირიანი ტრანსფერი, როგორც აღვნიშნეთ, დავიდ ვილიას „ბარსელონაში" გადასვლაა - 40 მილიონი ევრო. შემდეგ მოდის დავიდ სილვას ტრანსფერი „მანჩესტერ სიტიში" - 32 მილიონი, მესამეზე კი **ჯეიმს მილნერის** გადასვლაა „ასტონ ვილადან" „მანჩესტერ სიტიში", თუმცა აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ 30 მილიონ ევროში საპირისპირო მიმართულებით წასული **სტივენ აირლენდის** ტრანსფერიც იგულისხმება (9,7 მლნ. ევრო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ზაფხული 2010 | | |
|---|---|---|
| **10 ყველაზე მხარჯველი კლუბი** | | |
| 1. მანჩესტერ სიტი | ინგლისი | 145,5 მლნ ევრო |
| 2. რეალი | ესპანეთი | 81 |
| 3. ბარსელონა | ესპანეთი | 71,5 |
| 4. იუვენტუსი | იტალია | 56,5 |
| 5. რუბინი | რუსეთი | 43,1 |
| 6. ზენიტი | რუსეთი | 43 |
| 7. ჯენოა | იტალია | 41,4 |
| 8. ვოლფსბურგი | გერმანია | 38,9 |
| 9. ჩელსი | ინგლისი | 38 |
| 10. მარსელი | საფრანგეთი | 37,5 |
| **5 ყველაზე შემოსავლიანი კლუბი ტრანსფერებიდან** | | |
| 1. ვალენსია | ესპანეთი | 84 მლნ ევრო |
| 2. ინტერი | იტალია | 53 |
| 3. ბენფიკა | პორტუგალია | 50 |
| 4. ბარსელონა | ესპანეთი | 45 |
| 5. ლივერპული | ინგლისი | 38 |
| **ყველაზე ძვირი ფეხბურთელები** | | |
| 1. დავიდ ვილია | ვალენსია-ბარსელონა | 40 მლნ ევრო |
| 2. დავიდ სილვა | ვალენსია-სიტი | 32 მლნ ევრო |
| 3. ჯეიმს მილნერი | ასტონ ვილა-სიტი | 30 მლნ ევრო |
| 4. მარიო ბალოტელი | ინტერი-სიტი | 28 მლნ ევრო |
| 5. ანხელ დი მარია | ბენფიკა-რეალი | 25 მლნ ევრო |

● შალკე

# საიდან ამდენი ფული, პერ მაგათ?!

## ხუმარები არ ხუმრობენ: 12 ახალი ფეხბურთელი ზაფხულში

მოსალოდნელიც იყო, რომ „შალკე" ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ძალიან იაქტიურებდა, რადგან გელზენკირხენული კლუბის მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** წინა სეზონის დასრულებიდან აგვისტოს ბოლომდე გაიძახოდა, არსებული კონტინგენტით ნამდვილად ვერ გავფრინდებით, ჩვენ კი სწორედ გაფრენა გვინდაო. მაგრამ მაინც არავინ ელოდა იმას, რომ „შალკე" ამდენ ფეხბურთელს დაიმატებდა. სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს „ხუმარებმა", რბილად რომ ვთქვათ, თავი გაიგიჟეს და სამი ახალი მოთამაშე დაიმატეს, აქედან ორი მაღალი დონის ვარსკვლავია: **კლაას იან ჰუნტელაარი** და **ხოსე მანუელ ხურადო.**

ვერ ვიტყვით, რომ „შალკემ" წარმოუდგენლად ბევრი ფული დახარჯა, მაგრამ **ლევან ყენიას** გუნდის მხარჯველუნარიანობა მაინც გასაკვირია, რადგან გასული სეზონის დასრულების შემდეგ, „შალკეს" ვალი 250 მილიონ ევროს შეადგენდა. ჯერ კიდევ სეზონის წინ მაგათი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისს** დაუპირისპირდა - ფელიქსს სურდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობას მისთვის ტრანსფერებისთვის 30 მილიონი ევრო გამოეყო. ტიონისი კი მხოლოდ იმაზე იყო თანახმა, რომ მაგათისთვის 10 მილიონი მიეცა და ფელიქსს უთხრა, დანარჩენი ფეხბურთელების გაყიდვით უნდა იშოვოო. ფელიქსი და კლემენსი საბოლოოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ მაგათმა კლუბისგან 25 მილიონი მიიღო.

უპირველესი მიზეზი, რის გამოც „შალკემ" თავს ამდენი ფულის ხარჯვის უფლება მისცა, ის არის, რომ კლუბმა გასულ სეზონში მეორე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა. ჩემპიონთა ლიგაში კი კლუბები ისედაც დიდ ფულს შოულობენ და თუ წარმატებებსაც მიაღწიეს, შემოსავლები კიდევ უფრო მეტად ეზრდებათ ხოლმე. მაგალითად, მიუნხენის „ბაიერნმა", წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში რომ გავიდა, უეფასგან საერთო ჯამში 45 მილიონი ევრო მიიღო. მაგათი ფულს იმიტომაც ითხოვდა, რომ „შალკეს" ჩემპიონთა ლიგაში თავის დამკვიდრების შანსი ჰქონდეს. ფელიქსი ამბობდა, ინვესტიციების გარეშე შანსი არ გვაქვს, რომ პროგრესი განვიცადოთო. თანაც, „ხუმარებმა" ძალიან ცუდად, ორი წაგებით დაიწყეს და ფელიქსი მიხვდა, რომ სასწრაფოდ გადამწყვეტი ზომების მიღება იყო საჭირო.



შალკეს ბოლო ახალწვეულები: ხურადო, ჰუნტელაარი, პლესტანი და სავარაუდო ტაქტიკური სქემა, რომლითაც გელზენკირხენული კლუბი ითამაშებს

„შალკეს" სატრანსფერო ბალანსი საბოლოოდ ასე გამოიყურება: მაგათმა ფეხბურთელების გაყიდვით (**ვესტერმანი, რაფინია** და ა.შ.) 17.1 მილიონი ევრო მიიღო, ახალ ფეხბურთელებში კი 34.6 მილიონი დახარჯა. ეს კი მინუს 17.5 მილიონია. თუ ამას ხელფასებისა და ჯიბის ფულის ჯამს მივუმატებთ, 25 მილიონამდე ავალთ. გამოდის, რომ მაგათმა ზუსტად იმდენი ფული დახარჯა, რამდენიც სეზონის ბოლოს ტიონისისგან მიიღო.

ფაქტია ისიც, რომ თავდასხმაში ჰუნტელაარ-**რაულის** დუეტითა და მათ უკან გასამწესებელი ხურადოთი, მაგათი უბრალოდ ვალდებულია, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დაძლიოს და მინიმუმ მერვედფინალში გავიდეს...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფასება



მარცხნიდან: რობერტ შავლაყაძე, თამაზ მდინარაძე, ლადო ვარძელაშვილი

# ფორო იტალიკოს ნახევარსაუკუნოვანი ექო

რომის ოლიმპიური სტადიონის მძლეოსნურ სექტორზე მის გამოჩენას გუგუნით ხვდებოდნენ — მასპინძლები შავულვაშიან სპორტსმენს გარეგნობით იტალიელს ამსგავსებდნენ და აქტიურად ქომაგობდნენ. ისიც არ აწბილებდა გულშემატკივრებს — ყველა სიმაღლეს პირველსავე ცდაზე იღებდა. ჟურნალისტები მაინც ამერიკელთა ცოცხალ ლეგენდას — **ჯონ თომასს** დასდევდნენ კუდში: ვერ წარმოედგინათ, პალო-ალტოში ვინაც 222 სანტიმეტრი სიმაღლის თამასას გადაევლო, როგორ უნდა წაეგო ორთაბრძოლა იმ საბჭოელთან, რომლის პირადი რეკორდი 213 სანტიმეტრს არ აღემატებოდა...

იმ დღეს ვახუშტის ქუჩის ერთ-ერთი სახლიდან ღრმადმორწმუნე ქალბატონი დილაუთენია ფეხშიშველა გამოსულა სახლიდან, დიდუბის ტაძრისთვის სამჯერ შემოუვლია და სანთლებიც დაუნთია. შინ დაბრუნებულს შეუნიშნავს, როგორ მოაწყდა მტრედი დახურულ ფანჯარას. კეთილად ენიშნა თურმე ეს ყოველივე დედას.

ის დღე კი 1960 წლის 1 სექტემბერი იყო...

„ფორო იტალიკოზე" 12-საათიანი ბრძოლის შემდეგ ათლეტები ძლივს იდგნენ ფეხზე. მხოლოდ 27 წლის **რობერტ შავლაყაძე** გამოიყურებოდა მშვიდად და ყოჩაღად. აუღელვებლად ადევნებდა თვალს, თუ როგორ იმსხვრეოდნენ მის წინ კერპები, თავად კი, ყველას გასაკვირად, პირველსავე ცდაზე სუფთად დაძლია 216 სანტიმეტრი და ოლიმპიური რეკორდით რომის თამაშების ოქროს მედალი დაიმსახურა. დიდხანს არ დამცხრალა ოვაციები ტრიბუნებზე. მთელი მსოფლიო ტაშს უკრავდა ქართველ სპორტსმენს, რომელიც სახეგაბადრული იდგა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

*„საბჭოთა მძლეოსანმა შავლაყაძემ დაამტკიცა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს. იგი ამ დღეს დიდებული, შეუდარებელი იყო, ისეთი, როგორიც არავინ. მან ბრწყინვალედ მოიგო ამერიკელებთან როგორც საჰაერო, ისე ფსიქოლოგიური ბრძოლა",* — წერდა ლონდონის „თაიმი".

*„სიმაღლეზე ხტომის ოქროს წიგნში დღემდე არ იყო არც ერთი ევროპელის სახელი. დღეს თბილისელმა რობერტ შავლაყაძემ ახალი ფურცელი ჩაწერა ამ მატიანეში",* — კვერს უკრავდა იტალიური „სტამპა".

ის დღე კი 1960 წლის 1 სექტემბერი იყო...

ზუსტად ნახევარი საუკუნის შემდეგ — 2010 წლის 1 სექტემბერს სახელოვან ქართველ მძლეოსანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, რომის ოლიმპიადის ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორს (1962), საბჭოთა კავშირის პირველობების ოქროს (1964) და სამგზის ვერცხლის მედალოსანს, სოციალისტური ქვეყნების თამაშების შვიდგზის და ძმები ზნამენსკების საერთაშორისო მემორიალების ხუთგზის გამარჯვებულს, 1959 წლის „გიგანტთა მატჩის" (აშშ-სსრკ) ტრიუმფატორ რობერტ შავლაყაძეს ოლიმპიური ოქროს მოპოვების 50 წლისთავთან და „სპორტის რაინდის" წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით, მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის ახალ ოფისში შეხვედრა მოუწყვეს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** ლეგენდარულ მძლეოსანს ჩემპიონობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე მიულოცა და „სპორტის რაინდის" მედლით დააჯილდოვა. მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ მდინარაძემ** კი 3000 ლარით დაასაჩუქრა.

შეხვედრას ესწრებოდნენ სპორტის მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაური,** სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ირაკლი სამყურაშვილი,** მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი **მაია აზარაშვილი**, ფედერაციის წარმომადგენლები.

**ლადო ვარძელაშვილი:** *„ვეტერან სპორტსმენებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ამ ადამიანებმა შექმნეს ქართული სპორტის ისტორია და ჩვენს ქვეყანას სახელი გაუთქვეს. ვისარგებლებ შემთხვევით და ბატონ რობერტ შავლაყაძეს მივულოცავ ჩემპიონობის მოპოვების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და „სპორტის რაინდის" წოდების მინიჭებას. უახლოეს დღეებში დედაქალაქის მერიის წინაშე წარვსდგებით შუამდგომლობით, რათა ოქტომბერში ჩვენს სახელოვან ვეტერანს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭოს.*

*აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ მძლეოსნობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი სპორტის სახეობაა, ამიტომ მისი განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის არაფერს დავიშურებთ. მძლეოსნობა სპორტის ყველა სახეობას სჭირდება, ის პრიორიტეტული უნდა გახდეს".*

**თამაზ მდინარაძე:** „რობერტ შავლაყაძის დამსახურებაა, რომ მსოფლიოში სათანადო პატივით მოგვიხსენიებენ. არც ისე ბევრია ქვეყანა, მძლეოსნობაში 11 ოლიმპიური მედალი ჰქონდეს. ამ დიდ ტრადიციას შენარჩუნება და გავრცობა უნდა. კარგი თაობა მოდის. სათანადო თანადგომა თუ იქნება, წარმატებები კვლავაც მოვა".

**რობერტ შავლაყაძე:** „დიდი მადლობა ყველას დაფასებისთვის. სასიამოვნოა ამგვარი ყურადღება. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს მძლეოსნობაში პირველი ოქროს მედალი მოვუტანე. მჯერა, რომ გამარჯვებები მომავალშიც იქნება".

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

თემის გაგრძელება იხილეთ მე-12 გვერდზე

ჭადრაკი

## ყაიმებს დასჯერდნენ

სანკტ პეტერბურგში დასასრულს უახლოვდება რუსეთის მოჭადრაკე ქალთა მე-60 საიუბილეო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგის 34 წარმომადგენელი ეცილება ერთმანეთს პირველობას. მათგან ორი უცხოელია — ქართველი **ნაზი პაიკიძე** და სერბეთის სახელით მოასპარეზე **მარია მანაკოვა**, რომელმაც 7 ტურში მხოლოდ 3,5 ქულა მოაგროვა და, პრაქტიკულად, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშა. რაც შეეხება პაიკიძეს, გუშინ იგი **მარია რომანკოს** დაუზავდა და 5,5 ქულით **სვეტლანა მატვეევასთან** (მან **ელენა ზაიაცთან** გაიყო ქულა) ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. ლიდერებს ნახევარნახევარი ქულით ჩამორჩებიან რომანკო, ზაიაცი და **ტატიანა შადრინა**. ეს უკანასკნელი დღეს მე-8 ტურში თეთრებით მატვეევას შეხვდება, ზაიაცი კი პაიკიძეს ეთამაშება.

## ლიდერებს კვალში უდგანან

ფილიპინებზე ფლორენსიო კამპომანესის მემორიალზე გუშინ მე-7 ტურის პარტიები გაიმართა. ლიდერთა ჯგუფში მყოფი **მერაბ გაგუნაშვილი** თეთრებით მხოლოდ ყაიმს გამორჩა ჩინელ **ლირენ დინთან** პაექრობისას და 5 ქულას მოუყარა თავი. მას ქულით ჩამორჩება **თამაზ გელაშვილი**, რომელმაც გუშინ ფილიპინელი **დავიდ ელორტა** დაამარცხა.

შეჯიბრებაზე 6 ქულით ისევ ჩინელი **იუნ ჟაო** მეწინავეობს. მე-7 ტურში იგი მასპინძელს **უესლი სოუს** დაუზავდა. ლიდერთა დანარჩენი პარტიები შედეგიანი აღმოჩნდა: **ლიემ ქუანგ ლი** (ვიეტნამი)-**ეჰშან ჩაემი** (ირანი) 1:0, **იანჩაო ჟოუ** (ჩინეთი)-**ჟონ ჟანი** (სინგაპური) 1:0, **მურთაზ კაჟგალიევი** (ყაზახეთი)-**დარვინ ლაილო** (ფილიპინები) 0:1, **ეუგენიო ტორე** (ფილიპინები)-**ნი ჰუა** (ჩინეთი) 1:0, **ჯეისონ გონსალესი** (ფილიპინები)-**ანტონ ფილიპოვი** (უზბეკეთი) 0:1, **ტიგრან კოტანჯიანი** (სომხეთი)-**ემანუელ სენადორი** (ფილიპინები) 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ჟოუ, ლი და ლაილო იყოფენ. 6 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს.

დღეს მე-8 ტურში გაგუნაშვილი სენადორს შეხვდება, გელაშვილი **ოლივერ დიმაკილინგს** (ფილიპინები) დაუპირისპირდება.

## კალამარია სომეხს ერგო

სალონიკიში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი „კალამარია 2010" 10 ქვეყნის 68 წარმომადგენლის მონაწილეობით. მეტწილად ბერძნები იყვნენ, მაგრამ მასპინძლებმა მთავარი პრიზის მოპოვება ვერ შეძლეს. პირველი ადგილი სომეხმა **ზავენ ანდრიასიანმა** დაიკავა. ბოლო ტურში იგი ბულგარელ **იულიან რადულსკის** დაუზავდა, 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენ წევრთა პარტიები ასე დამთავრდა: **იური დროზდოვსკი** (უკრაინა)-**ათანასიოს მასტროვასილისი** (საბერძნეთი) 1:0, **სუათ ატალიკი** (თურქეთი)-**ანტონიოს პავლიდისი** (საბერძნეთი) 1:0, **ნატალია ზდებსკაია** (უკრაინა)-**დიმიტრიოს მასტროვასილისი** (საბერძნეთი) 0:1, **იოანის ნიკოლაიდისი** (საბერძნეთი)-**ვეიჰ ბაღდასარიანი** (სომხეთი) 1:0, **ვალენტინ იოტოვი** (ბულგარეთი)-**აჩილიას სპირლიდიასი** (საბერძნეთი) 1:0, **ეკატერინი ფახირიდუ** (საბერძნეთი)-**იოვიცა რადოვანოვიჩი** (სერბეთი) 1:0. მეორე-მესამე ადგილებზე 6,5-6,5 ქულით ატალიკი და დროზდოვსკი გავიდნენ. **ნიკოლოზ შავთვალაძემ** მასპინძელი **ასიმენიოსი** დაამარცხა და ტურნირი 5,5 ქულით დაასრულა. ქალებში 6 ქულით პირველობა ყოფილ თბილისელ ფახირიდუს ერგო.

## ბოლო ტურში გაირკვევა

ნოვი სადში დღეს დასრულდება სერბეთის მოჭადრაკე ქალთა გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი **ნანა ძაგნიძეც** მონაწილეობს. იგი „ელიცა გორაჩიჩის" ღირსებას იცავს. გუშინ ნანამ მონაგარს კიდევ ერთი ქულა შესძინა - „რად ბელგრადის" ლიდერი **იოვანა ვოინოვიჩი** დაამარცხა. ძაგნიძის თანაგუნდელთაგან **სანდრა დუკიჩმაც** იყოჩაღა, ხოლო **ანჟელიკა სტოიანოვიჩი** და **მარია რაკიჩი** ყაიმებს დასჯერდნენ. საბოლოოდ „გორაჩიჩმა" 3:1 გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილში სამი ქულა ჩაიწერა, თუმცა მეორე ადგილს მაინც ვერ გასცდა, რადგან მისმა მთავარმა კონკურენტმა „ბას ბელგრადმა" დაძაბულ ბრძოლაში სძლია „ზლატარ ნოვა ვაროს" 2,5:1,5 და 27 ქულით პირველი ადგილი შეინარჩუნა. ნანას გუნდს 25 ქულა აქვს. 22-22 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს „იუგოვიჩ-კორი" და ბელგრადის „პოლიტიკა" ინაწილებენ. სამივე სინჯის მედლების ბედი დღეს ბოლო ტურში გაირკვევა. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: „იელიცა გორაჩიჩი"-"ზლატარ ნოვა ვაროსი", „ბას ბელგრადი"-"შახმატნი კრუჟოკი", „იუგოვიჩ-კორი"-"პოჟარევაჩკი", „პოლიტიკა"-"ჰაიდუკი".

საჭადრაკო ბლოკი მოამზადა

**ვაჟა დანელიამ**

ველოსპორტი



გიორგი ნადირაძე

## 17 ქულა და აქტიური მრბოლის მაისურა

მასპინძლების ორი, ბულგარეთის, კვიპროსის, სირიის, საქართველოს თითო გუნდის და ამ ქვეყნების რამდენიმე კლუბის მონაწილეობით თურქეთში გაიმართა საერთაშორისო მრავალდღიანი საგზატკეცილო ველორბოლა „ვიქტორია ტური". 63 მრბოლს შორის საქართველოდან ასპარეზობდა **გიორგი ნადირაძე, არჩილ მახარაშვილი, ვიქტორ ერიოხინი, ლევან მიქელაძე და ნოდარ ყვავაძე.**

ჯამში სპორტსმენებმა 663 კილომეტრი გაიარეს.

პირველ ეტაპზე მთაში ორი უღელტეხილი იყო გასავლელი, ნადირაძე აქ მე-14 იყო, მახარაშვილი 27-ე, ერიოხინი 28-ე, მიქელაძე 29-ე; მეორე ეტაპი: ნადირაძე (8), მახარაშვილი (11), ერიოხინი (34), მიქელაძე (43); მესამე ეტაპი: 12. ნადირაძე (12), მახარაშვილი (21), ერიოხინი (34); მეოთხე ეტაპზე ნადირაძე III ადგილზე გავიდა, მახარაშვილი (17), ერიოხინი (27); მეხუთე ეტაპი: ნადირაძე (6), მახარაშვილი (11), ერიოხინი (32).

ხუთი ეტაპის ჯამში ნადირაძეს მე-10, მახარაშვილს მე-16, ერიოხინს 30-ე ადგილები ერგოთ.

ამას გარდა სპრინტერულ რბოლებში გიორგი ნადირაძეს გადაეცა აქტიური მრბოლის მაისურა. სულ მან ამ შეჯიბრებაში 17 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

საბოლოოდ საქართველოს გუნდმა კი მე-6 ადგილი დაიკავა.

თურქეთში გამგზავრების წინ ჩვენს გუნდს დიდი დიღმის ველოტრეკზე ერთთვიანი შეკრება ჩაუტარდა..

**გიორგი ყიფშიძე**

მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

## ქართველთა მძიმე ხვედრი შანხაიში

შანხაიში, მსოფლიოს თასის ბოლო, მეოთხე გათამაშებაში გუშინ საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა. ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ ამჯერად **ქრისტინე ესებუამ** ისროლა - 638 ქულა და 24-ე ადგილი. **ხათუნა ნარიმანიძე** 627 ქულით 36-ზე გავიდა. პლეი ოფში მოხვდა **ასმათ დიასამიძეც** - 618 ქულა და 50-ე ადგილი. ერთადერთი, ვინც სანუკვარ მიჯნას, ანუ მომდევნო ეტაპზე გამსვლელ 64-ეულს ვერ უწია, ახალგაზრდა **ნათია ცინცაძეა** - 570 ქულა და 76-ე ადგილი 83 მონაწილეს შორის.



პლეი ოფის შეხვედრები დღეს გაიმართება. სამწუხაროდ, ჩვენებს ძლიერი მეტოქეები ერგოთ. ესებუა პირველ წრეში უკრაინელ **კატერინა პალეკნას** ხვდება, რომელიც ამჯერად 41-ზე კი გავიდა, მაგრამ მსოფლიოს პრიზიორია. მომდევნო ეტაპზე ამათში გამარჯვებულს საკმაოდ ძლიერ ბრიტანელ **ნაომი ფოლკარდსა** და ავსტრალიელ **დეონე ბრიდგერს** შორის მოგებული შეხვდება.

ვფიქრობთ, არც ნარიმანიძეს გაუმართლა - ჩინელ **იუნლი ჭანგს** ხვდება. პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონისა და ოლიმპიურ თამაშებზე კორეელთა 16-წლიანი ჰეგემონიის დამამხობელი **ჟუან-ჟუან ჭანგის** მოგვარე ნაკრებში აქამდე არც გვახსოვს, მაგრამ იქაურ ნაკრებში იმხელა კონკურენციაა, შემთხვევით ვერავინ მოხვდება. თან ურიგო შედეგი არც ახლა უჩვენებია საკვალიფიკაციოში - 29-ე იყო, მაგრამ ნარიმანიძეს ჩინელებთან სიურპრიზების შემოთავაზების გამოცდილება გააჩნია - 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დამატებით სერიაში მოუგო ჩინელ მსროლელს. იმედია, არც ამჯერად გაგვაწბილებს, თუმცა წარმატების შემთხვევაში, შესაძლოა, ბევრად უფრო ძლიერ ჩინელთან, შესარჩევში მეოთხეზე გასულ **მინგ ჩენგთან** მოუწიოს შეხვედრამ, რომელიც მანამდე ავსტრალიელ **ალექსანდრა ფინეის** ხვდება. თუმცა ჩვენებურთაგან ყველაზე ძლიერი მეტოქე მაინც დიასამიძეს ერგო - ფრანგი ევროპის ჩემპიონი **ბერენჟერე შუ**. დღეს პლეი ოფები ნახევარფინალური ეტაპის ჩათვლით გაიმართება და გამოვლინდებიან როგორც ოქროს, ასევე ბრინჯაოს მედლისთვის მებრძოლი წყვილები.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა და პლეი ოფის პირველ შეხვედრას აშშ-ის გუნდთან გამართავს. ამერიკელთა გუნდში ამჯერადაც გამოდის ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში **ხათუნა ქვრივიშვილი**, რომელიც ახლა ლორიგის გვარით ასპარეზობს. გუნდურ ტურნირში პლეი ოფები, აგრეთვე ფინალური შეხვედრები ინდივიდუალურ პირველობაში 4 სექტემბერს, შეჯიბრების დასკვნით დღეს გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

პრეზენტაცია

# შსს-ს სერიოზული განაცხადი

გუშინ პოლიციის აკადემიაში შსს-ს საკალათბურთო კლუბის პრეზენტაცია მოეწყო. მსგავსი ღონისძიება საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად დაფიქსირდა. სეზონის ასე სერიოზულად დაწყება გვაფიქრებინებს, რომ შსს ასევე განაგრძობს. ერთწლიანი კლუბების არსებობის ფონზე, ეს მისასალმებელი ფაქტია.

შსს-ს გუნდის პრეზიდენტმა ლევან მიქაბერიძემ სამომავლო გეგმებიც გაგვაცნო და დავრწმუნდით, რომ მიზნები მართლაც სერიოზულია, თუმცა ახლა აწმყოზე ვილაპარაკოთ... პრეზენტაციას შსს-ს ყველა კალათბურთელი, მწვრთნელი და გუნდის ხელმძღვანელი დაესწრო.

ლევან მიქაბერიძემ მადლობა გადაუხადა იმ კალათბურთელებს, რომლებიც შსს-ს ღირსებას გასულ სეზონში იცავდნენ — ბექა გოლეთიანს, შოთა პატარაიას, ვანო აბულაძეს, სერგო ათუაშვილს, ვასილ ბერუაშვილის. ეს მოთამაშეები ახალ სეზონში „ძალოვანების" ღირსებას აღარ დაიცავენ. პრეზენტაციაზე ახალი მაისურები დაურიგეს კლუბის ოთხ ახალწვეულს: დავით ბარბაქაძეს, დავით იმნაძეს, დავით დეკანოიძესა და ბესიკ ლეჟავას.

აქვე შსს-ს სრულ შემადგენლობას გაგაცნობთ: ერეკლე ქადაგიძე, გიორგი მარკოიშვილი, ზურაბ კორკოტაძე, დავით ბარბაქაძე, დავით იმნაძე, ლადო სუხიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, დავით ბერიშვილი, ირაკლი ბერიშვილი, დავით დეკანოიძე, ბესიკ ლეჟავა, ლექსო ლაფანაშვილი, სოსო შერმადინი, ოთარ ფაიქრიძე.

სტატიის ბოლოს კლუბის პრეზიდენტ ლევან მიქაბერიძის ინტერვიუსაც წაიკითხავთ და გაიგებთ, რომ ზამთარში ლეგიონერის ჩამოყვანას აპირებენ...

შსს 1 გვისტოს შეიკრიბა და მას შემდეგ თბილისში ვარჯიშობს. პრეზენტაციის ბოლოს დაგვათვალიერებინეს დარბაზი, სადაც გუნდი ემზადება. მას დასაწუნი არაფერი სჭირს, გვერდით ტრენაჟორების დარბაზია, ხოლო ორ კვირაში იქვე საცურაო აუზის მოწყობა დასრულდება.

სექტემბერში გუნდი გონიოში გაემგზავრება და შეკრებას აჭარაში გაივლის. იგეგმება საკონტროლო მატჩები თურქულ კლუბებთან.

შემადგენლობასთან დაკავშირებით მთავარმა მწვრთნელმა არჩილ ჟღენტმა თქვა:

- ეს ის შემადგენლობაა, რომელიც მე მოვითხოვე. ხელმძღვანელობამ თხოვნა დააკმაყოფილა და დავიმატეთ გუნდისთვის საჭირო რამდენიმე კალათბურთელი. შსს კარგადაა დაბალანსებული და იმედი მაქვს, რომ ეს კალათბურთელები მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში დაგვეხმარებიან.

მიზნებზე უფრო კონკრეტულად ლევან მიქაბერიძე მოგვითხრობს:

- სადღეისოდ ჩვენი მთავარი ამოცანა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაა. შემდეგში მოთხოვნები შეიძლება გაიზარდოს. გუნდს ყველანაირად ხელს შევუწყობთ, რათა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინოს. აღვნიშნავ იმასაც, რომ ახლახან შსს-ს საკალათბურთო გუნდი კლუბად ჩამოყალიბდა, რომელსაც აქვს თავისი ინფრასტრუქტურა და დაბინავებულია პოლიციის აკადემიის ბაზაზე. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი უწყების ხელმძღვანელობას. მათ თანადგომას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ.

**- დაარსების დღიდან შსს-ს საკალათბურთო გუნდმა სერიოზული პროგრესი განიცადა...**

- გუნდი 2008 წელს ჩამოყალიბდა. მაშინ ქვეყანაში რთული სიტუაცია იყო, თუმცა ჩვენმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ყველაფერი ისევე გაგრძელებულიყო, როგორც ომამდე იყო და სუპერლიგაში განაცხადი შევიტანეთ. პირველ სეზონში შემადგენლობაში ძირითადად ის მოთამაშეები იყვნენ, ვინც ჩვენს უწყებაში მუშაობდა. ასევე დავაბრუნეთ კალათბურთიდან წასულები - კახა შენგელია, ბექა ნოზაძე, ბექა გოლეთიანი, ვანო აბულაძე. პირველ სეზონში ბევრი მატჩი წავაგეთ, თუმცა მაშინ მთავარი იყო ღირსეული თამაში და სუპერლიგაში ადგილის დამკვიდრება.

**- მეორე სეზონში ჩემპიონობის ამბიციებიც გაგიჩნდათ.**

- შარშანდელი ჩემპიონატის წინ გამოცდილი კალათბურთელები დავიმატეთ, იანვარში კი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა - მთავარ მწვრთნელად არჩილ ჟღენტი დაინიშნა. მას დიდ გუნდში მთავარ მწვრთნელად არ უმუშავია, თუმცა ევროპაში სემინარები აქვს გავლილი, კარგი სპეციალისტია და აშკარად გაამართლა. მისი ხელმძღვანელობით გუნდი ქორქია-საკანდელიძის თასის ფინალში გავიდა. წარმატებით ითამაშა სუპერლიგის მეოთხედფინალში, სადაც დაძაბულ ბრძოლაში ბათუმელებს ვაჯობეთ.

**- წლეულს შემადგენლობა კიდევ უფრო გაძლიერდა.**

- ერთ წელიწადში საჩემპიონო გუნდის ჩამოყალიბება ძნელია. ამისთვის მხოლოდ ფინანსები საკმარისი არ არის, აუცილებელია სწორი სელექცია, გუნდის ერთ მუშტად შეკვრა და შეთამაშება. გვქონდა პრობლემები ცენტრისა და მძიმე ფორვარდის პოზიციებზე. ამიტომ დავიმატეთ ბათუმელი ცენტრი დავით იმნაძე და თსუ-ს მძიმე ფორვარდი დავით ბარბაქაძე. ასევე გვჭირდებოდა კიდევ ერთი კარგი მეორე-მესამე ნომერი. ამ პოზიციის შესავსებად ბესიკ ლეჟავა გადმოვიყვანეთ. გამთამაშებლის ამპლუაზე პრობლემები არ გვქონია, რადგან შსს-ს ღირსებას ტყუპი ბერიშვილები იცავენ. ასევე ჩვენთანაა საქართველოს ნაკრების ყოფილი უკანახაზელი გიორგი ნიკოლაძე. ასე რომ, გუნდი დაბალანსდა. მეტსაც ვიტყვი - თითო პოზიციაზე რამდენიმე მაღალი დონის კალათბურთელია, რაც კონკურენციას კიდევ უფრო გაზრდის.

**- სუპერლიგის განაცხადი ბოლომდე არ შეგივსიათ. ადგილი ლეგიონერებისთვის ხომ არ დატოვეთ?**

- კავშირი გვაქვს ესპანეთის, ამერიკის, სერბეთისა და ლიტვის სააგენტოებთან. იანვრამდე შევხედავთ და რომელ პოზიციაზეც გაგვიჭირდება, იმ ამპლუის კალათბურთელს ჩამოვიყვანთ.

**- დუბლების ჩემპიონატში ახალგაზრდული გუნდის გამოყვანას ხომ არ გეგმავთ?**

- სამომავლოდ ამაზე აუცილებლად ვიმუშავებთ, რადგან გუნდის საშუალო ასაკი 26-27 წელია და სათანადო ცვლა რამდენიმე წელიწადში აუცილებლად დაგვჭირდება. თუმცა ამ სეზონში მხოლოდ უმაღლეს ლიგაში თამაშით შემოვიფარგლებით. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ნაკრებისთვისაც აუცილებელია შევსება, რაც უმთავრესად შიდა ჩემპიონატიდან უნდა მოვიდეს. სწორედ ამიტომაა საჭირო ძლიერი პირველობა. ქართული კლუბები ნელ-ნელა ევროტურნირებსაც უნდა გაუშინაურდნენ. თავიდან ევროჩელენჯით უნდა დავიწყოთ. შეიძლება, პირველ წელს კარგი შედეგები არ გვქონდეს, მაგრამ ნელ-ნელა თამაშიც უნდა გაუმჯობესდეს და შედეგიც.

**- ამ საკითხზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც საინტერესოა, შსს თუ აპირებს ევროპაზე გასვლას?**

- ამაზე მსჯელობა მართლაც ადრეა, მაგრამ ევროტურნირებზე გასვლა გვსურს. თუმცა იქ სტატისტის როლით არ დავკმაყოფილდებით. ოთხამდე ლეგიონერს ჩამოვიყვანთ, რათა ჯგუფურ ტურნირში მოვხვდეთ და იქაც წარმატებისთვის ვიბრძოლოთ. ასევე მნიშვნელოვანია, როდის ჩამოიყვან ლეგიონერებს. უშუალოდ მატჩების წინ მათ მოყვანას აზრი არ აქვს - უცხოელები გუნდში 4-5 თვით ადრე უნდა გამოჩნდნენ, რათა აკლიმატიზაციაც მოასწრონ და კარგადაც შეთამაშდნენ.

ვაჟა სიმონიშვილი


შსს-ს პრეზიდენტი ლევან მიქაბერიძე (მარცხნივ) და მთავარი მწვრთნელი არჩილ ჟღენტი



ინტერვიუ ლაშა გამყრელიძესთან


ლაშა გამყრელიძე

# ბელგიასთან გადაღლილები ვიყავით

**საქართველოს ნაკრების ევროშესარჩევში გამოსვლის შეფასება გამთამაშებელ ლაშა გამყრელიძეს ვთხოვეთ. მასთან საუბრისას შევეხეთ საკლუბო საკითხსაც - მოგეხსენებათ, გასული სეზონის შემდეგ ლაშას გერმანულ „მიტელდოიჩერთან" კონტრაქტი ამოეწურა.**

- „დოიჩერში" აღარ დავბრუნდები. ამის თქმა გადაჭრით შემიძლია, თუმცა კარიერას სად გავაგრძელებ, ჯერ არ ვიცი. ვფიქრობ, ამას მალე გავარკვევ.

**- რადგან საკლუბო თემაზე სალაპარაკო ბევრი არაა, სანაკრებოზე გადავიდეთ. ბულგარეთთან მატჩს როგორ შეაფასებ?**

- ვიცოდით, რომ დაძაბული ბრძოლა იქნებოდა. ბულგარეთი სერიოზული გუნდია. შედარებით დასვენებულები ვიყავით, თავისუფლადაც ვთამაშობდით და მეორე ტაიმში გარდატეხაც შევიტანეთ.

**- ერთი ტურით ადრე პორტუგალიაში დიდი სხვაობით მოიგეთ...**

- სხვაობა დიდი იყო, მაგრამ რთული თამაში გამოდგა - პორტუგალიელები ორგანიზებულად იცავდნენ თავს. თუმცა, ისევე, როგორც ბულგარეთთან, პორტუგალიაშიც თავისუფლად ვთამაშობდით, ფაქტობრივად, ყველაფერი გამოგვდიოდა. განსაკუთრებით კარგად პირველ პერიოდში გავისარჯეთ. საბოლოოდ გამარჯვება ეჭვქვეშ არ დაგვიყენებია.

**- თქვი, თავისუფლად ვთამაშობდითო, ბელგიასთან თბილისური მატჩისას...**

- პორტუგალიასთან თამაშს დასვენებულები შევხვდით. ბელგიასთან მატჩამდე კი ერთმანეთის მიყოლებით დავუპირისპირდით პორტუგალიას, ბულგარეთსა და პოლონეთს. ბულგარეთში შესანიშნავად გავისარჯეთ და 2 ქულა მოვიპოვეთ. პოლონეთში დაცვაში ურიგოდ არ გვითამაშია, თუმცა ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც გვსურდა. პოლონეთთან მატჩს ზაზა ფაჩულიას ტრავმაც დაემთხვა... ასეთი რთული ბრძოლების შემდეგ საქართველოში ბელგიასთან მატჩამდე ერთი დღით ადრე ჩამოვედით. დაღლილები ვიყავით. მეტოქეს კი ხუთდღიანი დასვენება ჰქონდა და ენერგიის აღდგენაც მოასწრო. ჩემი აზრით, დაღლილობის ფაქტორმა ბელგიასთან ჩვენს გამოსვლაზე დიდი გავლენა მოახდინა.

**- პორტუგალიაში ჩარტერით წახვედით...**

- მშვიდად ჩავედით და მშვიდად ჩამოვედით. არც აეროპორტებში მოგვიხდა დიდხანს ლოდინი. შესაბამისად, ბულგარეთთან მატჩს ნორმალურ კონდიციებში შევხვდით.

**- გუნდის შესარჩევში გამოსვლას როგორ შეაფასებ?**

- ტურნირის დაწყებამდე ზოგიერთს ეგონა, ერთი-ორი თამაშის მეტს ვერ მოვიგებდით. საბოლოოდ მეორე ადგილზე გავედით, რაც კარგი შედეგია. ნაკრებმა დაამტკიცა, რომ A დივიზიონში თამაშსაც მშვენივრად ართმევს თავს. ევროპის ჩემპიონატზე წლეულსვე მოხვედრა მხოლოდ ბურთების შეფარდების გამო ვერ მოვახერხეთ. თუმცა ამის შანსი გაისად გვექნება. წლევანდელი თამაშები სამომავლოდ კარგ გაკვეთილად გამოგვადგება - დიდი გამოცდილება შევიძინეთ.

ვაჟა სიმონიშვილი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია და მცხეთის მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 67 წლისა გარდაიცვალა თბილისის სკა-ს, ფოთის „კოლხეთის" და გორის „დილას" ყოფილი ფეხბურთელი

ვლადიმერ კაპანაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული სპორტული ქრონიკები

## ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები




# როგორ გახდა ამერიკელთა ოლიმპიური სიმაღლე... ქართული

1960 წლის 1 სექტემბერი, რომის ოლიმპიური თამაშები. „აკვაჩიტოზას“ სტადიონზე სიმაღლეზე ხტომის სექტორში იმ დღეს სამუდამოდ დაესვა წერტილი ამერიკელთა ბატონობას მძლეოსნობის ამ დისციპლინაში. ქართველმა **რობერტ შავლაყაძემ** შეძლო ის, რაც მანამდე ვერ შეძლო ვერც ერთმა სიმაღლეზე მხტომელმა მსოფლიოში. **ჯონ თომასის** და ამერიკელთა სპორტული დიდების მზე სიმაღლეზე ხტომაში იმ დღეს ჩაესვენა.

გუშინ 50 წელი შესრულდა ამ ისტორიული მოვლენიდან. გუშინვე დღის სინათლე იხილა წიგნმა, რომელიც დაისტამბა სერიით „ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები“ — რობერტ შავლაყაძე. სამწუხაროდ, ავტორი, „ლელოს“ ყოფილი ჟურნალისტი გიორგი ჩოჩიშვილი წიგნის გამოცემას თავად ველარ მოესწრო.

გთავაზობთ ნაწყვეტს ხსენებული წიგნიდან.

„... თომასი მაშინ უდიდესი ვარსკვლავი იყო მძლეოსანთა შორის. მისი ყოველი ნაბიჯი ერთი მთლიანი, ჭეშმარიტად ამერიკული შოუს ნაწილს წარმოადგენდა. რობერტი თომასს ოლიმპიურ სოფელში შეხვდა, მალე დაუახლოვდა. ხანდახან ქუჩაშიც ერთად დადიოდნენ, მაგრამ ჟურნალისტები მხოლოდ ამერიკელის მიმართ იყვნენ გაფაციცებული. ქართველი სპორტსმენი ვის რაში აინტერესებდა. თომასი გულლია ახალგაზრდა ჩანდა, მაგრამ, ასეთი ყურადღებით განებივრებული, დროდადრო მედიდურობასაც ავლენდა და როგორღაც ზემოდან უყურებდა ყველას.

თბილისელმა მძლეოსანმა თავისთვის გადაწყვიტა: კაცი არ ვიყო, თუ ამათ თავისი ადგილი არ მივუჩინოო. მანამდე რობერტმა თანაგუნდელებთან — ვალერი ბრუმელთან და ვიქტორ ბოლშოვთან ერთად რომის სტადიონ „აკვაჩიტოზაზე“ თომასის ვარჯიში ნახა. დასაწყისში ახმახმა ამერიკელმა, რომელიც რობერტზე 12 სანტიმეტრით მაღალი იყო, საოცარი მაკრატელა უჩვენა თავის უმთავრეს მეტოქეებს: ერთი ფეხი მიწაზე ედგა, მეორე საფეხბურთო კარის ზედა ძელს ზემოთ ჰქონდა აწეული. ამას უძლიერესი მხტომელები მხოლოდ ნახტომით, ჰაერში აკეთებდნენ.

გაზეთებმაც არ დააყოვნეს: „გუშინ ჯონ თომასმა რუსი მხტომელების თანდასწრებით შესანიშნავი ვარჯიში ჩაატარა. ეს უკვე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უპირატესობაა. რუსები პანიკაში არიან“, — წერდა „დეილი ამერიკენი“.

მაგრამ მეორე დღეს, ასპარეზობის დროს, აშკარად გამოჩნდა, რომ ქართველ სპორტსმენს ღამით შიშისგან არ უცახცახია, „აკვაჩიტოზაზე“ იგი თომასის ვარჯიშს ყურადღებით აკვირდებოდა. სიმაღლეზე მხტომელს საზომი არ სჭირდება, თვალითაც კარგად ატყობს, რა სიმაღლეზეა გადებული თამასა. გადახტებოდა ამერიკელი 205 ან 210 სანტიმეტრზე და მწვრთნელი ხმამაღლა, ყველას გასაგონად შეაქებდა: ყოჩაღ, 215 ან 220 სანტიმეტრი აიღეო. ქართველი მძლეოსანი უცებ მიხვდა, რაშიც იყო საქმე: არც დიდი რეკორდსმენი და არც მისი მწვრთნელი ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებულნი საკუთარ ძალებში. მაშინ რობერტმა პირველად ირწმუნა, რომ თომასის დამარცხება შეიძლებოდა. ასე დაიბადა ეს „მკრეხელური“ აზრი ყველასთვის უცნობი ქართველი მხტომელის გონებაში. სხვაზე რა ვთქვათ, როცა რომში მყოფი მისი ქომაგებიც ხმამაღლა ამბობდნენ: აქ არის ბრუმელი, აქ არის თომასი და ჩვენი რობერტის შანსი მინიმალურიაო.

თვითონ შავლაყაძე მოგვიანებით ასე აღწერდა თავის მაშინდელ განცდებს: „იმის თქმა, რომ თომასის შესაძლებლობების დემონსტრირებამ გულგრილი დამტოვა, ტყუილი იქნება, მაგრამ ამის გამო ყურები არ ჩამომიყრია. პირიქით. ბრძოლის ჟინით ავივსე. სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან არა მხოლოდ ძალით, სიმარჯვით, ტექნიკით, არამედ, პირველ ყოვლისა — ხასიათით. ერთმანეთს ეჯიბრება შეხედულებები ცხოვრების წესზე, პატრიოტიზმზე, ღირსებაზე, პატიოსნებაზე... ჩვენ გვამარჯვებინებს არა მხოლოდ ძალა და გამძლეობა, არამედ უფრო იმის უნარი, რომ მოვახერხოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენა ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვან მომენტში“.

## თქვენთვის, ერუდიტებო — ვიქტორინა

1. ფეხბურთში მადრიდის საერთაშორისო ტურნირზე 1981 წელს ანხელმა ფეხი მოტეხა დავით ყიფიანს. ვის ეთამაშებოდა თბილისის „დინამო“?

ა – „ბარსელონას“
ბ – „რეალს“
გ – „რომას“

2. ვინ არის ყველაზე ტიტულოვანი ძალოსანი საქართველოში?

ა – რაფაელ ჩიმიშკიანი
ბ – დიტო შანიძე
გ – გიორგი ასანიძე

3. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის უფროსი 1952 წელს იყო ცნობილი სპორტსმენი, რომელსაც მანამდე კალათბურთთან საერთო არაფერი ჰქონია. ვინ იყო იგი?

ა – ბორის პაიჭაძე
ბ – ბორის დიაჩკოვი
გ – დავით ციმაკურიძე

4. რომელ წელს ავიდა პირველი ქართველი მთამსვლელი რომა გიუტაშვილი ჯომოლუნგმაზე?

ა – 1989 წელს
ბ – 1991 წელს
გ – 1992 წელს

5. რომელ წელს გახდა ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსნობაში ქეთევან ლოსაბერიძე?

ა – 1972 წელს
ბ – 1976 წელს
გ – 1980 წელს

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-გ, 5-გ.

## თარიღი — 2-8 სექტემბერი

**2.09. 1925 წ.** დაიბადა **ანდრო ზაზროევი** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**2.09. 1952 წ.** დაიბადა **იოსებ მალალაშვილი** — სამბო.

**3.09. 1936 წ.** დაიბადა **ანზორ ლეჟავა** — კალათბურთი. გარდაიცვალა 1997 წელს.

**3.09. 1976 წ.** თბილისის „დინამოს“ პირველი გამარჯვება სსრკ თასზე ფინალში „არარატთან“ (3:0).

**3.09. 1923 წ.** განხორციელდა პირველი სამეცნიერო ექსპედიცია მყინვარწვერზე.

**6.09. 1913 წ.** დაიბადა **გიორგი ანთაძე** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**6.09. 1959 წ.** შედგა **მიხეილ მესხის** დებიუტი სსრკ ნაკრებში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან (3:1).

**7.09. 1936 წ.** თბილისის „დინამოს“ პირველი მატჩი უმაღლეს ლიგაში (კიევის „დინამოსთან“ 2:2).

**7.09. 1968 წ.** დაიბადა **კახი ცხადაძე** — ფეხბურთი.

**8.09. 1977 წ.** ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის 68-ე კონგრესის გადაწყვეტილებით დაწესდა ჭადრაკში **ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თასი.



მიხეილ მესხი

## ქართული ფეხბურთის ისტორიიდან

1959 წელი. საპასუხისმგებლო მატჩი გვაქვს კიევში. ჩვენი მცველი **გივი ხოჭოლავა** იმ დღეს „მარცხენა ფეხზე“ იყო ამდგარი, ვერ იქნა და ვერ „მოერგო“ თამაშს. — გივი, ფრთხილად! გივი, ჩაკეტე! — წამიხდა ხმა ამდენი ყვირილით... თამაშის 35-ე წუთზე მოწინააღმდეგე ჩემს „საკუთარ“ მოედანზე „მოცელა“ და ... პენალტი. დარტყმა! „გავფრინდი“ მარცხენა კუთხისაკენ და მოვიგერიე ის 11-მეტრიანი... ზუსტად სამი წუთის შემდეგ გაბრაზებულმა გივიმ ისევ „მოცელა“ მათი თავდამსხმელი. პენალტი! — ჩაბერა მსაჯმა. გივიმ საწყალი თვალებით შემომხედა, მაგრამ რას მიშველის?! დარტყმა! ფანტასტიკურ დარტყმას ჩემი დროული ნახტომი მოჰყვა და თავგანწირვის ფასად ბურთი ჩემს ხელებში აღმოჩნდა... ჩემმა „იმედიანმა“ მცველმა მესამედ მოუსხლიტა იმათ თავდამსხმელს ფეხები. კვლავ პენალტი!.. ღვთის და ჩემი გამოცდილების წყალობით ავუღე ალღო იმ ბურთსაც და მოვიგდე ხელებში... ჩამოვედით თბილისში. მეორე დღეს გივი ხოჭოლავა მოაფრიალებს ორ გაზეთ „თბილისს“. უხმოდ მომაჩეჩა ერთი და მეორეს თვითონ ჩაუკირკიტდა. „ფანტასტიკური კოტრიკაძე“, — წავიკითხე სათაური, „სერგო კოტრიკაძემ სამი აუღებელი პენალტი აიღო“...

— სერგო, — გვერდულად გადმომხედა გივიმ.

— რა, — დამავიწყდა, რომ ვემდუროდი. — ბიჭო, მე რომ მაგ 11-მეტრიანები არ გამეკეთებინა, შენ ვინ გაგიცნობდა? მე გალიარე! მე ვარ შენი ტრიუმფის მიზეზი! ეს „უპატრონო“ ჟურნალისტები მარტო შენ გაქებენ, ჩემზე არაფერს წერენ, დისკრიმინაციაა! — იყვირა და გადავიხარხარეთ.

**სერგო კოტრიკაძე,**
სპორტის დამს. ოსტატი, თბილისის „დინამოს“ ვეტერანი მეკარე.

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** მწვრთნელი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა ფეხბურთში, იყო **გიგა ნორაკიძე.**

**პირველმა** კალათბურთში საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება დაიმსახურა **მიხეილ ცხვედაძემ.**

**პირველად** წყალმოთხილამურეთა სექცია, რომელშიც მოზარდები გაერთიანდნენ, 1978 წელს გაიხსნა ფოთში **თამაზ ლაგვილავას** ხელმძღვანელობით.

## ფოტომატიანე — 60 წლის წინათ...



„ლელოს“ რედაქციაში იმთავითვე ჩამოყალიბდა თბილი და მეგობრული ურთიერთობები ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებთან — მწერლებთან, მსახიობებთან, მეცნიერებთან, სპორტსმენებთან თავისთავად. რედაქციაში სტუმრობდნენ სხვა საპატიო ადამიანებიც. სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, „ლელოში“ 1950 წელს სწორედ ერთი ასეთი სტუმარ-მასპინძლობის დღესაა გადაღებული.

მარცხნიდან: სხედან — **თინა შატბერაშვილი, თენგიზ გიორგაძე, დავით ბრონშტეინი, მიხეილ კაკაბაძე, ეთერ უზნაძე, შოთა ახვლედიანი;** დგანან — **სოსო ბეჟაშვილი, შალვა კილაძე, სიომა სვერდლინი, მარტინ აკოფოვი, ილია ხოშტარია, ნოდარ გუგუშვილი, ვანო მღებრიშვილი, გია ნადარეიშვილი, ვლადიმერ გაბელია, ლეო ასტვაცატუროვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ზღვის თასი

# ბათუმი XV ტურნირის ფავორიტია?

1 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 14 |
| ბათუმი XV | 40 |

ლოკომოტივი (15-9) ელიზბარაშვილი (მახარაშვილი 78), შიოშვილი, კობერიძე, ხუციშვილი (ქავთარაძე 78), ჟამუტაშვილი, სოხაძე (გაბუნია 79), ლვინჯილია. (1-8) გასვიანი, გენებაშვილი, კორკოტაძე, გუჯარაიძე, ჩიტიძე, ნიშნიანიძე, ახვლედიანი (ოზგებაშვილი 35, ელოშვილი 61), ბერიშვილი.

*ლ: ბერიშვილი. 3ს: სოხაძე.*

ბათუმი XV (15-9) ხამაშურიძე (ნიჟარაძე 74), შკინინი, აშვეთია, სინაურიძე, სვინტრაძე (გეგენავა 45), შარვაშიძე (ხონელიძე 70), როხვაძე (ბეგაძე 45) (1-8) გურეშიძე (გოგიშვილი 65), სოსელია (ბრეგვაძე 65), მოქია (ხოსიტაშვილი 65), არჩუაშვილი, ბერიძე, თხილაიშვილი, რევიშვილი, გუგუშვილი.

*4ლ: გუგუშვილი, შკინინი, გურეშიძე, ნიჟარაძე. 4გ, 4ს: სინაურიძე*

სინბინი: ბრეგვაძე.

მსაჯი: ო.ფრესინიანუ (რუმინეთი)

„შავი ზღვის თასის" გათამაშების მესამე საშეჯიბრო დღის ცენტრალური შეხვედრა B ჯგუფში გაიმართა. სატურნირო ცხრილის ლიდერი „ბათუმი XV" თბილისის „ლოკომოტივს" შეხვდა. ბათუმელმა მორაგბეებმა, ისევე როგორც პირველ შეხვედრაში რუმინულ „არადთან", შესანიშნავად ითამაშეს და მეტოქე 40:14 დაამარცხეს.

ფინალში სრულიად დამსახურებულად „ბათუმი XV" გავიდა, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურნირზე ჯერჯერობით ყველაზე გამართულ, საინტერესო რაგბის თამაშობს. ძნელია ამ გუნდის რომელიმე სათამაშო რგოლში ხარვეზი იპოვო.

რკინიგზელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტოქეს 68-ე წუთამდე ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ. აქ კი ზღვისპირელთა მწვრთნელმა **ლევან მგელაძემ** ნაცად ხერხს მიმართა. სამივე პირველხაზელი შეცვალა და მატჩის დასკვნით ნაწილში ბრძოლაში დასვენებული, საკმაოდ მძიმე და მობილური თადარიგში მყოფი პირველხაზელები ჩართო. თანაც ამ სამეულიდან ორი ნომინალურად ძირითადის მოთამაშეა. ყოველ შემთხვევაში, **ჯაბა ბრეგვაძემ** და **გიორგი ხოსიტაშვილმა** პირველი ტურის მატჩში „არადთან" ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს. ერთი სიტყვით, ამ ხერხმა გაჭრა და მატჩის ბოლო ათ წუთში „ბათუმი XV"-მ ექვსქულიანი უპირატესობა ოცდაექვს ქულამდე გაზარდა.

თამაში „ლოკომოტივმა" დიდი შემართებით დაიწყო და პირველივე შეტევისას საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვა. მგეზავმა **თემურ სოხაძემ** ბურთი კარის ძელებს შორის გაატარა და ანგარიში გახსნა - 3:0. „ბათუმი XV"-ს მოთამაშეებმა რკინიგზელთა აღტყინება მალე ჩააცხრეს, მომდევნო ათ წუთში ორი სალელოვე იერიში წამოიწყეს, მაგრამ ბოლო ფაზაში დაშვებული შეცდომების გამო ლელოთი ვერ დაასრულეს.

მე-18 წუთზე მესამე ცდა შედეგიანი გამოდგა. მოედნის ცენტრში ფულბეკმა **ბესიკ ხამაშურიძემ** შეუტია. მან დაფარული პასით გარღვევაზე შუამარბი **თორნიკე აშვეთია** გაიყვანა. ამან მარჯვენა, მოკლე ფრთაზე გარემარბი **გიორგი შკინინი** მოძებნა. „გოშა" ლოკომოტიველებმა აუტში გადაიყვანეს. საკუთარი ლელოდან ხუთ მეტრში რკინიგზელებმა აუტიდან ბურთის მოწოდება დააყოვნეს და არბიტრმა ბათუმელთა სასარგებლოდ თავისუფალი დარტყმა დანიშნა, რომლის გათამაშების შემდეგ მოლი ააგორეს და ლელოში მესამეხაზელი **დავით გუგუშვილი** შეიჭრა. გარდასახვა შუამარბმა **გაგა სინაურიძემ** გაიტანა - 7:3.



უტევს გიორგი შკინინი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სინაურიძემ ასპროცენტიანი შედეგი აჩვენა. მის ანგარიშზე ოთხ-ოთხი გარდასახვა და საჯარიმოა (20 ქულა). 24-ე წუთზე მან საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა შვიდ ქულამდე გაზარდა - 10:3, რაზეც ტაიმის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე სოხაძემ საჯარიმოთივე უპასუხა - 6:10.

შესვენების შემდეგ „ბათუმი XV" საგრძნობ სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. 41-ე წუთზე სინაურიძემ ისევ საჯარიმო გაიტანა. თორმეტ წუთში კი მორიგი მრავალფაზიანი შეტევა, რომლის სულის ჩამდგმელიც ისევ ბესიკ ხამაშურიძე იყო, პირველხაზელმა **გაგა გურეშიძემ** მარცხენა ფრთაზე ლელოთი დაასრულა, სინაურიძემ გარდასახა - 20:6.

თოთმეტქულიანი უპირატესობა ასეთი დონის მატჩში გამარჯვებაზე საკმაოდ სერიოზული განაცხადია, თუმცა „ლოკომოტივი" ფარ-ხმალის დაყრას სულაც არ აპირებდა. მე-60 წუთზე მოედნის ცენტრში გამომუშავებული საჯარიმოდან სოხაძემ ბურთი აუტში გადაიტანა. მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში დერეფანი რკინიგზელებმა სუფთად მოიგეს და მორკინალებმა რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს, მერე ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე კიდისკენ ჩაათამაშეს, სადაც გარემარბის პოზიციაზე მესამეხაზელი **გივი ბერიშვილი** იმყოფებოდა. მას ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია. სოხაძემ ვერ გარდასახა - 11:20.

აღსანიშნავია, რომ „ლოკომოტივმა" ჯგუფურ ტურნირში ოთხი ლელო გაიტანა და ოთხივე ბერიშვილის ანგარიშზეა. სოხაძემ მართალია ლელო ვერ გარდასახა, მაგრამ, სამაგიეროდ, 64-ე წუთზე საჯარიმოთი ექვს ქულამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა - 14:20.

აი, სწორედ ამ დროს შეცვალა მგელაძემ სამივე პირველხაზელი და „ბათუმი XV"-მ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა. 70-ე და 72-ე წუთებზე სინაურიძემ ორი საჯარიმო გაიტანა - 26:14. ორ წუთში კი მარცხენა ფრთაზე **ირაკლი გეგენავას** წამოწყებული იერიში ბესიკ ხამაშურიძემ განაგრძო, მეტოქეთა გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, თხუთმეტიოდე მეტრი გაიარა და შებოჭეს. მერე ბათუმელებმა შეტევა მარცხნივ, გრძელ ფრთაზე განაგრძეს და ლელო გარემარბმა გიორგი შკინინმა გაიტანა. სინაურიძემ გარდასახა - 33:38.

78-ე წუთზე შკინინის კიდევ ერთი ლელოს გატანა შეეძლო. მან მეტოქეს ბურთი საკუთარ ოცდაორმეტრიან ზონასთან აართვა და ლელომდე ირბინა, ბოლო მომენტში კი იქვე მიმყოლ **სანდრო ნიჟარაძეს** გადააწოდა. სინაურიძემ ამჯერადაც გარდასახა და საბოლოო ანგარიში - 40:14 დააფიქსირა.

1 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ლელო | 45 |
| ბუქარესტი | 21 |

ლელო (15-9) ყიასაშვილი (ცერცვაძე 55), ჯოგლიძე, ჩხიკვაძე (ანდღულძე 47), მანჯავიძე, გუგავა, ლომინაძე, კაჭარავა (თოფურია 49) (1-8) ლომიძე (ასეიშვილი 47), ჭყონია (მამუკაშვილი 55), სანიკიძე, ხორბალაძე, აზალაძე, კოლელიშვილი (სარდანაშვილი 41), დაუშვილი (მძინარიშვილი 40), ზ.მაისურაძე.

*5ლ: აზალაძე (2), ზ. მაისურაძე, ხორბალაძე, სარდანაშვილი. 4გ: ყიასაშვილი (3), ჯოგლიძე. 4ს: ყიასაშვილი.*

სინბინი: ხორბალაძე.

ბუქარესტი (15-9) იონი, შუცეუ, ბადეა, ბუდილეანუ, მინკუ, სურჯუ, ზაინეა. (1-8) გროზაკი, ი.მუნტეანუ, დუმიტრუ (იონესკუ 49), მიტროი, ვილკუ, ვასილე (ზაპანი 17), ბელდეანი, კ.მუნტეანუ.

*3ლ: ბელდეანი, იონესკუ, ვილკუ. 3გ: მინკუ.*

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი (საქართველო)

# ლელო ლელოებშიც ლიდერობს



ვიქტორ კოლელიშვილი რუმინელთა გარემოცვაში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

A ჯგუფის ფავორიტმა, საქართველოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა თბილისის „ლელომ" რუმინულ „ბუქარესტთან" დაგეგმილი მეორე გამარჯვება მოიპოვა - 45:21 და „შავი ზღვის თასის" პირველი გათამაშების ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას შეეცდება.

ლელოელებმა პირველ მატჩში ოდესელთაგან ნაცემ-ნაგვემი რუმინელები თავიდანვე დაჩაგრეს და 46-ე წუთისთვის 33:0-ს უგებდნენ. თუმცა თამაში „ბუქარესტის" შეტევით დაიწყო და სტუმრებს ანგარიშის გახსნაც შეეძლოთ. მე-2 წუთზე რუმინელთა გარემარბმა **ვიორელ მინკუმ** ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

სამაგიეროდ, ჩვეულად, დიდოსტატურად ურტყა კარში „ლელოს" ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა**. მან ოთხი საჯარიმო და სამი გარდასხვა გაიტანა (18 ქულა). ანგარიშიც მე-7 წუთზე სწორედ ყიასაშვილმა გახსნა საჯარიმოთი, რასაც სამ წუთში კიდევ ერთი საჯარიმო მიუმატა.

მე-18 წუთზე ლელოს ჯერიც დადგა. არბიტრმა თბილისელთა სასარგებლოდ რუმინელთა ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში შერკინება დანიშნა. „ლელოს" მორკინალებმა მეტოქის შერკინების დაძვრა სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ, მერე შერკინებიდან გამოსული ბურთი მესამეხაზელმა ზვიად მაისურაძემ აიტაცა და მარჯვნივ, გრძელი ფრთისკენ შეუტია. ის ზედ ლელოს ხაზთან შეაჩერეს. ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** წარმოქმნილი რაკიდან კიდევ უფრო მარცხნივ, მეორეხაზელ **ლაშა აზალაძეს** გაუტანა ბურთი. მისი შეჩერება კი კარპატელებმა ვეღარ მოახერხეს. ყიასაშვილმა გარდასახა - 13:0. მანვე 24 და 29-ე წუთებზე ორი საჯარიმოც გაიტანა. 19:0 - ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

„ლელო" თამაშის განახლებისთანავე უფრო სერიოზულად მოეკიდა საქმეს და ხუთ წუთში ორი ლელო გაიტანა. 42-ე წუთზე ბუქარესტელთა ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში საქართველოს ჩემპიონებმა საკუთარი აუტი სუფთად მოიგეს, მოლი ააგორეს და ლელო მესამეხაზელმა ზვიად მაისურაძემ მიითვალა. ყიასაშვილმა ამჯერადაც ზუსტად დაარტყა გარდასახვა - 26:0

სამ წუთში „ლელომ" ისევ მოლო გამოიყენა. მათ აუტი ამჯერად ათმეტრიან ხაზთან მოიგეს და ისევ მოლი დაძრეს. დახლოებით 15 მეტრი იარეს და სტუმრებმა წესი დაარღვიეს. მგეზავმა **გიორგი ლომინაძემ** ბურთი აუტში გადაიტანა. ახლა აუტი ლელოდან ხუთ მეტრში მოაწოდეს, ისევ მოლით მიაწვნენ და შეცვლაზე შესულმა მესამეხაზელმა **ბექა სარდანაშვილმა** ჩათვლის მოედანში ბურთით შეაღწია. ყიასაშვილმა ესეც გარდასახა - 33:0.

თამაში, ფაქტობრივად, მოგებული იყო. „ლელოს" მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მაისაშვილმა** ყველა შეცვლა გამოიყენა. ლელოელები ოდნავ მოდუნდნენ, ამას ისიც დაერთო, რომ არბიტრმა მეორეხაზელი **ზურაბ ხორბალაძე** გაასინბინა, რუმინელებმა ეს გამოიყენეს და ზედიზედ ორი ლელო გაიტანეს - 14:33. ცხადია, საქართველოს ჩემპიონი მოვლენების ასეთ განვითარებას ვერაფრით შეეგუებოდა. „ლელომ" მატჩის 64-ე და 75-ე წუთებზე კიდევ ორი ლელო მიითვალა, რაზეც შუალედში ბუქარესტელებმა ერთით უპასუხეს და თამაშიც საბოლოოდ ყველაზე უხვქულიანი გამოდგა - 45:21.

„ლელომ" A ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ამასთან, ტურნირში ყველაზე მეტი ლელოც გაიტანა.

**A ჯგუფი: ლელო - 10 ქულა, ოდესა - 4, ბუქარესტი - 1.**

**B ჯგუფი: ბათუმი XV - 9 ქულა, არადი - 4, ლოკომოტივი - 1.**

**4 სექტემბერი**

V ადგილისთვის: **ლოკომოტივი-ბუქარესტი**

III ადგილისთვის: **კრედო 63-არადი**

**5 სექტემბერი**

ფინალი: **ლელო-ბათუმი XV**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. US OPEN. დღე მეორე

# ფრანგული ექსპანსია



აშშ-ის ღია პირველობის მეორე დღე ცოცხალი და მოულოდნელობებით გაცილებით მეტად გაჯერებული გამოდგა, ვიდრე სასტარტო. შედარებისთვის: თუკი პირველ დღეს განთესილ ჩოგბურთელთაგან მხოლოდ ფერნანდო გონსალესი და ლეიტონ ჰიუიტი დამარცხდნენ, მეორე დღემ გრანდები უფრო თამამად იმსხვერპლა - მარკოს ბაღდატისი, რადეკ შტეპანეკი, ერნესტს გულბისი, ხუან მონაკო, ნა ლი, ნადია პეტროვა, ლუციე შაფაროვა და იაროსლავა შვედოვა ტურნირს პირველივე წრის შემდეგ გამოეთხოვნენ.

## განთესვის შუქჩრდილები

ჩოგბურთში მიღებული განთესვის პრინციპი სამართლიანიცაა და უსამართლოც. სამართლიანი იმიტომ, რომ უძლიერესი ჩოგბურთელები ტურნირის საწყის სტადიებზე ერთმანეთთან დაშორებულნი არიან. მეორე მხრივ, 32 მოწინავეში თუ არ აღმოჩნდი და ვთქვათ, 33-ე ხარ, სავსებით რეალურია, 34-ე ნომერი შეგხვდეს. და პირიქით - 90-ე ჩოგანს ბედმა შეიძლება რეიტინგის მე-600 ადგილზე მყოფი მეჩოგნე დაგიყენოს მეტოქედ. ამიტომაცაა, რომ იმავე რადეკ შტეპანეკს (განთესვის 28-ე ნომერი) პირველივე წრეში მასზე არანაკლებ გამოცდილი, ფრანგი **ჟულიენ ბენეტო** შეხვდა, ვინც პლანეტის 37-ე ჩოგანია. შეხვდა და მოუგო კიდეც. და საერთოდ, ფრანგებმა US Open-ის მეორე დღეს რჩეულთა შორის სერიოზული საკადრო წმენდა ჩაატარეს.

## VIVE LE FRANCE!

ამ მიმოხილვის სათაურში სიტყვა „ექსპანსია" რომ არის, უფრო გასაგებად გავლენის სფეროს გაფართოებას ნიშნავს და სწორედ ეს აქცია განახორციელეს ფრანგმა ვაჟკაცებმა. ტურნირიდან ზემოთ ნახსენები შტეპანეკის, გულბისისა და ბაღდატისის გავარდნა სწორედ ფრანგების სინდისზეა. პრინციპში, მიუხედავად მსოფლიო რეიტინგის მე-18 ნომრობისა, კვიპროსელი მარკოს ბაღდატისი ამერიკის ღია პირველობებზე მუდამ სუსტად გამოიყურებოდა (მეორე წრის იქით არასდროს წასულა) და **არნო კლემანთან** წაგება მოულოდნელი სწორედ მისი რეიტინგის გამოა. მარკოსმა ამერიკული საჰარდო სეზონი საკმაოდ კარგად ჩაატარა (ვაშინგტონში ფინალში იყო, ცინცინატიში - ნახევარფინალში) და თითქოს ნიუ იორკშიც უნდა ჰქონოდა წარმატების იმედი, მაგრამ ცუდმა ფიზიკურმა მომზადებამ და მეტოქის მებრძოლმა ხასიათმა ბაღდატისი თამაშგარეთ დატოვა.

რადეკ შტეპანეკი ძალზე სუსტ სეზონს ატარებს და განთესილთა შორის შარშანდელი წარმატებების ხარჯზე მოხვდა, ბენეტო კი ის კაცია, ვინც 29 წლის ასაკში კარიერის პიკს უწია და მისგან სიურპრიზები კიდევაა მოსალოდნელი.

23 წლის **ჟერემი შარდიმ** თავისზე ერთი წლით უმცროს ერნესტს გულბისს ერთობ იოლად - სამ სეტში სძლია. ლატვიელს არაფერი გამოსდიოდა და ფრანგს ბრძოლა მხოლოდ მეორე სეტში გაუმართა...

## სირცხვილია, ხუან...

განთესილ ვაჟთაგან კიდევ ხუან მონაკო დამარცხდა და აი, ეს მართლაც სენსაცია იყო. მერე რა, რომ არგენტინელი ჰარდის დიდოსტატად არ მიიჩნევა და მისი ნამდვილი პროფილი საგრუნტო სეზონის დროს ჩანს ხოლმე. უბრალოდ, თუ ჩოგბურთელი გქვია, ორი წლის წინათ რეიტინგის მე-14 საფეხურზე იმყოფებოდი და დღეს 32-ე ჩოგანი ხარ, არ უნდა მარცხდებოდე მსოფლიოს 205-ე ჩოგანთან. **პიტერ პოლანსკის** ვერც ვუნდერკინდს უწოდებს კაცი - ერთ კანადურ სოფელში დაბადებული ბიჭი უკვე 22 წლისაა და აქამდე მისი მთავარი მიღწევები რეიტინგის 164-ე ჩოგნობა და სულ ახლახან, მშობლიურ ტორონტოში ავსტრიელი იურგენ მელცერის ძლევა იყო. ახლა ამას ხუან მონაკოს დამარცხება და US Open-ის მეორე წრეში გასვლაც დაემატება...

## ტამირას დაბრუნება

სამი წლის წინ „ფლაშინგ მიდოუსზე" ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა ქალთა ჩოგბურთში ახალი ვარსკვლავის აკაშკაშება იყო - **ტამირა პასეკმა** მე-4 წრეს უწია. ტანზანიელი მამის შვილმა ავსტრიაში ისწავლა ჩოგბურთის ანბანი და 16 წლის ასაკში ნიუ იორკის კორტებზე ნამდვილი ფურორი მოახდინა, თანაც რამდენიმე თვით ადრე იგივე შედეგს უიმბლდონზეც მიაღწია. მაშინ ტამირამ დიდ ჩოგბურთში **კაროლინე ვოზნიაცკისთან**, უფროს **რადვანსკასთან** და **ვიკა აზარენკასთან** ერთად თამამად შემოაბიჯა და 16 წლისამ რეიტინგის 35-ე საფეხურამდე ასვლაც მოასწრო, მაგრამ მერე ამ გოგონამ რამდენიმე ტრავმა მიიღო, სპორტული ზრდა შეაჩერა და წლეულს მეოთხე ასეულში დაქვეითება და მეორეში (198-ე ადგილზე) ასვლაც მოასწრო. ეტყობა, მიმდინარე US Open-ის პირველ წრეში მსოფლიო ოცდაათეულში შემავალი ჩეხი ლუციე შაფაროვას ძლევა, მისი დაბრუნების დასაწყისია...

## ნა ლი თუ ლი ნა?

ჩინეთში ისევეა, როგორც უნგრეთსა და თურქეთში - ჯერ გვარს აცხადებენ და მერე - სახელს. ჰოდა ჩინელი ჩოგბურთელი გვარად არის ლი და სახელად ნა ჰქვია. სწორად კი ლი ნა იქნება. თუმცა, ასეა თუ ისე, 28 წლის ჩინელი ჯერჯერობით ყველაზე მაღალრეიტინგიანია ნიუ იორკის კორტებთან გამოთხოვებულთაგან. მისი მძლეველი **კატერინა ბონდარენკო** თავის დაზე ნაკლებ ავტორიტეტულია და ამდენად, მისგან ტოპათეულის წევრი ჩინელის დამარცხებას არავინ ელოდა.

საჩოგბურთო სამყარო ნადია პეტროვას მარცხმაც გააკვირვა. რუს ვეტერანს ბოსნიური წარმოშობის ახალგაზრდა გერმანელმა **ანდრეა პეტკოვიჩმა** მეტად დაძაბული მატჩი მხოლოდ ტაიბრეკზე მოუგო. აი, ამ შემთხვევაში კი საპირისპიროდ მოხდა: ყაზახი იაროსლავა შვედოვა 22 წლისაა და 31-ე რეიტინგსაც ფლობს, მაგრამ 29 წლისა და კლასიფიკაციაში 148-ე საფეხურზე მყოფ ჩოგბურთელთან კი წააგო. **ლოურდეს დომინგეს ლინომ** შვედოვას სამ სეტში აჯობა.

## სერბული დერბი

**ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ვიქტორ ტროიცკის** შეხვედრა **არტურ ეშის** კორტზე 3 საათსა და 47 წუთს გაგრძელდა. ამ შერკინებისას ნიუ იორკში 35-გრადუსიანი სიცხე იდგა და ორივე სერბს ძლიერ გაუჭირდა საუკეთესო თვისებების გამოვლენა. მსოფლიოს მესამე ჩოგანი კი მარცხს რის ვაი-ვაგლახით გადაურჩა. ტროიცკიმ თანამემამულე 23 ეისით „დაბომბა", სეტებში 2:1-ს იგებდა და მეოთხე სეტში ჯერ 2:0 მიჰყავდა ანგარიში, მერე - 3:1, ორი ბრეიკის შანსიც ჰქონდა, მაგრამ ვიქტორს ალბათ სიცხემ მოუღო ბოლო. ჯოკოვიჩმა ეს სეტი გადაარჩინა, მეხუთეში კი მეტოქე უკვე უპრობლემოდ დაამარცხა.

## გაბაშვილიო, ჩაკვეტაძეო...

რუსეთის სახელით მოასპარეზე წარმოშობით ქართველებმა **გაბაშვილმა** და **ჩაკვეტაძემ** ტურნირი პირველი წრის მატჩებით დაიწყეს და დაასრულეს კიდეც. ანა ბოლო დროს ფორმას თითქოსდა იბრუნებდა, მაგრამ 1 საათსა და 1 წუთში აგნეშკა რადვანსკას უმცროს და **ურსულასთან** დამარცხდა. ცნობისთვის, ურსულამ ბოლო თვეები ზურგის სერიოზული ტრავმის გამო გააცდინა, მაგრამ დაბრუნდა და აი... თეიმურ გაბაშვილმა კი პუბლიკის დიდი სიმპათია დაიმსახურა - მან ხომ თვით **რაფაელ ნადალი** ანერვიულა. მართალია, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თამაში სამ სეტში მოიგო, მაგრამ სეტიცაა და სეტიც - გაბაშვილთან ურთულესი დაპირისპირება 3 საათზე მეტხანს გაგრძელდა.

## ფავორიტები მეორე წრეში

ობიექტურები ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ ხსნებული ნადალისა და ჯოკოვიჩის გარდა, ტურნირის მეორე დღეს მოასპარეზე ვაჟთაგან ტურნირის ფავორიტის სტატუსს არავინ იმსახურებს. აი, ქალთა ნახევარში კი ასეთებს უხვად უთამაშიათ. ყველამ იმარჯვა, თუმცა მათმა ნახევარმა - გაჭირვებით. **მარია შარაპოვას** და **ელენა იანკოვიჩს** 3-3 სეტი დასჭირდათ შესაბამისად ავსტრიელი **გროტისა** და რუმინელი **ჰალეპის** დასამარცხებლად. სამაგიეროდ, ტურნირის პირველი ჩოგნის სტატუსით მოსარგებლე კაროლინე ვოზნიაცკიმ ამერიკელ **ჩელსი გალიქსონს** მხოლოდ ორი გეიმი „გაატანა", **სლოვაკ კუცოვას** ოდნავ მეტი (3) რუსმა **ვერა ზვონარიოვამ** დაუთმო, მაინცდამაინც არც აგნეშკა რადვანსკას გასჭირვებია **პარა სანტონხას** ძლევა...

### I წრე

#### კაცები

**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი)-თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 7(7):6(4), 7(7):6(4), 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი)-ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:3, 3:6, 2:6, 7:5, 6:3; **არნო კლემანი** (საფრანგეთი)-მარკოს ბაღდატისი (16, კვიპროსი) 6:3, 2:6, 1:6, 6:4, 7:5; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ)-კრისტოფ ვლიხენი (ბელგია) 6:3, 6:2, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (8, ესპანეთი)-ფაბიო ფონინი (იტალია) 1:6, 7:5, 6:1, 6:4, 4:6, 6:3; **მარდი ფიში** (19, აშშ)-იან ჰაიეკი (ჩეხეთი) 6:0, 3:6, 4:6, 6:0, 6:1; **დენის ისტომინი** (უზბეკეთი)-მაქსიმო გონსალესი (არგენტინა) 7:5, 7:5, 6:1; **ედუარდო შვანკი** (არგენტინა)-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 7(7):6(3), 4:6, 6:3; **ტომი რობრედო** (ესპანეთი)-ლუკაშ როსოლი (ჩეხეთი) 6:4, 6:3, 6:1; **ფელისიანო ლოპესი** (23, ესპანეთი)-სანტიაგო ხირალდო (კოლუმბია) 6:4, 6:4, 6:4; **დავიდ ფერერი** (10, ესპანეთი)-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრაინა) 6:2, 6:2, 6:3; **ბენიამინ ბეკერი** (გერმანია)-დანიელ ბრანდსი (გერმანია) 7(7):6(1), 7(7):6(5), 6:4; დანიელ **ხიმენო-ტრავერი** (ესპანეთი)-იარკო ნიემინენი (ფინეთი) 7(7):6(1), 6:4, 6:3; **ბენუა პერი** (საფრანგეთი)-რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:3, 6:3, 4:6, 3:6, 7(7):6(2); **ფლორან სერა** (საფრანგეთი)-ფლორიან მაიერი (გერმანია) 7:5, 6:2, 6:0; **დავიდ ნალბანდიანი** (31, არგენტინა)-რიკ დე ვუსტი (სამხრეთ აფრიკა) 7(7):6(4), 3:6, 6:4, 6(5):7(8), 6:4; **პიტერ პოლანსკი** (კანადა)-ხუან მონაკო (30, არგენტინა) 6:2, 7(7):6(5), 6:3; **ფილიპ პეცშნერი** (გერმანია)-დუშან ლოიდა (ჩეხეთი) 6:3, 6:1, 6:1; **ჟერემი შარდი** (საფრანგეთი)-ერნესტს გულბისი (24, ლატვია) 6:2, 7(7):6(1), 6:4; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი)-რადეკ შტეპანეკი (28, ჩეხეთი) 6:4, 6:2, 4:6, 6:4; **ადრიან მანარინო** (საფრანგეთი)-პერე რიბა (ესპანეთი) 3:6, 6:1, 6:4, 4:6, 7(7):6(1); **პაბლო კუევასი** (ურუგვაი)-ჟულიუ სილვა (ბრაზილია) 7(7):6(0), 6:1, 6:2.

#### ქალები

**კაროლინე ვოზნიაცი** (1, დანია)-ჩელსი გალიქსონი (აშშ) 6:1, 6:1; **მარია შარაპოვა** (14, რუსეთი)-იარმილა გროტი (ავსტრია) 4:6, 6:3, 6:1; **ელენა იანკოვიჩი** (4, სერბეთი)-სიმონა ჰალეპი (რუმინეთი) 6:4, 4:6, 7:5; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა)-ნა ლი (8, ჩინეთი) 6:2, 4:6, 6:2; **ანდრეა პეტკოვიჩი** (გერმანია)-ნადია პეტროვა (17, რუსეთი) 6:2, 4:6, 7(7):6(4); **ვერა ზვონარიოვა** (7, რუსეთი)-ზუზანა კუცოვა (სლოვაკეთი) 6:2, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (11, რუსეთი)-კიმიკო დატე-კრუმი (იაპონია) 6:2, 4:6, 6:1; **საბინე ლისიცკი** (გერმანია)-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:1, 6:0; **მარია კირილენკო** (23, რუსეთი)-ბარბორა ზაჰლავოვა-სტრიცოვა (ჩეხეთი) 7:5, 6:4; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი** (22, ესპანეთი)-ჯეიმი ჰემპტონი (აშშ) 6:4, 3:6, 6:0; **ბეატრის კაპრა** (აშშ)-კაროლინა შპრემი (ხორვატია) 6:1, 6:3; **ურსულა რადვანსკა** (პოლონეთი)-ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 6:3, 6:3; **მირიანა ლუჩიჩი** (ხორვატია)-ალიშა მოლიკი (ავსტრალია) 7(7):6(5), 6:1; **შუაი პენი** (ჩინეთი)-შელბი როჯერსი (აშშ) 6(5):7(7), 7(7):6(3), 6:3; **ბეთანი მატეკ-სენდსი** (აშშ)-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:1; **ივონე მოისბურგერი** (ავსტრია)-ჯილ კრეიბასი (აშშ) 3:6, 7:5, 6:0; **ტამირა პასეკი** (ავსტრია)-ლუციე შაფაროვა (26, ჩეხეთი) 2:6, 7:5, 6:2; **არავან რეზაი** (18, საფრანგეთი)-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკეთი) 7(7):6(5), 7(9), 6(7); **აგნეშკა რადვანსკა** (9, პოლონეთი)-არანჩა პარა სანტონხა (ესპანეთი) 6:4, 6:3; **კაი-ჩენ ჩანი** (ტაივანი)-კარლა სუარეს ნავარო (ესპანეთი) 6:2, 6:4; **პატი შნიდერი** (შვეიცარია)-კირსტენ ფლიპკენსი (ბელგია) 6:1, 6:3; **იულია გიორგესი** (გერმანია)-რომინა ოპრანდი (იტალია) 6:3, 6:4; **კაია კანეპი** (31, ესტონეთი)-ალიზე კორნე (საფრანგეთი) 3:6, 6:1, 6:0; **იანინა ვიკმაიერი** (15, ბელგია)-ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:1, 6:2; **იუნ-ძიან ჩანი** (ტაივანი)-ენ კეოთავონგი (ბრიტანეთი) 2:6, 6:1, 6:1; **აკგიულ ამანმურადოვა** (უზბეკეთი)-შანელ სხეპერსი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:4; **სოფია არვიდსონი** (შვედეთი)-სორანა კრისტეა (რუმინეთი) 6:1, 6:2; **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი)- ნურია იაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:3, 7(8):6(6); **ლურდეს დომინგეს ლინო** (ესპანეთი)-იაროსლავა შვედოვა (30, ყაზახეთი) 6:4, 3:6, 6:2; **ალექსანდრა დულგერუ** (25, რუმინეთი)-ჟიული კოენი (საფრანგეთი) 6:3, 6:1; **ანასტასია სევასტოვა** (ლატვია)-რეგინა კულიკოვა (რუსეთი) 6:0, 2:0, *კულიკოვამ თამაში შეწყვიტა;* **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი)-შტეფანი ფიოგელე (შვეიცარია) 6:2, 4:6, 7:5.

ბუშინ...

## აზარენკას კოლაფსი

ბელარუსმა ჩოგბურთელმა **ვიქტორია აზარენკამ**, რომელიც WTA-ს რეიტინგში მე-11 ადგილზეა, არგენტინელ **ხისელა დულკოსთან** პაექრობის დროს გონება დაკარგა და კორტზე მოწყვეტით დაეცა. ექიმებმა ეს ნიუ-იორკის ხვატს მიაწერეს. სიცხისგან გათანგული აზარენკა იქაურობას ეტლით გაარიდეს. დავძენთ, რომ ამ მომენტისთვის (პირველი სეტი) არგენტინელი 5:1-ს იგებდა, შესაბამისად, საბოლოოდ მოგებაც მას დარჩა და მომდევნო წრეში რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვას** შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**სლავა გასპაროვმა**


ვიქტორია აზარენკა

## კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი



უტევს ლუის სკოლა

# სკოლას ვერავინ აჩერებს

## რა სჭირს რიკი რუბიოს?

**თ**ქმა არ უნდა, საკალათბურთო მუნდიალისთვის 32 ნაკრები მეტისმეტია. თურქეთში ძალიან ბევრი სუსტი ნაკრები თამაშობს, ისეთი, როგორიც, მაგალითად, კოტ დ'ივუარია: გუშინ აფრიკელებმა ერთი მეოთხედი 5:27 წააგეს და ამ მეოთხედში ბერძნებს 6 წუთის განმავლობაში ქულა ვერ ჩაუგდეს. აქედან გამომდინარე, ჩემპიონატის IV ტურში არავის გაჰკვირვებია, როცა ორ მატჩში 37-ქულიანი სხვაობა ვიხილეთ. გუნდების უმეტესობამ გაინაღდა მერვედფინალური საგზური, რის გამოც დღევანდელი მატჩების ნაწილი ერთგვარი გათვლებით წარიმართება, დევიზით - როგორ ავიცილოთ არასასურველი მეტოქე...

### A ჯგუფი

**სერბეთი–ავსტრალია 94:79**

16:12, 27:25, 26:24, 25:18

**სერბეთი:** ტეოდოშიჩი (19 ქულა), ველიჩკოვიჩი (18 ქ, 9 მ), კრსტიჩი (14 ქ, 10 მ), კეშელი (11), სავანოვიჩი (10), რაშიჩი (8), ბიელიცა (7), მარკოვიჩი (5), პეროვიჩი (2), ტეპიჩი, მაჩვანი.

**ავსტრალია:** ნიული (13), მილსი (12 ქ, 6 გ), ნილსენი (10), მარიჩი (10), უორტინგტონი (9), ჯიბსონი (8), ანდერსენი (7 ქ, 7 მ), ინგლესი (6), ბარლოუ (4), მარტინი.

**ნენად კრსტიჩი** დაბრუნდა - „აკროპოლისის თასზე" ბერძნებთან ჩხუბისთვის ნენადი 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. „ოკლაჰომას" ცენტრმა ავსტრალიას 14 ქულა ჩაუგდო, მან ფარზე იბატონა - 10-ჯერ მოხსნა ბურთი. სერბები მთელი მატჩის განმავლობაში აკონტროლებდნენ თამაშს, მაგრამ ბოლოსკენ ავსტრალიელებმა მაინც შეძლეს მიახლოვება: **მეტ ნილსენისა** და **ბრედ ნიულის** წყალობით ანგარიში 78:81 გახდა, მაგრამ სულ ეს იყო - **ტეოდოშიჩმა** იქვე უპასუხა მეტოქეს სამქულიანი სროლით და ინტრიგა ისევ მოკლა.

**ანგოლა–გერმანია 92:88 (ო)**

19:19, 21:16, 18:19, 20:24, 14:10

**ანგოლა:** სიპრიანო (30), გომეში (16 ქ, 14 მ), ლუტონდა (13), მინგაში (10), ამბროზიო (9 ქ, 7 მ), მორაიში (8), ალმეიდა (6 ქ, 7 მ), ბონიფასიო.

**გერმანია:** იაგლა (23 ქ, 6 მ), შაფარციკი (18 ქ, 7 მ, 4 გ), ოლბრეხტი (17), შვეტელმი (12), შტეიგერი (8), ჰამანი (7 ქ, 5 გ), პლაისი (2), გრინი (1), მაკნაუტონი, ჰარისი, ბენზინგი.

გერმანიის ნაკრები სამარცხვინოდ ასპარეზობს, გუშინ **დირკ ნოვიცკის** გარეშე მოასპარეზე ბუნდესგუნდმა ანგოლასთან „მოახერხა" წაგება ოვერტაიმში. საშინლად ითამაშა ევროპელთა ნატურალიზებულმა ამერიკელმა **დემონდ გრინმა**, რომელსაც გუნდის ლიდერობა უნდა ეკისრა, მაგრამ შვიდივე სროლა გააფუჭა თამაშიდან. შეხვედრის დასრულებამდე 16 წამით ადრე გრინი **სიპრიანოზე** დაჯარიმდა და აფრიკელმაც თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა. ოვერტაიმში ანგოლამ უკეთ ითამაშა და 4 ქულის სხვაობით მოიგო.

**არგენტინა–იორდანია 88:79**

35:19, 14:18, 12:18, 27:24

**არგენტინა:** სკოლა (30 ქ, 13 მ), დელფინო (18 ქ, 5 გ), კინტეროსი (11), ლ. გუტიერესი (9), პრიჯონი (6 ქ, 9 გ), გონსალესი (6 ქ, 7 მ), ხ. გუტიერესი (4), სეკუეირა (4), კამერიჩსი, ხასენი.

**იორდანია:** რაიტი (22), ადაისი (20 ქ, 8 მ), აბასი (17 ქ, 10 მ), ალავადი (10), დალლესი (8 ქ, 4 გ), სობეოკოვი (2), ალ-სუსი, ზაღაბი.

იორდანიის ნაკრებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია არგენტინას, თუმცა **ლუის სკოლას** შეჩერება შეუძლებელი იყო: მის ანგარიშზე 30 ქულა და 13 მოხსნაა. სკოლა IV ტურის საუკეთესო კალათბურთელია.

| | თ | მ | წ | ბ/სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 4 | 4 | 0 | 331-295 | 8 |
| 2. სერბეთი | 4 | 3 | 1 | 381-274 | 7 |
| 3. ავსტრალია | 4 | 2 | 2 | 305-286 | 6 |
| 4. ანგოლა | 4 | 2 | 2 | 285-338 | 6 |
| 5. გერმანია | 4 | 1 | 3 | 287-329 | 5 |
| 6. იორდანია | 4 | 0 | 4 | 288-355 | 4 |

**დღეს**

ანგოლა-ავსტრალია
არგენტინა-სერბეთი
იორდანია-გერმანია

### B ჯგუფი

**ხორვატია–ტუნისი 84:64**

23:12, 20:11, 22:17, 19:24

**ხორვატია:** ბოგდანოვიჩი (19), პოპოვიჩი (16 ქ, 5 გ), ტომიჩი (15 ქ, 9 მ), ანდრიჩი (10), ტომაში (8), ბანიჩი (6), პლანინიჩი (5 ქ, 5 გ), ლონკარი (5), უკიჩი, კუში, სტიპჩევიჩი.

**ტუნისი:** ბენ რომდანე (23), დიფალა (8), მეჯრი (7), რზიგი (6), კეჩრიდი (5), სლიმანე (4 ქ, 6 მ), კნიუა (3 ქ, 4 გ), ჰადიდანე (3), ლიაზა (2), მაუა.

ხორვატთა ვეტერანმა მცველმა **მარკო პოპოვიჩმა** ბრწყინვალედ ითამაშა, მის ანგარიშზე 16 ქულა და 5 შედეგიანი გადაცემაა. ხორვატებმა სტარტი 10:0 მოიგეს, იქვე ტუნისელებმა ჩააგდეს ზედიზედ 8 ქულა - 10:8. სწორედ მაშინ ამოქმედდა პოპოვიჩი, ოთხი შორეული ტყორცნიდან სამი კალათში მოათავსა, ხორვატიამ კი მონაკვეთი 13:2 მოიგო. საბოლოოდ ხორვატებს არ გასჭირვებიათ აფრიკელთა ძლევა, რომ არა ბოლო მეოთხედის მოდუნება სლავთა უპირატესობა საბოლოო 20-ქულიანზე გაცილებით მეტი იქნებოდა.

**აშშ–ირანი 88:51**

19:13, 23:15, 20:11, 26:12

**აშშ:** ლავი (13 ქ, 6 მ), დიურანი (12), როუზი (11), გრეინჯერი (10), გეი (9), გორდონი (8), ჩენდლერი (7 ქ, 7 მ), ბილაპსი (5), კარი (4 ქ, 5 გ), უესტბრუკი (4), იგუოდალა (3), ოდომი (2).

**ირანი:** ჰადადი (19), კაზემი (14), ვეისი (7), კამრანი (7), დავარი (2), ნაბიპური (1), დავუდი (1), ჰასანზადე, კადრუსტი, დავარპანა.

ამერიკის ნაკრებმა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოუგო ირანის ნაკრებს 37 ქულის სხვაობით. ოთხმა კალათბურთელმა 10 ქულაზე მეტი ჩააგდო: **ლავმა, დიურანმა, როუზმა** და გრეინჯერმა. სახელმწიფოთა დაპირისპირების მიუხედავად, კალათბურთელთა მატჩი მეგობრულ გარემოში წარიმართა.

**სლოვენია–ბრაზილია 80:77**

20:18, 24:12, 23:21, 13:26

**სლოვენია:** ლაკოვიჩი (20), ბრეჟეჩი (16), ნახბარი (15), დრაგიჩი (10), ბეჩიროვიჩი (6 ქ, 9 მ, 4 გ), ვიდმარი (6), სლოკარი (5 ქ, 6 მ), ზუპანი (2).

**ბრაზილია:** მაშადო (20), ვინისიუსი (19), ბარბოზა (12), გარსია (9), უერტასი (8 ქ, 10 გ), ჯოვანონი (5), ვარეჟაო (4), დოს სანტოსი.

ბოლო მეოთხედში გამოფხიზლებულ ბრაზილიას სლოვენიელთა დასამარცხებლად დრო აღარ ეყო.

| | თ | მ | წ | ბ/სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 4 | 4 | 0 | 363-274 | 8 |
| 2. სლოვენია | 4 | 3 | 1 | 328-316 | 7 |
| 3. ბრაზილია | 4 | 2 | 2 | 306-280 | 6 |
| 4. ხორვატია | 4 | 2 | 2 | 321-315 | 6 |
| 5. ირანი | 4 | 1 | 3 | 241-302 | 5 |
| 6. ტუნისი | 4 | 0 | 4 | 243-315 | 4 |

**დღეს**

აშშ-ტუნისი
სლოვენია-ირანი
ბრაზილია-ხორვატია

### C ჯგუფი

**რუსეთი–ჩინეთი 89:80**

15:21, 25:22, 23:19, 26:18

**რუსეთი:** მონია (17 ქ, 6 გ), კაუნი (16 ქ, 14 მ), პონკრაშოვი (15 ქ, 5 გ), ბიკოვი (11 ქ, 5 გ), ვორონოვი (11), მოზგოვი (8), ვორონცევიჩი (7), ფრიდზონი (2), ხვოსტოვი (2).

**ჩინეთი:** სუნი (19), ს. ვანი (16), იანლიან იი (14 ქ, 9 მ), ჟ. ვანი (14), ლიუ (5), იუ (5), დინი (2), გუო (2), ინი.

რუსეთის ნაკრებმა მერვედფინალში თამაში მას მერე გაინაღდა, რაც თამაშის მიწურულს ჩინელებს 14:0 მოუგო ერთ მონაკვეთში. თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე რუსები 73:75-ს აგებდნენ, როცა 14 უპასუხო ქულა ჩაუგდეს მეტოქეს.

**დავიდ ბლატი** (რუსეთი): *„მე მყავს 12 საუკეთესო ბიჭი. ვთამაშობთ თუ არა კარგად, ბიჭები ბოლომდე იბრძვიან".*

**საბერძნეთი–კოტ დ'ივუარი 97:60**

20:14, 27:5, 34:19, 16:22

**საბერძნეთი:** კალატესი (15 ქ, 8 გ, 7 მ), პრინტეზისი (12), ცარცარისი (12 ქ, 5 მ), შორცანიტისი (10), ბურუსისი (9 ქ, 7 მ), კაიმაკოგლუ (8), ფოცისი (6 ქ, 6 მ), დიამანტიდისი (5 ქ, 5 გ), ვუგიუკასი (4), ზისისი (4), პერპეროგლუ (2).

**კოტ დივუარი:** ასიე (11 ქ, 7 მ), ლამიზანა (9), ედი (9), კალე (8 ქ, 5 მ), ნდიაი (6), კონე (5), აბუო (4), დიაბატე (4), კონატე (2), ტაპე (2), ამაგუო.

» ვე-16 გვერდზე

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**League Trophy**

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-ლეიტონი | 0:2 |
| შეფილდ უენ-ნოთს ქაუნთი | 2:1 |

**ესპანეთი**

**თასი. I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| ტუდელანო-ლუსენა | | 0:2 |
| კაუდალი-უნივერსიდ. | 0:0 დ.დ. | 0:1 |
| ალკალა-სანტ ანდრეუ | 1:1 დ.დ. | 1:3 |
| ტერუელი-რეალ უნიონი | | 0:1 |
| ხიმნასტიკი-ხერესი | | 1:2 |
| ხუმილია-მელილა | 0:0 დ.დ. | 0:1 |
| ლოგრონიესი-სერსედა | 0:0 პენ. | 1:0 |
| ოვიედი-მურსია | 2:2 პენ. | 2:3 |
| ვალიადოლიდი-ლას პალმასი | | 5:3 |
| ალკორკონი-სელტა | 2:2 დ.დ. | 3:2 |
| ბადახოსი-ხაენი | 0:0 დ.დ. | 2:0 |
| კადისი-ოსპიტალეტი | | 3:1 |
| კასტელონი-პორტუგალეტი | | 2:3 |
| სეუტა-გვადალახარა | | 2:1 |
| კორდობა-ნუმანსია | 0:0 დ.დ. | 1:0 |
| ელჩე-ტენერიფე | | 4:1 |
| ხირონა-უესკა | 1:1 პენ. | 1:2 |
| პოლი ეხიდო-ალკოიანო | | 1:0 |
| პონტევედრადინა-უელვა | | 1:0 |
| ბეტისი-სალამანკა | | 2:1 |
| ალბასეტე-გრანადა | | 0:2 |
| კარტახენა-რაიო ვალეკანო | | 1:3 |

**შვედეთი**

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ანგელჰოლმი-ასირიისკა | 2:1 |

**თურქეთი**

**თასი**

| | | |
|---|---|---|
| პაზარი-კარადენიზი | | 2:3 |
| სება-არაკლი | | 1:0 |
| თოქა-იოზგათი | | 4:0 |
| ვანი-ურფა | | 1:0 |
| ანადოლუ-ეიუფი | | 3:2 |
| ბალიქეში-ქორფეზი | | 1:0 |
| ბანდირმა-ლინითი | | 5:1 |
| დარიცა-გებზე | | 3:1 |
| გიუნგურენი-გაზიოსმანფასა | | 3:1 |
| ისქენდერუნი-ადიამანი | | 1:0 |
| ქეჩიორენგუჩუ-ბუგსა | | 2:1 |
| შექერი-ქორუმი | | 1:0 |
| ტელეკომი-ქეჩიორენი | | 3:1 |
| თორბალი-ახისარი | 0:0 პენ. | 4:2 |
| თურგუთი-მენემენი | 1:1 დ.დ. | 1:2 |
| ქონია-გიოზთეფე | 2:2 პენ. | 4:2 |
| მალათია-შიირთი | | 2:0 |

**ჩეხეთი**

**თასი**

| | | |
|---|---|---|
| ბრეცლავი-სლოვაცკო | 1:1 პენ. | 7:6 |
| პრედნი-უსტი ნად ლაბემი | | 1:5 |
| ველიმი-ჰლავიცე | | 1:2 |
| ჰოროვიჩკი-პლაზიმი | | 0:3 |
| ლიტვინოვი-ოვჩარი | | 0:3 |
| ოეზი-კაშლავი | | 1:0 |
| ტრუტნოვი-მლადა | | 1:2 |
| ჰულინი-ჰლუჩინი | 2:2 პენ. | 5:4 |
| კრალოვი-კუნიცე | 1:1 პენ. | 4:5 |
| მეტეორი-ბუდეიოვიცე | | 0:2 |
| პარდუბიცე-სლავია | | 0:1 |
| პიზეკი-პრშიბრამი | | 1:0 |
| ვრჩოვინა-ლისენი | | 2:1 |
| როსტეძსი-ოლომოუცი | | 1:3 |
| სლავჩინი-ოსტრავა | | *გადაიდო* |
| ვარნსდორფი-ბოჰემიანსი | 1:1 პენ. | 5:4 |
| ბროზანი-ტეპლიცე | | 0:5 |
| კონიცე-ვალასკე | | 5:1 |
| ზუმპერკი-ოპავა | | 0:4 |
| ტრებიჩი-ზნოიმო | | 2:1 |
| უნიკოვი-კარვინა | 1:1 პენ. | 2:4 |
| ვიტკოვიცე-ტრინეცი | | 1:2 |
| ვიქტორია-კრომერიცი | | 1:2 |

**რუსეთი**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კამაზი-ხიმკი | 1:1 |

**უნგრეთი**

**უმაღლესი ლიგა**

| | |
|---|---|
| ფერენცვაროში-დიორი ეტო | 3:0 |
| ზალაეგერშეგი-ლომბარდი | 3:1 |

**ჩოგბურთი**

**US Open. კაცები**

| | |
|---|---|
| **ალმაგრო**-სტარაჩე | 4:6, 6:4, 6:4, 7:6 |
| **დ. ბრაუნი**-რამირ. იდალგო | 6:4, 7:6, 7:5 |
| **გარსია ლოპესი**-კუბოტი | 6:3, 6:2, 7:6 |
| **კიურეი**-კლანი | 6:3, 4:6, 7:5, 6:4 |
| ლუბიჩიჩი-**ჰარისონი** | 3:6, 7:6, 3:6, 4:6 |
| **სტახოვსკი**-ლუჩაკი | 6:7, 7:5, 6:4, 6:2 |
| **ჰანესკუ**-ბერლოკი | 6:2, 6:4, 6:3 |
| სეპი-მ. **გრანოლერ.** | 6:2, 7:5, 3:6, 2:6, 3:6 |
| **ჩელა**-ლუ | 6:4, 4:6, 6:3, 6:3 |
| ბერდიხი-**ლოდრა** | 6:7, 4:6, 4:6 |
| **ვავრინკა**-კუკუშკინი | 6:3, 6:2, 6:2 |
| **სიმონი**-დ. იანგი | 6:1, 6:4, 6:2 |
| **ე. მიურეი**-ლაკო | 6:3, 6:2, 6:2 |
| **იუჟნი**-გოლუბევი | 6:2, 6:3, 6:3 |
| **კოლშრაიბერი**-კამკე | 6:2, 4:6, 6:2, 6:4 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| აზარენკა-**დულკო** | 1:5 *შეწყდა* |
| **ივანოვიჩი**-ჩენგი | 6:3, 6:0 |
| **პავლიუჩენკოვა**-მირზა | 6:2, 6:4 |
| ბარტოლი-**რაზანო** | 5:7, 4:6 |
| **ჰანტუჩოვა**-კინგი | 5:7, 6:3, 6:4 |
| **დემენტიევა**-ბამერი | 6:3, 6:4 |
| პირონკოვა-**მინელა** | 4:6, 0:6 |
| **ა. ბონდარენკო**-ოუდინი | 6:2, 7:5 |
| **სკიავონე**-კამერინი | 6:2, 6:1 |
| კლეიბანოვა-**ერანი** | 2:6, 3:6 |
| **ვ. უილიამსი**-მარინო | 7:6, 6:3 |

## TV პროგრამა

**2 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**НТВ+ფეხბურთი**

**06:05.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-სევილია.
**07:50.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ჩეზენა.
**09:40.** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**10:10.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. ზანკტ პაული-ჰოფენჰაიმი.
**12:00.** ახალი ამბები.
**12:20.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლეჩე.
**14:10.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ვალენსია.
**16:00.** ახალი ამბები.
**16:20.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ჯენოა.
**18:10.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბორუსია (დ).
**19:55.** თავისუფალი დარტყმა.
**20:30.** იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ნაპოლი.
**22:20.** ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰააგი-ეინდჰოვენი.
**00:10.** თავისუფალი დარტყმა.
**00:30.** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**01:00.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სპორტინგი.
**02:45.** საფრანგეთის ჩემპიონატი. მიმომხილვა.
**03:45.** გერმანის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**04:45.** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი.

**НТВ+სპორტი**

**06:00.** ახალი ამბები
**06:30.** კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სერბეთი-ავსტრალია, ირანი-აშშ.
**10:00.** ახალი ამბები.
**10:45.** ხელბურთი. გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. კილი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
**12:20.** კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ლიტვა-საფრანგეთი.
**14:05.** ახალი ამბები.
**15:10.** რაგბილიგა. კარნეგი ჩელენჯი. ფინალი. უორნინგთონი-ლიდსი.
**17:00.** ახალი ამბები.
**17:15.** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. კაცები. ნახევარფინალი (ჰოლანდია).
**21:55.** კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. თურქეთი-ჩინეთი (LIVE).
**00:30.** ჰოკეი. მოსკოვის მერის თასი. კრილია სოვეტოვი-სპარტაკი.
**03:30.** ახალი ამბები.
**04:00.** ფრენბურთი. გასული სეზონის საუკეთესო მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. ოთხთა ფინალი. კაცები. ზკრა (პოლონეთი)-დინამო (რუსეთი).

**EUROSPORT**

**07:00, 09:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე III.
**10:30.** ჩოგბურთი. ჟურნალი.
**11:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე III.
**17:30.** ჩოგბურთი. ჟურნალი.
**18:00.** ველოსპორტი. ესპანეთის ეროვნული ტური. VI ეტაპი (LIVE).
**19:45.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე IV (LIVE).
**21:00.** ფეხბურთი. ევრო 2012. ახალი ამბები.
**21:10-07:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე IV (LIVE).

**EUROSPORT 2**

**09:30.** დილის ახალი ამბები.
**10:30.** სერფინგი. მსოფლიოს ტური. ახალი ამბები.
**10:45.** დილის ახალი ამბები.
**11:45.** სერფინგი. მსოფლიოს ტური. ახალი ამბები.
**12:00.** რაგბი. მსოფლიოს თასი. ქალები. დიდი ბრიტანეთი. ნახევარფინალი.
**13:00.** ახალი ამბები.
**13:15.** სერფინგი. მსოფლიოს ტური.
**13:30.** რაგბი. მსოფლიოს თასი. ქალები. დიდი ბრიტანეთი. ნახევარფინალი.
**14:30.** ახალი ამბები.
**14:45.** სერფინგი. მსოფლიოს ტური.
**15:00.** რალი. IRC სერია. ბრნო (ჩეხეთი). მიმოხილვა.
**15:30.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე III.
**19:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე IV (LIVE)
**21:30.** ახალი ამბები.
**21:45.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე IV (LIVE)
**02:00.** ახალი ამბები.
**02:15, 04:00.** ჩოგბურთი. ამერიკის ღია პირველობა. დღე IV (LIVE)
**05:00.** ახალი ამბები.

კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი



ალი ტრაორემ
პაულიუს იანკუნასს გადაუფრინა

« მე-15 გვერდიდან

თურქებთან მარცხის კვალიც კი არ ეტყობოდა საბერძნეთის ნაკრებს, აფრიკულ გუნდს 37 ქულის სხვაობით მოუგო. მეორე მეოთხედში ბერძნებმა კოტ დივუარს 27:5 მოუგეს, თანაც მეოთხედის პირველი 6 წუთი ქულაც კი არ ჩააგდებინეს.

**თურქეთი–პუერტო რიკო 79:77**

**19:19, 11:18, 26:20, 23:20**

**თურქეთი:** თურქოგლუ (16 ქ, 5 გ), ილიასოვა (13 ქ, 13 მ), ონანი (12), ერდენი (10 ქ, 6 მ), გიონლუმი (9), არსლანი (5), თუნჯერი (4 ქ, 5 გ), აშიკი (4), აკიოლი (3), სავაში (3).

**პუერტო რიკო:** ვასალიო (19), რამოსი (15 ქ, 12 მ), ლი (11), პივი (9), ბარეა (7), სანჩესი (6), ბალკმანი (6), რივერა (2), სანტიაგო (2).

თურქებმა მთელი ძალები საბერძნეთის ნაკრებს შეალიეს და კინაღამ პუერტო რიკოსთან წააგეს. მასპინძლებმა ცუდად დაიწყეს, მაგრამ ბოლო ორ მეოთხედში იყოჩალეს. მესამე მეოთხედის დასრულებამდე 2,5 წუთით ადრე **მანოლო სინტრონის** გუნდი 53:45-ს იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. თურქეთის ნაკრებმა ბოლო ტურის შედეგის მიუხედავად ჯგუფში პირველი ადგილი დაიბევა.

| | თ | მ | წ | ბ/სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თურქეთი | 4 | 4 | 0 | 306-245 | 8 |
| 2. საბერძნეთი | 4 | 3 | 1 | 334-297 | 7 |
| 3. რუსეთი | 4 | 3 | 1 | 292-277 | 7 |
| 4. პუერ. რიკო | 4 | 1 | 3 | 307-313 | 5 |
| 5. ჩინეთი | 4 | 1 | 3 | 320-335 | 5 |
| 6. კოტ დ'ივ. | 4 | 0 | 4 | 246-338 | 4 |

**დღეს**

**პუერტო რიკო-კოტ დ'ივუარი**
**საბერძნეთი-რუსეთი**
**თურქეთი-ჩინეთი**

**D ჯგუფი**

**ახ. ზელანდია–კანადა 71:61**

**11:8, 24:20, 12:13, 24:20**

**ახალი ზელანდია:** პენი (18), ფრენკი (14), ჯონსი (11), აბერკრომბი (7 ქ, 10 მ), ტეიტი (5), კამერონი (5), ვუკონა (4 ქ, 6 მ), ბრედშოუ (4), ფიტჩეტი (3).

**კანადა:** შეპერდი (15), ენტონი (13 ქ, 6 მ), ბრაუნი (12), ოლინიკი (6), ანდერსონი (5), დორნკამპი (4), კენდალი (2 ქ, 7 მ, 4 გ), ბელი (2), საკრე (2), ბაკნორი.

ზედიზედ მესამე ჩემპიონატია ახალი ზელანდია ახერხებს პირველი ეტაპის დაძლევას. კანადელებთან მატჩში გუნდის ლიდერმა კირკ პენიმ 18 ქულა ჩააგდო. ახალგაზრდული კანადური გუნდი კი ალბათ დაემშვიდობება მუნდიალს.

**ესპანეთი–ლიბანი 91:57**

**21:22, 22:10, 29:15, 19:10**

**ესპანეთი:** მ. გასოლი (25 ქ, 8 მ), ვასკესი (15 ქ, 8 მ), მუმბრუ (9), რეიესი (8 ქ, 9 მ), ფერნანდესი (7 ქ, 7 მ), გარბახოსა (7), კლავერი (6), ლული (6), ნავარო (5), სან ემეტერიო (3), რუბიო (0 ქ, 7 გ), ლოპესი.

**ლიბანი:** ვრომანი (22 ქ, 9 მ), ელ ხატიბი (10), ფაჰედი (7), რუსტომი (7), მაჰმუდი (5), კანაანი (3 ქ, 6 მ), ფახრედინი (3), აბდელნური, სტეპანი, ფრეიე, რედა.

მსოფლიოს ჩემპიონმა მოიგო და მერვედფინალი გაინაღდა, თუმცა ასეთი თამაშით შორს ვერ წავა - გუნდის ლიდერ **რიკი რუბიოს** რაღაც სჭირს, მას ჯერ ერთხელაც არ მიუღწევია 10-ქულიანი ზღვრისთვის. გუშინ საერთოდ ქულა ვერ ჩააგდო, თამაშიდან 6 სროლა გააცუდა.

**ლიტვა–საფრანგეთი 69:55**

**11:24, 13:6, 28:11, 17:14**

**ლიტვა:** მაციულისი (19), კლეიზა (15), კალნიეტისი (9), პოციუსი (8), სეიბუტისი (6), კლიმავიჩიუსი (5), დელინინკაიტისი (3), იანკუნასი (2), იავტოკასი (2 ქ, 5 მ), გეცევიჩიუსი.

**საფრანგეთი:** ბატუმი (13), ჟელაბალი (10), დე კოლო (9), დიაუ (9 ქ, 6 მ, 4 ჩ), ტრაორე (6), ალბისი (3), კოფი (2), მაინმი (2), ბოკოლო (1), ჯექსონი.

ლიტვის ნაკრებმა დაიმსახურა პირველი ადგილი „სიკვდილის ჯგუფში". წუხელ ბალტიელებმა 11-წუთიანი მონაკვეთი 33:12 მოუგეს ფრანგებს და გაუბათილეს უპირატესობა. ფრანგთაგან ერთადერთი **ნიკოლას ბატუმი** ეომა ლიტვის ნაკრებს ღირსეულად, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მოგებისთვის.

| | თ | მ | წ | ბ/სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 4 | 4 | 0 | 307-275 | 8 |
| 2. საფრანგეთი | 4 | 3 | 1 | 281-257 | 7 |
| 3. ესპანეთი | 4 | 2 | 2 | 331-289 | 6 |
| 4. ახ. ზელანდ. | 4 | 2 | 2 | 342-330 | 6 |
| 5. ლიბანი | 4 | 1 | 3 | 273-356 | 5 |
| 6. კანადა | 4 | 0 | 4 | 263-290 | 4 |

**დღეს**

**ესპანეთი-კანადა**
**ლიბანი-ლიტვა**
**ახალი ზელანდია-საფრანგეთი**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

3 სექტემბრიდან




ბასკეთი, თავისუფლება და... ტერორიზმი - ETA
რისთვის სჭირდება „მისტრალი" რუსეთს?...
ბრაზილიური ბანკები
მეორე მსოფლიო ომის საუკეთესო გმირები
...სრულად იხილეთ ჟურნალში

„მეგობრული ცეცხლი" - პრობლემა და გამოსავალი...
ზოგიერთი რამ ინდივიდუალურ დაჯავშნაზე
„პარტიზანსაწინააღმდეგო ქოლგები" ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის

კრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენონ, ხომ არ გვეთევზავა?

16 ოქტომბერს ჰამბურგის O2 World Arena-ზე დიდი კრივია: ზემძიმე წონაში WBC-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** ტიტულის დაცვას ამერიკელ **შენონ ბრიგსთან** შერკინებაში ეცდება.

რამდენიმე დღის წინათ უკრაინის დედაქალაქში წინასამატჩო პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც მომავალი ბრძოლის ორივე მონაწილე დაესწრო. სწორედ კიევურ პრესკონფერენციაზე იყო, ბრიგსმა რომ თქვა, ვიტალის 30 წამში ისეთებს ვუზამ, რომ პენსიაში გასვლა მოუწევსო. კლიჩკომ უპასუხა, უთუოდ ნოკაუტით მოვიგებ და ვეცდები, ეს რაც შეიძლება მალე ვქნაო. საინტერესოა, რომ უკრაინელი მოკრივე 39 წლისაა, ხოლო ამერიკელი - 38-ის.

მართალია, ჟურნალისტების წინაშე წარდგენისას მომავალმა მეტოქეებმა ერთმანეთს მწარ-მწარეები უთხრეს, მაგრამ მათ ჰამბურგშიც ერთად მოუწიათ ბრძოლისწინა პრესტურის მოწყობამ. იქ მოკრივეები ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეხვდნენ და უცებ, კლიჩკოს მოულოდნელი წინადადება: *„შენონ, ხომ არ გვეთევზავა?"* ამერიკელს ბევრი არც უფიქრია და დათანხმდა. ადგნენ და წავიდნენ ზღვის სანაპიროზე, სადაც მართლაც ითევზავეს...



# პაკიაოს მეცხრე მექსიკელი

ქვესაშუალო წონაში WBO-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** და სამ წონით კატეგორიაში მექსიკელმა ექსჩემპიონმა **ანტონიო მარგარიტომ** ლოს ანჯელესში 13 ნოემბერს გასამართი ბრძოლისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გამართეს.

*„კიდევ ერთ მექსიკელთან ჩხუბის შესახებ გადაწყვეტილება მე არ მიმიღია - უბრალოდ, გარემოებებმა მოიტანა. მე მოკრივე ვარ და ჩემი საქმე რინგზე ჩხუბია. კრივის მოყვარულები ბრწყინვალე ორთაბრძოლის მოწმეები გახდებიან. დარწმუნებული ვარ, მარგარიტო დამეხმარება ჭეშმარიტი შოუს დადგმაში. ანტონიო არის ნიჭიერი, აგრესიული მოკრივე, ვისი ბრძოლების ხილვა კრივის ნებისმიერ დამფასებელს სიამოვნებას ანიჭებს"*, - თქვა პაკიაომ, ვინც „კიდევ ერთი მექსიკელი" იმიტომ თქვა, რომ პროფესიულ რინგზე გატარებულ 15 წელიწადში 8 მექსიკელთან მოასწრო შერკინება.

მარგარიტოც ლამაზი ბრძოლის მოლოდინშია: *„თავდაპირველად, ასეთი ბრძოლის ორგანიზატორებისთვის მადლობის თქმა მსურს -* ***ბობ არუმი*** *და საპრომოუტერო კომპანია Top Rank რომ არა, პაკიაოს ვერ შევხვდებოდი. მადლობა მენისაც, ბრძოლაზე რომ დამთანხმდა. რაც ადრე იყო, წყალს გავატანოთ. აწმყოთი უნდა ვიცხოვროთ. მაგარი შოუ იქნება, რომლის გამოტოვება არ შეიძლება".*

მარგარიტომ ბობ არუმი ახსენა და პრესკონფერენციის მსვლელობისას სახელგანთქმულ საკრივო პრომოუტერს მეტად უსიამოვნო შეტყობინება მისვლია - მისი ვაჟი სიეტლის მახლობლად მეგობრებთან ერთად მთაში წასულა და დაიკარგა. მაშველებმა ახალგაზრდების კვალს ჯერაც ვერ მიაგნეს.

**სლავა გასპაროვი**

